

სოსო მარგიშვილი  
გოდერძი ნარიმანიშვილი

აღგეთის ხეობის ანტიკური ხანის  
არამეტრიგური ქაგლები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეგლები  
№ 1



თბილისი  
2004

**კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების  
საერთაშორისო ფონდი**  
**Cultural Anthropology Development International  
Foundation**

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის  
ძეგლები**

**Monuments of Georgian Cultural Heritage**

**№ 1**

სარედაქციო საბჭო:

გურამ კვირკველია  
ნიკა ვაჩეიშვილი  
ზურაბ მახარაძე  
ნუგზარ მგელაძე  
შალვა მელიქიძე  
გიორგი მინდიაშვილი  
გოდერძი ნარიმანიშვილი  
კახა ხიმშიაშვილი (თავმჯდომარე)  
ნინო შანშაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი  
კულტურული ანთროპოლოგიის განვითარების  
საერთაშორისო ფონდი

ს. მარგიშვილი, გ. ნარიმანიშვილი

ალეთის ხეობის ანტიკური ძეგლის არქეოლოგიური  
ძეგლები

**С. Маргишвили, Г. Нариманишвили**

**АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ АНТИЧНОЙ  
ЭПОХИ АЛГЕТСКОГО УЩЕЛЬЯ**

**S. Margishvili, G. Narimanishvili**

**ALGETI VALLEY ARCHAEOLOGICAL RELICS OF  
THE CLASSICAL PERIOD**

**თბილისი  
2004**

უაკ (UDC) 902/904 (479.22)  
გ295

წინამდებარე ნაშრომში განხილულია აღგეთის ხეობის ანტიკური ხანის ორი ძეგლის – შავსაყდარა I და პაპიგორას სამაროვნებზე მოპოვებული მასალები.

ანტიკური ხანა ის პერიოდია, როდესაც ყალიბდება ქართლის (იბერიის) სამეფო. ამდენად ამ ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ისტორიის კვლევისას. ამ ეპოქის ქართლის არქეოლოგიური ძეგლები ნაკლებადაა შესწავლილი. დღეისათვის ცნობილი ძეგლების მხოლოდ მცირე ნაწილია გათხრილი, რომელთა შორის უმეტესობას სამაროვნები წარმოადგენენ, სადაც ძირითადად რამდენიმე სამარხია შესწავლილი. მხოლოდ ზოგიერთი სამაროვანია შედარებით სრულად გამოკვლეული. სამწუხაროდ მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოქვეყნებული. წინამდებარე ნაშრომით გარკვეულწილად შეივსება ეს ხარვეზი, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და საინტერესო მასალა (პაპიგორის სამაროვანზე გაითხარა 79 სამარხი, შავსაყდარა I სამაროვანზე – 97 სამარხი).

ნაშრომში ორიგინალურადაა გადაწყვეტილი მასალის ტაბულებზე განლაგება – ჯერ მოცემულია სამარხთა საველე ფოტოები და ჩანახატები, შემდეგ სამარხთა კომპლექსები და ბოლოს ერთვის მასალის ტიპოლოგიური ტაბულები, რაც მკვლევარებს მნიშვნელოვნად გაუადვილებს ასეთი არქიტექტონიკის ნაშრომზე მუშაობას.

ნაშრომი შესრულებულია 1990 წელს და ქვეყნდება უცვლელად.

რედაქტორი: † აკადემიკოსი ოთ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი იულინ  
გაგოშიძე  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვახტანგ  
ნიკოლაიშვილი

ISBN 99928-0-794-6

ISBN 99928-0-795-4

© მარგიშვილი  
ნარიმანიშვილი

## შესავალი

ქვემო ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს, ალგეთის ხეობას დიდი ეკონიმიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთვის, იგი ყოველთვის მჭიდროდ იყო დასახლებული და ათვისებული, რაზეც მიუთითებს აქ მდებარე მიწისზედა (ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, ნასოფლარები, ნახიდრები, ტბისის ძველი წყალსაცავი და სხვა) თუ არქეოლოგიურ ძეგლთა სიმრავლე.

ალგეთის ხეობაში მდებარე, შუა საუკუნეების რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები (მანგლისის ტაძარი, გუდარეხის მონასტერი, აბელიის ეკლესია, კლდეკარის, ფარცხისის, ბირთვისის ციხეები და სხვა) კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, ისინი არაერთგზის გამხდარან მეცნიერული შესწავლის საგანი.<sup>1</sup> ასევე კარგადაა ცნობილი და ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში გაშუქებული ქართველი ხალხის მიერ ალგეთის ხეობაში გადახდილი მრავალრიცხოვანი ბრძოლა სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ (გიორგი II-ის ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-სელჯუქებზე ფარცხისის ციხესთან, ბირთვისის ციხის თავდაცვა თემურ-ლენგის ურდოებისაგან, გარისთან მოგებული ბრძოლა ლუარსაბ და სიმონ მეფეების მიერ, სიმონ მეფის ბრძოლები ფარცხისთან სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ, მარაბდის ცნობილი ბრძოლა და სხვა),<sup>2</sup> რომელთა საღიღებლადაც შეიქმნა ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში „ალგეთელი მგლის ლეკვები“.

ყოველივე ეს, მოკლედ აღნიშნული, განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ამის გვერდით, ალგეთის ხეობაში გამოვლენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლი ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს ხეობა უფრო აღრეულ პერიოდებშიც ისევე მჭიდროდ დასახლებულ და მოწინავე მხარეს წარმოადგენდა, როგორც შუა საუკუნეებში.

ალგეთის ხეობის არქეოლოგიური შესწავლა იწყება 1923 წლიდან, როდესაც ლ. მელიქშეთბეგმა მანგლისთან გათხარა რამ-

<sup>1</sup> Г. Н. Чубинашвили, Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970, გვ. 81-92; ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974, გვ. 58, 62, 145, 158.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 202, 704-708; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 114, 118-119, 148, 283-285.

დენიმე ადრეელინისტური ხანის ქვაყუთი.<sup>3</sup> 30-40-იან წლებში აქ ჩატარდა რამდენიმე არქეოლოგიური კამპანია, კერძოდ, 1948 წელს სოფ. კიკეთთან აკად. ბ. კუფტინმა გათხარა ელინისტური ხანის რამდენიმე ქვაყუთი.<sup>4</sup> 1938-1939 წლებში, ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით, მიმდინარეობდა სამუშაოები გუდარების ნაქალაქარზე, რომელიც შეა საუკუნეების ნაქალაქართა არქეოლოგიური შესწავლის პირველ ცდას წარმოადგენდა.<sup>5</sup>

1940 წელს ალგეთის ხეობაში აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი – სოფ. წინწყაროს მცხოვრებლებმა შემთხვევით მიაკვლიერ ადრეელინისტური ხანის მდიდრულ სამარხს, რომლის ინვენტარიც შეისწავლა და ნაწილობრივ გამოაქვეყნა აკად. ბ. კუფტინმა.<sup>6</sup> აღნიშნული სამარხი იქცა ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ საეტაპო ძეგლად და მის მიმართ მეცნიერული ინტერესი დღემდე არ შენელებულა, იგი ისტორიულ ლიტერატურაში შევიდა ალგეთის (წინწყაროს) სახელით და არაერთი მეცნიერის შემდგომი კვლევა-ძიების საგანი გახდა.

ალგეთის ხეობაში 1948-1949, 1954 წლებში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებდა ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე ქვემო ქართლის კომპლექსური ექსპედიციის არქეოლოგიური რაზმი. ამ პერიოდში გაითხარა აბელის სამაროვანი, ჩატარდა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური დაზვერვები, რის შედეგადაც მიაკვლიერ რამდენიმე ათეულ არქეოლოგიურ ძეგლს, ზოგიერთ მათგანზე მცირე მასშტაბის გათხრებიც აწარმოეს.<sup>7</sup>

50-60-იან წლებში ალგეთის ხეობაში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა ჯერ თეთრიწყაროს (შემდეგ დაერქვა ბოლ-

<sup>3</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათას-წლეულის მეორე ნახევარში, თბ., 1983, გვ. 3.

<sup>4</sup> Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 53-64; ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 4.

<sup>5</sup> ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარები, თბ., 1954.

<sup>6</sup> Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, I, Тб., 1941, გვ. 34-41.

<sup>7</sup> ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964, გვ. 69-79; ც. დავლიანიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან (ხელოსნური ნაწარმის მიხედვით), – სსმ, XXXII-B, თბ., 1976, გვ. 118-147, ჭაბ. X-XIII.

<sup>8</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, თბ., 1989, გვ. 13-91, ჭაბ. I-XIV.

ნისის, ხელმძღვ. ი. გრძელიშვილი), შემდგომ კი აღგეთის ხეობის ექსპედიცია (ხელმძღვ. ნ. თუშიშვილი). ამ პერიოდისათვის არქეოლოგიური კვლევა-ძიება აღგეთის ხეობაში ძირითადად დაკავშირებულია აწ განსვენებული მკვლევრების – ნ. თუშიშვილისა და კ. კვიუინაძის სახელებთან. ნ. თუშიშვილის მიერ 1960 წელს გაითხარა ადრეანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი, შუაბრინჯაოს ხანის აკლდამა და სხვა ძეგლები სოფ. არდასუბანთან,<sup>9</sup> ხოლო 1963-1964 წლებში იგი ხელმძღვანელობდა საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებს გვიანბრინჯაოს ხანის მაღნისჭალის სამაროვანზე.<sup>10</sup> მაღნისჭალის სამაროვანის გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა სამუშაოები ნახიდრების ჭალის ადრეანტიკური ხანის ნამოსახლარზე და აბელის სამაროვანზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა კ. კვიუინაძე.<sup>11</sup> მის მიერვე, 1965-1966 და 1968 წლებში გაითხარა ასურეთისა (სამაჩვეთის) და გარისისგორის ადრეანტიკურ-ადრეალინისტური ხანის სამაროვნები.<sup>12</sup>

1967 წელს აღგეთის ხეობის სოფლებთან კუმისთან და ახალსოფელთან ადგილი ჰქონდა სამარხთა შემთხვევით აღმოჩენებს. აქ არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა საქართველოს სახ. მუზეუმის ექსპედიციამ ც. დავლიანიძის ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც გაითხარა ადრეალინისტური ხანის რამდენიმე სამარხი.<sup>13</sup>

არქეოლოგიური კვლევა-ძიება აღგეთის ხეობაში 1973 წლიდან ძირითადად დაუკავშირდა ახალმშენებლობებს. აღგეთის წყალსაცავის მშენებლობის გამო, ნ. თუშიშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა აღგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელ-

<sup>9</sup> ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, – მაცნე 3, 1970, გვ. 127-140; მისივე, არდასუბანის ზოგიერთი ადრეული ძეგლი, – „ძეგლის მეცნიერი“, № 15, თბ., 1968, გვ. 41-45; მისივე, არდასუბანის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. – მაცნე № 4, თბ., 1967, გვ. 225-231.

<sup>10</sup> ნ. თუშიშვილი, მაღნისჭალის სამაროვანი, თბ., 1972, გვ. 3-166.

<sup>11</sup> კ. კვიუინაძე, ზ. შატერაშვილი, აღგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის II და III უბნის მოკლე ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები-სადმი, მოკლე ანგარიშები, XIV, თბ., 1965, გვ. 28-31.

<sup>12</sup> კ. კვიუინაძე, 1966 წ. აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები არუხლოს „გეოი-თეფესა“ და „სამაჩვეთის“ სამაროვანზე, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, XIV, თბ., 1967, გვ. 64-66.

<sup>13</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 5.

მაც 1987 წლამდე გამოვლინა და შეისწავლა რამდენიმე ათეული ძეგლი, მათ შორის: ჭალის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, კობალას, ჭალის, პანტიანის გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნები, წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი პაპიგორისა და შავსაყდარა I სამაროვნები, ელინისტური ხანის შავსაყდარა II სამაროვანი და ნასახლარი, ადრეშუასაუკუნეების ხოპისის ქედის ნამოსახლარი და სამაროვანი და სხვა (ტაბ. I).<sup>14</sup>

1988 წლიდან ალგეთის ხეობაში მუშაობს ალგეთისა და ხრამის ხეობების არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძ. ჯ. ამირანაშვილი), რომელმაც შეისწავლა შუა საუკუნეების ძეგლები: ურვანებისგორის სამაროვანი და სიონისგორის ნასახლარი, აგრეთვე მიაკვლია ელინისტური ხანის ძალზედ საყურადღებო სამაროვანს სოფ. ლოუბანთან.<sup>15</sup>

1989 წელს შეიქმნა შავსაყდარა-ენაგეთის დამოუკიდებელი არქეოლოგიური რაზმი (ხელმძღვ. ს. მარგიშვილი), რომელმაც გააგრძელა შესწავლა შავსაყდარა II სამაროვნის და ნამოსახლარისა და ამის პარალელურად სამუშაოები ჩაატარა სოფ. ენაგეთის მახლობლად გამოვლენილ ადრეანტიკურ-ადრეელენისტური ხანის სამაროვანზე.<sup>16</sup>

როგორც ვხედავთ, რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, ალგეთის ხეობაში საკმაოდ დიდი მასშტაბის საველე-არქეოლოგიური სამუშაოებია ჩატარებული, რომლის შედეგადაც გამოვლენილია სხვადასხვა პერიოდის (ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით) არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელთა საგრძნობი ნაწილიც უკვე გამოცემული და სამეცნიერო მიმოქცევაშია შესული. აქედან მონოგრაფიული ნაშრომი მიეძღვნა მაღნი-

<sup>14</sup> დასახელებული და აგრეთვე სხვა ძეგლების თხრის ანგარიშები წარმოდგენილია საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილ შესაბამისი წლების (1973-87) კრებულებში (რუსულ ენაზე). იხ. აგრეთვე, ნ. თუშიშვილი, ს. მარგიშვილი, ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა 1983-85 წლებში. – ძეგლის მეგობარი, № 4, 1987, გვ. 44-47.

<sup>15</sup> ალგეთისა და ხრამის ხეობების არქეოლოგიური ექსპედიციის საველე ანგარიშები იბეჭდება შესაბამისი წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილ კრებულებში.

<sup>16</sup> შავსაყდარა-ენაგეთის არქეოლოგიური რაზმის 1989-1990 წლების მუშაობის ანგარიში იბეჭდება 1989-90 წლების საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილ კრებულში. იხ. აგრეთვე, ს. მარგიშვილი, ენაგეთის სამაროვანი, – ძეგლის მეგობარი № 1, 1990 წ. გვ. 46-51.

ჭალის სამაროვანს.<sup>17</sup> გამოქვეყნებულია აღგეთის (წინწყაროს) სამარხის კომპლექსი, კიკეთის, კუმისის, ახალსოფლის სამარხები,<sup>18</sup> ნაწილობრივ აბელის სამაროვანი.<sup>19</sup> საველე არქეოლოგიური კვლევა-ძებისადმი მიძღვნილ კრებულებში ფართოდაა წარმოდგენილი კობალას, ჭალის, პანტიანის, პაპიგორის სამაროვანთა, აგრეთვე ხოპისის ქედის ნამოსახლარის თხრის შედეგები.<sup>20</sup> იმავე კრებულებში წარმოდგენილია შავსაყდარა I, შავსაყდარა II სამაროვნების რამდენიმე კომპლექსი<sup>21</sup> და სხვა ძეგლები. აღგეთის ხეობაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალები ფართოდაა განხილული სხვადასხვა მონოგრაფიებსა თუ სტატიებში, აგრეთვე პ. კვიუინაძის სადისერტაციო ნაშრომში.<sup>22</sup>

მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცნიერული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ ხელმიუწვდომელი რჩება აღგეთის ხეობაში გათხრილი რიგი მნიშვნელოვანი ძეგლები (მაგალითად, ასურეთის, გარისისგორის, შავსაყდარა II სამაროვნები და სხვა), რომელთა პუბლიკაციაც უაღრესად საშური საქმეა.

წინამდებარე ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია პაპიგორისა და შავსაყდარა I სამაროვნების გათხრების შედეგები (მოცემულია სამარხთა ტიპები, აღწერილია დაკრძალვის წესები, წარმოდგენილია არქეოლოგიური მასალის სრული კატალოგი გრაფიკული ჩანახატებითა და ფოტო სურათებით), სწორედ ამ ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად. ვფიქრობთ, რომ იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მკვლევრებს საქართველოს ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდის შესწავლაში, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყალიბდებოდა ქართლის (იბერიის) სამეფო.

<sup>17</sup> 6. თუმიშვილი, მაღნისჭალის სამაროვანი, გვ. 3-166.

<sup>18</sup> ც. დავლიანიძე, აღრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან, გვ. 119-147; მისივე, О некоторых неопубликованных материалах раннеантичной эпохи из Юго-Восточной Грузии. – КСИА, № 151. М., 1977, с. 122-126.

<sup>19</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძება აღგეთისა..., გვ. 73-83.

<sup>20</sup> იხ. 1977-1982 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძებისადმი მიძღვნილი კრებულები (რუსულ ენაზე).

<sup>21</sup> იხ. 1984-1985 წწ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძებისადმი მიძღვნილი კრებულები (რუსულ ენაზე).

<sup>22</sup> პ. კვიუინაძე, აღრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან (ხელნაბეჭდი), თბ., 1975 (ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში).

## თავი I

### პაპიგორის სამართლები

პაპიგორის სამართლები მდებარეობს თეთრიწყაროს რაიონში, თბილისი-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის მახლობლად, სოფ. შავსაყდარის გადასახვევთან, რომლის სამხრეთით 2,5 კმ-ზე მდებარეობს სოფ. შავსაყდარი, აღმოსავლეთით კი – 1,5 კმ-ზე სოფ. ასურეთი. სამართლების დასავლეთიდან ესაზღვრება ენაგეთისხევი, თვითონ კი გაშლილია მინდორზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პაპიგორს“ უწოდებს.

სამართლები აღმოჩნდა 1983 წლის მიწურულს ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ერთ-ერთი არხის გაყვანისას. 1984 წელს აქ გათხრები აწარმოვა აღგეთის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. ნ. თუშიშვილი). სულ გაითხარა 79 სამარხი, რომელთა ერთი ნაწილიც იმდენად იყო დაზიანებული, რომ მხოლოდ სამარხის კვალს წარმოადგენდა და მათი დოკუმენტირებული დაფიქსირება შეუძლებელი აღმოჩნდა (№№ 27, 28, 31, 38, 46, 53-55, 58, 59). ფაქტიურად, გაითხარა 64 სამარხი, თუმცა დაზიანებული და გაძარცული სამარხები მათ რიცხვშიც იყო, მაგალითად № 22 ქვის სამარხი მხოლოდ ბრინჯაოს ძეწკვის ორ რგოლს შეიცავდა, № 37 სამარხი – რკინის სამაჯურის ნატეხს, № 39 სამარხი – ორ მძივს. № 20, 71, 74 ორმოსამარხები სრულიად უინკენტაროები აღმოჩნდნენ და ა.შ.

პაპიგორის სამართლები წარმოდგენილია სამარხის სამი ტიპი: ქვაყუთი, ორმოსამარხი და ქვევრსამარხი.

ქვაყუთები (გამოვლინდა 50 ქვაყუთი: №№ 1-9, 11-15, 17-19, 21-23, 25-26, 30, 32-37, 39-45, 48, 51-52, 56-57, 60-62, 66, 68-70, 72-73) ნაგებია ქვიშაქვის მოყვითალო ფერის ფილებით. სამარხთა კედლები, როგორც წესი, თითო ფილითაა შედგენილი. სახურავი კი – თითო, ან რამდენიმე ფილისგან შედგება, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში გადახურვა არ შემონახულა. ქვაყუთებს გეგმაში ოთხკუთხა მოყვანილობა აქვთ, ზომები საკმაოდ მცირეა, სიგრძე-სიგანე საშუალოდ მერყეობს 100×70, 60×40 სმ შორის,

<sup>1</sup> პაპიგორის სამართლები აღგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: ნ. თუშიშვილი (ხელმძ.), ჯ. ამირანაშვილი (ხელმძღვ. მოადგ.), ჩ. მეტრეველი, ს. მარგიშვილი (უფრ. ლაბ.), ზ. ჩხაიძე (მხატვარი), გ. სეხნიაშვილი (არქიტექტორი). ფოტოფიქსაციას აწარმოებდა ჯ. ამირანაშვილი.

სიღრმე კი საშუალოდ 30-50 სმ-ია. ყველაზე მცირე სამარხის (№ 13 ქვაყუთი) ზომები უდრის  $50 \times 40 \times 35$  სმ, ყველაზე მოზრდილის (№ 44 ქვაყუთი) კი –  $160 \times 95 \times 88$  სმ. მაგრამ ეს უკანასკნელი გამონაკლისია, ზომების მიხედვით მომდევნო სამარხი (ქვაყუთი № 2) უდრის  $130 \times 70 \times 45$  სმ-ს. ქვაყუთების იატაკი თითქმის ყველა შემთხვევაში თიხატკეპნილია, მხოლოდ ორ სამარხში (№№ 1, 2 ქვაყუთები) აღმოჩნდა მიცვალებულის თავის ქალასთან დადებული ბრტყელი ქვის „სასოფუძული“. ქვისსამარხების სახურავები მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 40-60 სმ სიღრმეზე მდებარეობენ. მათ განლაგებაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება (ტაბ. III), არც სამშენებლო მასალაშია რაიმე განსხვავება.

ქვაყუთებისა (სულ გამოვლინდა 13 სამარხი, №№ 10, 16, 20, 24, 29, 47, 65, 67, 71, 74-77) გამართული იყვნენ მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 40-70 სმ სიღრმეზე. სამარხი კამერები ოვალური მოყვანილობისაა, სიგრძე-სიგანე საშუალოდ უდრის  $100 \times 70$  სმ-ს. სახურავები შედგენილია ქვიშაქვის ერთი ან რამდენიმე ფილით.

ქვისსამარხისა და ორმოსამარხის გარდა, პაპიგორის სამართვანზე გამოვლინდა ქვევრსამარხიც (ქვევრსამარხი უნდა ყოფილიყო № 27 სამარხიც, მაგრამ იგი მთლიანად განადგურებული და უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით დაგვხვდა), რომელიც ქვემოთ გვაქვს დაწვრილებით განხილული.

სამივე ტიპის სამარხში დადასტურებულია დაკრძალვის ერთგვარი წესი, № 44 სამარხის გამოკლებით, სადაც ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. ყველა სამარხი ინდივიდუალურია, მიცვალებულები დაკრძალული არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მკვეთრად მოხრილი კიდურებით, დამხრობაში რაიმე კანონზომიერება არ შეიმჩნევა. იმ 57 სამარხიდან, სადაც მიცვალებულთა დამხრობის გარკვევა მოხერხდა, 21 მიმართული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ (№№ 1, 3, 6, 8, 10-12, 15-19, 42, 47, 52, 66-69, 72); 18 სამარხი – ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ (№№ 4, 7, 9, 33, 37-39, 43-45, 48-49, 51, 57, 61, 73-74, 76), 12 სამარხი – ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ (№№ 14, 21-23, 25-26, 28-32, 34, 36), ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი იყო ყველაზე ნაკლები, სულ 5 სამარხი (№№ 2, 5, 35, 41, 70).

სამარხეული ინვენტარის შედგენილობა ძირითადად ერთგვაროვანია, როგორც წესი, შეიცავს ერთ-ორ, იშვიათ შემთხვევაში სამოთხ ჭურჭელს, რომელსაც ხშირად ემატება ბრინჯაოს ან

რკინის სამაჯურები, საკინძები, ბრინჯაოს ან ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები, ბრინჯაოს რგოლები, სხვადასხვა მასალის მძივები. უფრო იშვიათადაა წარმოდგენილი რკინის დანები და საბრძოლო იარაღი, რომლიდანაც მხოლოდ შუბისპირები გვხვდება. სანამ პაპიგორის სამაროვნის არქეოლოგიურ მასალას წარმოგადგენდეთ ტიპოლოგიურად, მანამდე განვიხილავთ № 49 ქვევრსამარხის კომპლექსს, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს დათარიღებისათვის. გარდა ამისა, აღნიშნული სამარხეული კომპლექსი ინვენტარის შედგენილობითაც მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი სამარხებისაგან.

№ 49 ქვევრსამარხი წარმოადგენს აგურისფრად გამომწვარ ბრტყელძირიან ქვევრს (სიმაღლე – 105 სმ, პირის დმ – 34 სმ, მუცელის დმ – 80 სმ, ძირის დმ – 17 სმ), რომელიც დაწვენილია გვერდზე ჰორიზონტალურად, პირით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. პირზე აფარებული ჰქონდა წრიული მოყვანილობის ქვიშაქვის ბრტყელი ქვა. ქვევრს ყელზე შემოუყვება სოლისებური ნაჭდევები (ტაბ. IX<sub>2,3</sub>; XIV<sub>2</sub>).

ქვევრში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, რომლის ჩონჩიც ძალზე ცუდად შემოინახა და დაკრძალვის პოზის ზუსტად დადგენა ძნელდება; სავარაუდოა, რომ მიცვალებული მარცხენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული ხელ-ფეხმოკეცილი. სამარხეული ინვენტარი, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ ხელადას, რომელიც იდო ქვევრის გარეთ, მისი ყელის ქვეშ, მთლიანად წარმოდგენილია თავის ქალისა და გულ-მკერდის არეში აღმოჩენილი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულით, აგრეთვე მინისა და პასტის მძივებით, (ტაბ. XXXIX<sub>1-9</sub>; LIX<sub>1-8</sub>).

პაპიგორის სამაროვნის № 49 ქვევრსამარხი მრავალ პარალელს პოულობს თანადროულ ძეგლებთან.

დაკრძალვის ასეთი წესი ამ ტიპის სამარხებში (ჰორიზონტალურად დაწვენილი ქვევრი, პირზე ქვის აფარება, ჭურჭლის გარეთ დადგმა, ყელის გარშემო გაკეთებული ნაჭდევები და სხვა) აღმოსავლეთ საქართველოში დამახასიათებელია დაჭრილების სამაროვნისთვის,<sup>2</sup> რომელიც ძვ.წ. IV-III სს თარიღდება.<sup>3</sup>

პაპიგორის ქვევრსამარხის ინვენტარში შემავალი ნივთებიდან ნაწილს დამათარილებელი მნიშვნელობა აქვს.

<sup>2</sup> 6. ნაკაიძე, ძვ.წ. IV-II სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 28; აგრეთვე, ვ. თოლორდავა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 43.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ქვევრსამარხში აღმოჩენილი სამკაულის მსგავსება თანადროულ მასალებთან. ეს პირველ რიგში ითქმის ვერცხლის მთვარისებურ საკიდზე (ტაბ. XXXIX<sub>5</sub>; LIX<sub>1</sub>), რომელიც ერთ-ერთი საიმედო დამათარილებელი ნივთია. ამ ტიპის საკიდები აღმოჩენილია ახალგორის განძში,<sup>4</sup> დაბლაგომის № 27 ქვევრსამარხში,<sup>5</sup> დაფნარის სამაროვნის № 31 ქვევრსამარხში,<sup>6</sup> ვანში № 16 სამარხში,<sup>7</sup> ქლივანის II სამაროვნის № 34 სამარხში,<sup>8</sup> აბულმუგი I სამაროვნის № 19 სამარხში.<sup>9</sup> მართალია, დასახელებულ ძეგლებზე აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო ეს ნივთები სხვადასხვა მასალისგან არის დამზადებული (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო), მაგრამ ფორმათა თითქმის იდენტურობა მსგავსება მათ ქრონოლოგიურ სიახლოვეს საეჭვოს არ ხდის. როგორც ვხედავთ, მთვარისებური საკიდები მოპოვბულია ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრისა და ძვ.წ. III ს. ძეგლებზე და ისინი დღევანდელი მონაცემებით, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ნივთებს წარმოადგენენ.

დაახლოებით ამავე პერიოდის ნივთია ჩიტისთავიანი ბრინჯაოს ილარი (ტაბ. XXXIX<sub>18</sub>, LIX<sub>14</sub>), რომლის ანალოგიებიც ცნობილია დაჭრილების სამაროვნის № 14 ქვევრსამარხიდან,<sup>10</sup> კამარახევის სამაროვნის № 65, 70 და ქლივანი II სამაროვნის № 40 სამარხებიდან.<sup>11</sup> აღნიშნული აზრი და პარალელები თამამად შეგვიძლია გავავრცელოთ ცხენისთავიან საკინძის მიმართაც, რომლის საერთო მსგავსება ჩიტისთავიან ილარებთან, როგორც დამზადების ტექნიკით, ასევე სტილისტურადაც (საკინძის ან ილა-

<sup>4</sup> Я. И. Смирнов. Ахалгорский клад, Тб., 1934, табл. X<sub>72</sub>.

<sup>5</sup> Б. А. Куфтин. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950, с. 34, табл. 15-6.

<sup>6</sup> Н. Кигурадзе. Дапнарский могильник, Тб., 1976, с. 34, табл. XI<sub>1</sub>.

<sup>7</sup> Полевые археологические исследования в 1980 году, Тб., 1982, с. 43, табл. LXVIII<sub>19</sub>.

<sup>8</sup> ა. ასლანოვი, ქლივანის სამაროვანი, მოხსენება წაიკითხეს 1985 წელს საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილ სესიაზე 1986 წ. აპრილში.

<sup>9</sup> პ. კახიანი, მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1985 წლის საველე მუშაობის ანგარიში, მოხსენება წაიკითხეს აღნიშნულ სესიაზე.

<sup>10</sup> ნ. ნაკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 55, ტაბ. XXXIV<sub>4,6</sub>.

<sup>11</sup> თ. ჯლარკავა, კამარახევის სამაროვანი, – მცხეთა VI, 1982, გვ. 162, 164, სურ. 1155, 1198; იხ. აგრეთვე, ა. სლანოვის მოხსენება, შენ. 8.

რისთავის ცხოველის ან ფრინველის გამოსახულებით დაგვირგვინება), იმდენად დიდია (ტაბ. XXXIX<sub>17</sub>, LIX<sub>15</sub>), რომ მათი თანადოულობა ეჭვმიუტანელია, მითუმეტეს, რომ მსგავსად პაპიკორის ქვევრსამარხისა, დაჭრილების სამაროვნის უკვე აღნიშნულ № 14 ქვევრსამარხში, ჩიტისთავიან ბრინჯაოს ილართან ერთად კომპლექსში აღმოჩნდა ისეთივე საკინძი.<sup>12</sup>

ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია ცილინდრულთავიანი საკინძიც (ტაბ. XXXIX<sub>9</sub>, LIX<sub>12</sub>).<sup>13</sup> მისი პარალელები უხვად გვხვდება წინარეელინისტურ-ადრეელინისტური ხანის ძეგლებზე,<sup>14</sup> კამარაზევის,<sup>15</sup> დაჭრილების,<sup>16</sup> „ქასრაანთ მიწების“<sup>17</sup> და სხვა სამაროვნებზე.

ქვევრსამარხში მოპოვებულ სხვა ნივთებსაც პარალელები ამ პერიოდის ძეგლებზე ეძებნებათ. ლურჯი მინის ჩიტისთავიანი მძივ-საკიდი (ტაბ. XXXIX<sub>14</sub>, LIX<sub>11,13</sub>) მსგავსია წნისის სამაროვნის № 29 სამარხში მოპოვებული ანალოგიური ნივთისა.<sup>18</sup> ბრინჯაოს მილაკები (ტაბ. XXXIX<sub>15</sub>, LIX<sub>4,6</sub>) მოპოვებულია ბეჭთაშენის სამაროვნის № 5,<sup>19</sup> ღრმაზევისთავის სამაროვნის № 20,<sup>20</sup> 93,<sup>21</sup> შავსაყდარა I სამაროვნის № 13<sup>22</sup> სამარხებში, დაჭრილების სამაროვნის № 14 ქვევრსამარხში<sup>23</sup> და სხვა. ფართოდ გავრცელებულია პაპიკორის ქვევრსამარხში მოპოვებული სამივე ტიპის ზარაკების ფორმები (ტაბ. XXXIX<sub>10,13</sub>; LIX<sub>2,7,9</sub>), რომელთა

<sup>12</sup> 6. ნაკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, ტაბ. XXXIV<sub>4,5,6</sub>.

<sup>13</sup> ვ. თოლორდავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

<sup>14</sup> Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалетии. с. 42.

<sup>15</sup> რ. რამიშვილი, კამარაზევის სამაროვანი, – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1959, ტაბ. XIV, XVI.

<sup>16</sup> 6. ნაკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34, 36, 38, ტაბ. XXXII, XXXVI, XXXVIII.

<sup>17</sup> ე. ბერაძე, ანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., გვ. 22, ტაბ. XX.

<sup>18</sup> კ. კვიუინაძე, წნისის ხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. – ძეგლის მეგობარი, № 63, თბ., 1983.

<sup>19</sup> მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, თბ., 1968, გვ. 120, ტაბ. XI.

<sup>20</sup> ღრმაზევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 21, 120, ნახ. 102.

<sup>21</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, ტაბ. CVII<sub>38</sub>.

<sup>22</sup> 6. ნაკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, ტაბ. XXXIV.

მსგავსი აღმოჩენილია შავსაყდარა I,<sup>23</sup> გომარეთის,<sup>24</sup> კამარა-<sup>25</sup> ხევის,<sup>26</sup> დაჭრილების,<sup>27</sup> ყანჩაეთის<sup>28</sup> სამაროვნებზე, სამადლოზე<sup>29</sup> და მთელ რიგ სხვა ძეგლებზე. ყურადღებას იქცევს ოქროს სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. XXXIX;<sup>30</sup> LIX<sub>5</sub>). როგორც სამკაულის სახეობა ისინი ადრეანტიკური და ადრეელინისტური პერიოდებისათვის თითქმის აუცილებელი ატრიბუტებია. მაგალი- თად, ქვემო ქართლში (და არა მარტო ქვემო ქართლში) სამ- კაულის ეს სახე გვხვდება ამ პერიოდების თითქმის ყველა სამა- როვანზე.<sup>31</sup> მართალია, პაპიგორის ქვევრსამარხში აღმოჩენილი რგოლები რამდენადმე განსხვავდებიან იმ დროს გავრცელებული ძირითადი ტიპებისაგან, რომლებიც, უმეტეს შემთხვევებში, თა- ვებგაბრტყელებულ-გახვრეტილებია და გველის თავის სტილიზე- ბას წარმოადგენენ, მაგრამ გვხვდება სადა, მრგვალღეროიანი რგოლებიც, საერთო იერით მსგავსი პაპიგორულებისა, თუმცა ბევრად მცირე ზომების, მაგალითად, შავსაყდარა I სამარო- ვანზე.<sup>32</sup> განსხვავებულია მასალაც: ამ ტიპის სამკაულის დასამ- ზადებლად ძირითადად ვერცხლს ხმარობდნენ, უფრო ნაკლებად ბრინჯაოს, ხოლო ოქრო ქვემო ქართლის ძეგლებიდან ჯერჯე- რობით მხოლოდ არდასუბნის სამაროვანზე შეგვხვდა.<sup>33</sup> მიუხედა- ვად ყოველივე ამისა, არ არსებობს არავითარი საფუძველი პა- პიგორული ოქროს სასაფეთქლე რგოლების სხვა პერიოდით და- თარიღებისათვის. პარალელები ეძებნება დახვრეტილ ბრინჯაოს გულსაკიდსაც (ტაბ. XXXIX<sub>7</sub>; LIX<sub>3</sub>). ამგვარი ნივთი აღმოჩე- ნილია ქლივანის II სამაროვნის № 34 სამარხში. საყურადღებოა რომ იგი იყო კომპლექსში მთვარისებურ საკიდთან ერთად. ძეგლი

<sup>23</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, ტაბ. CVI<sub>29</sub>; CXII<sub>64</sub>; XXV<sub>136</sub>.

<sup>24</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., ტაბ. XIX<sub>14</sub>.

<sup>25</sup> თ. ჯლარკავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, სურ. 1203.

<sup>26</sup> ნ. ნაკაიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, ტაბ. XXXIV.

<sup>27</sup> ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ზანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, გვ. 49- 50.

<sup>28</sup> იუ. მ. გაგოშიძე. სამადლო, კათალოგ: ტბ., 1981, თაბლ. LXI<sub>30,31</sub>.

<sup>29</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 71-76, იქვეა დასახელებული სხვა ლიტერატურაც.

<sup>30</sup> იხ. წინამდებარე ნაშრომი, ტაბ. CCII.

<sup>31</sup> ნ. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ზანის სამაროვანი, გვ. 129, სურ. II<sub>3</sub>.

ძვ.წ. IV ს. II ნახევრით თარიღდება.<sup>32</sup> მსგავსი საკიდი აღმოჩნდა საირხეშიც.<sup>33</sup> ცნობილია ბადისებური საკიდის სხვა ანალოგიც, ნასტაკისის ველზე გათხრილ, ძვ.წ. I საუკუნით დათარიღებულ № 9 ორმოსამარხიდან.<sup>34</sup>

ძვ.წ. IV-III საუკუნეების ძეგლებზე ფართოდ არის გავრცელებული პაპიგორის ქვევრსამარხში აღმოჩენილი მძივების ანალოგები (ტაბ. XXXIX<sub>3,8,9</sub>; LIX<sub>19</sub>). მაგალითად, თეთრი თვალებით ინკრუსტირებული მძივები უხვად გვხვდებიან შავსაყდარა I,<sup>35</sup> გომარეთის, კუშჩის,<sup>36</sup> კამარახევის,<sup>37</sup> ქლივანის II<sup>38</sup> და სხვა სამაროვნებზე. იგივე შეიძლება ითქვას ცისფერი პასტის იოტებზე, რომლის მსგავსებიც თვით პაპიგორის სამაროვანზე გვხვდება საკმაოდ უხვად. დაგრეხილტანიანი მძივები კი ცნობილია ასურეთის სამაროვნიდან.<sup>39</sup> სამწუხაროდ ძნელია პარალელების მოძებნა გიშრის მძივსაკიდებისათვის მათი დაზიანების გამო.

რაც შეეხება ბეჭდის ფარაქს, რომელზედაც მზის სტილიზებული გამოსახულებაა გამოყვანილი (ტაბ. XXXIX<sub>4</sub>; LIX<sub>10</sub>), პარალელები მასაც ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ძეგლებზე ეძებნება, კერძოდ, მსგავსი ნივთები აღმოჩენილია არდასუბნის სამაროვნის № 1 სამარხში,<sup>40</sup> ეცოს სამაროვანზე.<sup>41</sup>

როგორც ვხედავთ, პაპიგორის სამაროვნის № 49 ქვევრსამარხის ინვენტარი მიუთითებს ძვ.წ. IV-III საუკუნეებზე, ხოლო ზოგიერთ ნივთზე დაყრდნობით (მთვარისებური საკიდი, ფრინველისთავიანი ილარი, ცხენისთავიანი საკინძი და სხვა) სამარხი,

<sup>32</sup> ა. სლანოვი, იხ. ზემოთ მითითებული № 8 შენიშვნა.

<sup>33</sup> ჯ. ნადირაძე, საირხე საქართველოს უძველესი ქალაქი, წიგნი I, თბ., 1990, გვ. 63, ტაბ. XXXIII<sub>10</sub>.

<sup>34</sup> Полевые археологические исследования в 1977 году, Тб., 1980, с. 104, табл. LXXVI<sub>11</sub>.

<sup>35</sup> 6. თუშიშვილი, ს. მარგიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 87, 92, 105, 110, 113, 120, 139, 140.

<sup>36</sup> ც. დავლიანიძე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XIX.

<sup>37</sup> თ. ჯლარკავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 164, 173, სურ. 1200, 1323.

<sup>38</sup> ა. სლანოვი, იხ. შენიშვნა № 8.

<sup>39</sup> კ. გვიშინაძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან (ხელნაბეჭდი), თბ., 1975, ტაბ. XIII.

<sup>40</sup> 6. თუშიშვილი, ბოგვისხევის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი, გვ. 129, სურ. III.

<sup>41</sup> ცნობა მოგვაწოდა ვ. შატბერაშვილმა.

ვფიქრობთ, შეგვიძლია დავათარიღოთ ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულითა და III საუკუნის I ნახევრით.

რაც შეეხება მთლიანად სამაროვნის თარიღს, იგი უნდა განისაზღვროს ძვ.წ. IV საუკუნითა და III საუკუნის I ნახევრით. ამ თარიღზე, № 49 ქვევრსამარხთან ერთად, მიუთითებს აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა: კერამიკა, სამკაული, იარაღი, რომელთაც განვიხილავთ მოკლედ ტიპოლოგიურ ჯგუფებად.

**დოქები და ხელადები.** პირის ფორმის მიხედვით ორი ტიპის გამოყოფა შეიძლება: 1) სამტუჩა (ნისკარტიანი) და 2) მრგვალპირიანი.

პირველი ტიპის ჭურჭელი ორ ათეულამდე ეგზემპლარით არის წარმოდგენილი.

დოქები შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა (სამარხი № 2, ტაბ. XVII<sub>2</sub>, LX; სამარხი № 17, ტაბ. XXVII<sub>1</sub>, LI<sub>3</sub>, LX<sub>4</sub>; სამარხი № 21, ტაბ. XXIX<sub>5</sub>, LI<sub>2</sub>, LX<sub>5</sub>). ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით. ფორმის მიხედვით ისინი მსგავსია ნისკარტიანი, მრგვალმუცლიანი და ბრტყელძირა ხელადებისა.

შედარებით დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ხელადები. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 5, ტაბ. XVIII<sub>12</sub>; სამარხი № 11, ტაბ. XXIII<sub>2</sub>; სამარხი № 12, ტაბ. XXIV<sub>1</sub>, LI<sub>1</sub>, LX<sub>2</sub>; სამარხი 23, ტაბ. XXX<sub>1</sub>, L<sub>1</sub>, LX<sub>6</sub>; სამარხი № 25, ტაბ. XXI<sub>1</sub>, L<sub>2</sub>; სამარხი № 26, ტაბ. XXXII<sub>4</sub>, LXIII<sub>1</sub>; სამარხი № 32, ტაბ. XXXIII<sub>4</sub>, LII<sub>4</sub>, LXII<sub>4</sub>; სამარხი № 47, ტაბ. XXXVIII<sub>19</sub>, LXIII<sub>5</sub>; სამარხი № 51, ტაბ. XL<sub>3</sub>; სამარხი № 67, ტაბ. XLII<sub>2</sub>, LI<sub>4</sub>, LXI<sub>1</sub>; სამარხი № 68, ტაბ. XLIII<sub>2</sub>, L<sub>3</sub>, LXI<sub>2</sub>; სამარხი № 70, ტაბ. XLV<sub>1</sub>, LI<sub>5</sub>, LXI<sub>3</sub>; სამარხი № 72, ტაბ. XLVI<sub>3</sub>, LI<sub>5</sub>, LXI<sub>4</sub>; სამარხი № 73, ტაბ. X LVII<sub>7</sub>, L<sub>4</sub>, LXI<sub>5</sub>). ზოგიერთი მათგანი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 23, 67, 68, 72).

ხელადების აბსოლუტური უმრავლესობა მომრგვალებულმუცლიანია, ორი – (სამარხი №№ 12, 23) ბიკონუსურტანიანი.

მეორე ტიპის ჭურჭლები ხელადებითაა წარმოდგენილი და 14 ცალი აღმოჩნდა სამაროვანზე. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 8, ტაბ. XXI<sub>7</sub>, LVIII<sub>3</sub>, LXII<sub>5</sub>; სამარხი № 15, ტაბ. XXVI<sub>3</sub>, LXIII<sub>2</sub>; სამარხი № 19, ტაბ. XXVIII<sub>5</sub>; სამარხი № 37,

ტაბ. XXXIV<sub>7</sub>, LVIII<sub>1</sub>, LXII<sub>2</sub>; სამარხი № 40, ტაბ. XXXV, LVIII<sub>2</sub>, LXII<sub>3</sub>; სამარხი № 41, ტაბ. XXXV<sub>15</sub>, LII<sub>3</sub>, LXII<sub>5</sub>; სამარხი № 41, ტაბ. XXXV<sub>16</sub>, LII<sub>1</sub>, LXII<sub>6</sub>; სამარხი № 42, ტაბ. XXXVI, LXIII<sub>3</sub>; სამარხი № 43, ტაბ. XXXVII<sub>3</sub>, LXIII<sub>4</sub>; სამარხი № 45, ტაბ. XXXVIII<sub>18</sub>, LXII<sub>8</sub>; სამარხი № 49, ტაბ. XXXIX<sub>16</sub>, LII<sub>5</sub>, LXII<sub>7</sub>; სამარხი № 51, ტაბ. XL<sub>1</sub>, LII<sub>6</sub>, LX<sub>7</sub>; სამარხი № 51, ტაბ. XL<sub>2</sub>, LII<sub>2</sub>, LXIII<sub>6</sub>; სამარხი № 60, ტაბ. XLI<sub>1</sub>, LX<sub>8</sub>). ზოგიერთი მათვანი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი №№ 41, 43, 45, 49, 60), სამი მოხატულია წითელი საღებავით (სამარხი №№ 8, 37, 40). ხელადების უმრავლესობა მომრგვალებულმუცლიანია, ოთხი – მსხლისებურტანიანი (სამარხი №№ 8, 37, 40, 51).

ამრიგად, პაპიგორას სამაროვანზე აღმოჩენილი ყველა დოქი და ხელადა მოვარდისფროდაა გამომწვარი. დიდი ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით, სამი მოხატულია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მომრგვალებულმუცლიანია, ოთხი – მსხლისებურტანიანი და ორი – ბიკონუსურტანიანი.

ადრეანტიკური ხანის ამ ტიპის ჭურჭლებში ძვ.წ. IV ს-ის მიწურულისათვის პროპორციების დაგრძელება შეინიშნება, რაც თითქოს არ დასტურდება პაპიგორის სამაროვანზე. მხოლოდ მოხატული ცალები იჩენენ პროპორციების დაგრძელების ტენდენციას.<sup>42</sup> ყოველივე ზემოჩამოთვლილი შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ პაპიგორას სამაროვანი ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებს ეკუთვნის.

პაპიგორაზე აღმოჩენილი დაშტრიხული სამკუთხედებით მოხატული დოქიც სამაროვნის თარიღს უფრო ძვ.წ. IV ს-ის I ნახევრით და შუა ხანებით განსაზღვრავს, რადგან ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარში ქართლის ტერიტორიაზე მოხატვის სტილში გარკვეული სიახლეები შეინიშნება,<sup>43</sup> რაც პაპიგორას ეგზემპლარზე არ ჩანს. თუმცა დანარჩენი მოხატული ჭურჭლები შემოთავაზებულ თარიღს თითქოს აახალგაზრდავებენ. ამ აზრს ამაგრებს ისიც, რომ სამაროვანზე გათხრილი თიხის ჭურჭლების აბსოლუტური უმრავლესობა კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და მოვარდისფროდაა გამომწვარი, განსხვავებით ძვ.წ. V ს-ის და ძვ.წ. IV ს-ის I ნახევრისათვის ქართლის ძეგლებზე და-

<sup>42</sup> Г. Нариманишвили. Керамика Картли V-I вв. до н.э. Автореферат... с. 5-6.

<sup>43</sup> გ. ნარიმანიშვილი, ქართლის ძვ.წ. V-I სს. კერამიკა. – ძეგლის მეგობარი № 3, 1988, გვ. 49-51.

დასტურებული სიტუაციისა, სადაც გვხვდება მინარევებიანი ონისაგან დამზადებული, არათანაბრად გამომწვარი ჭურჭლები. როგორც ჩანს ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები და II ნახევარი პაპიკორას სამაროვანისათვის ყველაზე მისაღებია.

**მიღლიანი ხელადები – „ჩაიღნები“.** ამ ტიპის ჭურჭელი საქართველოში ფართოდ არ გავრცელებულა. ისინი ძირითადად ძვ.წ. V-IV სს. ძეგლებზე გვხვდება. ასეთი ჭურჭელი, როგორც ჩანს, გავრცელდა ირანიდან, სადაც ისინი უძველესი დროიდან არიან ცნობილი. „ჩაიღნების“ გენეზისის და გავრცელების საკითხები დაწვრილებითაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში.<sup>44</sup> საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია გომარეთში,<sup>45</sup> კუმისში,<sup>46</sup> ბეჭთაშენში,<sup>47</sup> კიკეთში,<sup>48</sup> მუხათგვერდში,<sup>49</sup> შორის სამაროვანზე,<sup>50</sup> ასურეთში,<sup>51</sup> ენაგეთში,<sup>52</sup> ხოვლეში.<sup>53</sup>

პაპიკორას სამაროვანზე ოთხი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა (სამარხი № 3, ტაბ. XVIII<sub>5</sub>; სამარხი № 6, ტაბ. XIX<sub>11</sub>, XLIX<sub>3</sub>, LXI<sub>6</sub>; სამარხი № 10, ტაბ. XXII<sub>5</sub>, XLIX<sub>2</sub>, LXI<sub>7</sub>; სამარხი № 35, ტაბ. XXXIV<sub>1</sub>, XLIX<sub>1</sub>, LXI<sub>8</sub>). ყველა მათგანი გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით. მასალის სიმცირის გამო მათი ტიპოლოგიური დაჯგუფება არ ხერხდება.

<sup>44</sup> Ю. М. Гагошидзе, Самадло (археологические раскопки), с. 77-78; ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, გვ. 17-19; დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. გვ. 93-94.

<sup>45</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის.... გვ. 120-121, 131, ტაბ. XII<sub>1,7</sub>.

<sup>46</sup> ც. დავლიანიძე. О некоторых неопубликованных... – КСИА, № 151, с. 124, рис. 2-6, 8, 9.

<sup>47</sup> მ. მენაბდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, გვ. 120, 123, ტაბ. XI<sub>352</sub>, XII<sub>378</sub>.

<sup>48</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის.... გვ. 17, ტაბ. IV<sub>1</sub>.

<sup>49</sup> ლ. ხეცურიანი, მუხათგვერდი II, ადრეელინისტური ხანის სამაროვანი. ხელნაწერი. გვ. 12, ტაბ. XX<sub>2</sub>.

<sup>50</sup> ოთ. ტყეშელაშვილი, ფოლადაურის ხეობა, გვ. 67, ტაბ. XI<sub>593</sub>.

<sup>51</sup> კ. კვიშინაძე, ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლში. საკანდიდატო დისერტაცია. გვ. 41-42, ტაბ. XXIII<sub>1</sub>.

<sup>52</sup> კ. კვიშინაძე, ადრეანტიკური ხანი..., გვ. 10, ტაბ. III<sub>3</sub>.

<sup>53</sup> დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის..., გვ. 44, 53, 93-94, ტაბ. LVII-1004-1006-S, 989-S, 1032-S, 1038-S, 942-S, 973-S; ტაბ. LVIII-1031-S.

უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი მათგანის მიღს ნისკარტი აქვს (სამარხი № 6), რაც მას ხოვლეს მასალებთან აახლოვებს.

**ყურმილიანი ხელადა.** შემთხვევითაა მონაპოვარი (ტაბ. LXVII<sub>6</sub>), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ამ ტიპის ჭურჭელი კოლხური კულტურისთვისაა დამახასიათებელი და ძირითადად ადრეანტიკურ ხანაშია გავრცელებული.<sup>54</sup> აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ისინი შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ასეთი ჭურჭელის აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენა, სხვა მასალებთან ერთად, კოლხეთთან გარკვეული ურთიერთობების მაჩვენებელია.

**ჯამები.** პირის ფორმის მიხედვით ორი ტიპის გამოყოფა შეიძლება – 1) პირმოყრილი და 2) პროფილირებულპირიანი.

პირმოყრილი ჯამი სამი ცალი აღმოჩნდა (სამარხი № 12, ტაბ. XXIV<sub>2</sub>, LVII<sub>4</sub>, LXVI<sub>1</sub>; სამარხი № 43, ტაბ. XXXVII<sub>5</sub>, LVII<sub>3</sub>, LXVI<sub>2</sub>; სამარხი № 57, ტაბ. XLI<sub>15</sub>, LVII<sub>1</sub>, LXVI<sub>3</sub>). მათთვის დამახასიათებელია ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი. ერთი მათგანი (სამარხი № 12) მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი, ორი კი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაა და წითლადაა შეღებილი.

მეორე ტიპის ჯამებისათვის დამახასიათებელია ფართო, გარეთ გადაშლილი პირი, პროფილირებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი. სამაროვანზე აღმოჩენილი ოთხი ჯამიდან ერთი რუხადაა გამომწვარი (სამარხი № 11, ტაბ. XXIII<sub>1</sub>, LVII<sub>2</sub>, LXVI<sub>4</sub>), სამი – მოვარდისფროდ (სამარხი № 1, ტაბ. XVII<sub>1</sub>, LVI<sub>1</sub>, LXVI<sub>10</sub>; სამარხი 67, ტაბ. XLII<sub>1</sub>, LVI<sub>7</sub>, LXVI<sub>11</sub>; სამარხი 69, ტაბ. XLIV<sub>6</sub>, LVI<sub>4</sub>, LXVI<sub>9</sub>), სამივე შეღებილია წითელი საღებავით.

**ფიალები.** ფორმის მიხედვით ორი ტიპის გამოყოფა შეიძლება: 1) პირის დიამეტრი და სიმაღლე თითქმის თანაბარია, 2) სიმაღლე პირის დიამეტრის 1/3 ან ნაკლებია.

პირველი ტიპის ერთი ფიალა აღმოჩნდა (სამარხი № 6, ტაბ. XIX<sub>5</sub>, LVI<sub>8</sub>, LXVI<sub>6</sub>). დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით.

მეორე ტიპის ფიალები ოთხი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ყველა მათგანი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული

<sup>54</sup> ვანი V, თბ., 1981. გვ. 33-38.

და გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 13, ტაბ. XXV<sub>13</sub>, LVI<sub>6</sub>, LXVI<sub>12</sub>; სამარხი № 14, ტაბ. XXV<sub>10</sub>, LVI<sub>5</sub>, LXVI<sub>8</sub>), ორი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 2, ტაბ. XVII<sub>5</sub>, LVI<sub>2</sub>, LXVI<sub>5</sub>; სამარხი № 14, ტაბ. XXV<sub>9</sub>, LVI<sub>3</sub>, LXVI<sub>7</sub>).

**ტოლჩა.** პაპიკორას სამაროვანზე სამი ტოლჩა აღმოჩნდა. სა-  
მივე დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია  
მოვარდისფროდ, ორი მათგანი შეღებილია წითელი საღებავით  
(სამარხი № 75, ტაბ. XLVIII<sub>2</sub>, LV<sub>2</sub>, LXIV<sub>2</sub>; სამარხი № 77,  
ტაბ. XLVIII<sub>1</sub>, LV<sub>1</sub>, LXIV<sub>1</sub>), ერთი, შემთხვევით მოპოვებული  
(ტაბ. LV<sub>3</sub>, LXIV<sub>3</sub>), შეუღებავია.

ტოლჩებს გადაშლილი პირი, მაღალი ტანი, დაბალი მუცელი  
და ბრტყელი ძირი აქვთ. ანალოგიური ტოლჩები აღმოჩენილია  
კამარახევში<sup>55</sup> (ძვ.წ. V-IV სს.) და მუხათგვერდში<sup>56</sup> (ძვ.წ. IV ს-ის  
II ნახევარი).

**ქოთნები** სამზარეულო ჭურჭლის ერთ-ერთ სახეობას წა-  
რმოადგენენ. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ფართო პირი,  
გარეთ გადაშლილი ქობა, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუ-  
ცელი და ბრტყელი ძირი აქვთ.

ამ ტიპის ჭურჭლის ფორმა დიდი ხნის განმავლობაში თითქმის  
უცვლელი რჩება. არ იცვლება მათი დამზადების ტექნოლოგიაც –  
თიხა მინარევებიანია, უხეში კეცი გამომწვარია რუხად. ამდენად  
მათი ტიპოლოგიის და თარიღის შესახებ საუბარი ჭირს.

სამაროვანზე შვიდი ქოთანი აღმოჩნდა. № 43 (ტაბ.  
XXXVII<sub>2</sub>, LXIV<sub>6</sub>), № 52 (ტაბ. XLI<sub>2</sub>, LIII<sub>4</sub>, LXIV<sub>5</sub>), და № 57  
(ტაბ. XLI<sub>8</sub>, LIV<sub>8</sub>) სამარხებიდან მომდინარე ქოთნები დამზა-  
დებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია რუხად.  
№ 75 სამარხში აღმოჩენილი ქოთანი (ტაბ. XLVIII<sub>4</sub>, LIII<sub>3</sub>,  
LXIV<sub>7</sub>) მონაცრისფრო თიხისაა, № 29 სამარხის ქოთანი (ტაბ.  
XXXIII<sub>2</sub>, LIII<sub>5</sub>, LXIV<sub>4</sub>) მოვარდისფროა – არათანაბრად  
გამომწვარი, ხოლო № 61 სამარხის ქოთანი (ტაბ. XLI<sub>6</sub>, LIII<sub>1</sub>,  
LXIII<sub>7</sub>) კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, მოვარ-  
დისფროდაა გამომწვარი და შეღებილია წითელი საღებავით. ყვე-  
ლა მათგანი ყურიანია, მომრგვალებულმუცლიანი. ხოგიერთს ეტ-  
ყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

<sup>55</sup> თ. ჯლარგავა. კამარახევის სამაროვანი. გვ. 146, 147, 166, სურ. 978,  
982, 1223.

<sup>56</sup> ლ. ხეცურიანი, მუხათგვერდი II..., გვ. 7, ტაბ. VI<sub>2</sub>.

სამაროვანზე აღმოჩნდა ორყურა ქოთანი (სამარხი № 69, XLIV<sub>5</sub>, LV<sub>5</sub>, LXVII<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი. მხარი დაშტრიხული რომბებითაა შემკული, თავისი ფორმით და შემკულობით იგი გვიანძრინჯაოს ხანის ჭურჭლებს ჩამოგავს.

**კოჭობი** პატარა ზომის სამზარეულო ჭურჭელია, რომელსაც ფართო გადაშლილი პირი, დაბალი, გამოყვანილი ყელი, სფერული ან ბიკონუსური ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ კოჭობებში ტიპოლოგიური რიგის გამოყოფა შეიძლება, მათი ფორმის და დამზადების ტექნოლოგიის კონსერვატულობა, ისევე როგორც ქოთნებისა, არ იძლევა საშუალებას ქრონოლოგიური დაყოფაც მოვახდინოთ. ისინი, ქოთნების მსგავსად, ძირითადად, დახურული კომპლექსების საშუალებით თარიღდებიან.

პაპიგორას სამაროვანზე 13 მთელი კოჭობი აღმოჩნდა. ჭურჭლების ნაწილი რუხადაა გამომწვარი (სამარხი № 3, ტაბ. XVIII<sub>8</sub>, LIV, LXV; სამარხი № 6, ტაბ. XIX<sub>7</sub>, LXV<sub>3</sub>; სამარხი № 19, ტაბ. XXVIII<sub>3</sub>, LIV<sub>6</sub>, LXV<sub>6</sub>; სამარხი № 26, ტაბ. XXXII, LXV<sub>9</sub>; სამარხი № 70, ტაბ. XLV<sub>3</sub>, LXV<sub>12</sub>), ნაწილი – მოვარდისფროდ არათანაბრად (სამარხი № 5, ტაბ. XVIII<sub>11</sub>, LXV<sub>2</sub>; სამარხი № 10, ტაბ. XXII<sub>4</sub>, LIV<sub>2</sub>, LXV<sub>4</sub>; სამარხი № 18, ტაბ. XXVIII; სამარხი № 67, ტაბ. XLII<sub>5</sub>, LIV<sub>7</sub>, LXV<sub>10</sub>; სამარხი № 77, ტაბ. XLVIII<sub>3</sub>, LXIV<sub>8</sub>). ერთი ჭურჭელი მოჩალისფროა (სამარხი № 23, ტაბ. XXX<sub>3</sub>, LXV<sub>7</sub>), ხოლო ორი – მოვარდისფროდაა გამომწვარი და შეღებილი წითელი საღებავით (სამარხი № 14, ტაბ. XXV<sub>11</sub>, LIV<sub>3</sub>, LXV<sub>5</sub>; სამარხი № 68, ტაბ. XLIII<sub>5</sub>, LIV<sub>4</sub>, LXV<sub>11</sub>).

ყველა კოჭობი მომრგვალებულმუცლიანია, ერთი კი (სამარხი № 68) – ბიკონუსურტანიანი. მათი უმრავლესობა მსხვილმარცვლოვანი თიხისაა, არათანაბრად გამომწვარი. ნაწილს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

**ჭრაქი** (სამარხი № 21, ტაბ. XXIX<sub>4</sub>, LVII<sub>6</sub>, LXVII<sub>5</sub>). დაზადებულია მსხვილმაცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

ჭრაქები აღმოჩენილია კამარახევში,<sup>57</sup> ვარსიმაანთკარში,<sup>58</sup> მუხათგერდში,<sup>59</sup> ასურეთში,<sup>60</sup> უფლისციხეში,<sup>61</sup> სამადლოში,<sup>62</sup> კავ-  
თისხევში,<sup>63</sup> ბეშთაშენში,<sup>64</sup> გომარეთში.<sup>65</sup>

ჭრაქების ტიპოლოგია და ქრონოლოგიური შეკალა უკვე შე-  
მუშავებულია,<sup>66</sup> რომლის მიხედვითაც პაპიგორის ჭრაქი ძვ.წ. IV  
ს-ის I ნახევარში და შუა ხანებში თავსდება.

**მათარა** (სამარხი № 42, ტაბ. XXXVI<sub>1</sub>, LV<sub>6</sub>, LXVII<sub>3</sub>)  
საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ნაკლებად გავრცელებული  
თიხის ჭურჭელია. ყველაზე ადრეული ცალი (ძვ.წ. VII-VI სს.)  
აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე. ძვ.წ. V საუკუნითაა და-  
თარიღებული ხოვლეში<sup>67</sup> და ფიჭვნარში<sup>68</sup> აღმოჩენილი მათარები,  
ძვ.წ. IV-III სს. – ფიჭვნარში, მაღლაკში, ბუკისციხეში,<sup>69</sup> ძვ.წ. IV-  
II სს. – უფლისციხეში<sup>70</sup> და საჩხერეში<sup>71</sup> გამოვლენილი ეგზემპლა-  
რები.

პაპიგორაზე აღმოჩენილი მათარა ბრტყელძირიანია, მოყვითა-  
ლო-მოჩალისფროდ გამომწვარი.

<sup>57</sup> ო. ჯლარკავა. კამარახევის სამაროვანი. სურ. 946, 968, 975, 1056,  
1292, 1344, 1365, 1380, 1421, 1428, 1474.

<sup>58</sup> ლ. წითლანაძე, ვარსიმაანთკარის სამაროვანი. – ჟინვალი I, გვ. 60,  
ტაბ. XXI<sub>5</sub>.

<sup>59</sup> ლ. ხეცურიანი. დას. ნაშრ. ტაბ. XXI<sub>2</sub>, XXIII, XXIX<sub>4</sub>, XXX,  
XXXIV<sub>1</sub>.

<sup>60</sup> პ. კვიშინიძე, დასახ. ნაშრ. დამატება. გვ. 38, ტაბ. XV<sub>3</sub>.

<sup>61</sup> დ. ხახუტაიშვილი. უფლისციხე, II, გვ. 77, ტაბ. XV<sub>4</sub>.

<sup>62</sup> ი. გაგოშიძე, სამადლი, კატალოგ, გვ. 29, სურ. 476.

<sup>63</sup> ნ. ნაკაიძე, დაჭრილების სამაროვანი. – კავთისხევის არქეოლოგიური  
ძეგლები. გვ. 30, ტაბ. XXV<sub>1</sub>.

<sup>64</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის.... გვ. 30, ტაბ. IV<sub>21</sub>.

<sup>65</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის.... გვ. 132, ტაბ. XIII<sub>17</sub>.

<sup>66</sup> გ. ნარიმანიშვილი, ქართლის ძვ.წ. V-I სს. კერამიკა. გვ. 28-33.

<sup>67</sup> დ. მუსხელიშვილი, ხოვლეს...., გვ. 50, 55, 81, საინვ. № 1388-1.

<sup>68</sup> ნ. ვაშაკიძე, ფიჭვნარის სამაროვანი. – სამხრეთ-დასავლეთ საქართვე-  
ლოს ძეგლები. ტ. VII, გვ. 48-50.

<sup>69</sup> ვანი, V, გვ. 44.

<sup>70</sup> დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, გვ. 46-47, ტაბ. VII<sub>10</sub>, XXV<sub>10</sub>, V.

<sup>71</sup> დ. ქორიძე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები (საჩხერის  
რაიონი), გვ. 126, ტაბ. XV<sub>3</sub>.

მათარების დანიშნულების თაობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული.<sup>72</sup> ჩვენ ისინი, მკვლევართა უმრავლესობის მსგავსად სამგზავრო ჭურჭლებად მიგვაჩნია, თუმცა არ გამოვრიცხავთ მის ტარად გამოყენებასაც.

**ქვევრის მოდელი** (სამარხი № 57, ტაბ. XLI<sub>14</sub>, LV<sub>4</sub>, LXVIII<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, წითლად შეღებილი და კანელურებიანია.

მსგავსი ჭურჭლები ცნობილია ბეშთაშენის სამაროვნიდან,<sup>73</sup> შემთხვევითაა აღმოჩენილი სოფ. წერაქვში.<sup>74</sup> ორივე შემთხვევაში ჭურჭლი შავადაა გამომწვარი. ნასტაკისში და ცხრაძმის სამაროვანზე<sup>75</sup> აღმოჩენილი ცალები მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისაა, პირველი მოხატულია, მეორე კი – შეღებილია წითელი სალებავით. პაპიგორის ეგზემპლარი დიდ მსგავსებას იჩენს ამ უკანასკნელთან, იმ განსხვავებით, რომ ცხრაძმის ცალს გვერდზე საფგარი აქვს მიძერწილი.

მათი უძველესი პარალელები სამთავროს გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანზეა აღმოჩენილი.<sup>76</sup> ძვ.წ. V საუკუნითაა დათარიღებული ბეშთაშენის და წერაქვის ცალები, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით ცხრაძმის, ძვ.წ. II-I სს. კი – ნასტაკისის სამაროვანზე მოპოვებული ჭურჭლები.

**სამკაული** პაპიგორის სამაროვანზე შემდეგი სახეობებითაა წარმოდგენილი: სამაჯური, სასაფეთქლე რგოლი, საყურე, ბეჭედი, საკინძი, ზარაკი და მძივი. თითოეულ სახეობას განვიხილავთ ცალ-ცალკე.

**სამაჯური** აღმოჩნდა 23 ერთეული, აქედან 16 ბრინჯაოსია (სამარხები №№ 5, 6, 14, 16, 21, 23, 61, 68-70, 72), დანარჩენი კი – (სამარხები №№ 2, 36-37, 45, 61, 68-69) რკინის.

**ბრინჯაოს სამაჯურები** სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

<sup>72</sup> Ф. Тер-Мартиросов. Керамика эллинистической Армении как исторический источник. Автореферат диссертации на соискание уч. Степени кандидата ист. Наук. Ереван. 1984, с.20.

<sup>73</sup> გ. მენებდე, ც. დავლიანიძე, თრიალეთის სამაროვნები, გვ. 141, ტაბ. XV<sub>549</sub>; ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის ..., გვ. 35, ტაბ. V<sub>23</sub>.

<sup>74</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის ..., გვ. 35.

<sup>75</sup> გ. ნარიმანიშვილი, მარაბდისა და ცხრაძმის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგია, პერიოდიზაცია. ხელნაწერი, 1984, გვ. 39-41.

<sup>76</sup> ა. კალანდაძე, სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა IV, თბ., 1980, სურ. 199-202, 400, 401.

I ჯგუფს წარმოადგენს მრგვალ-ბრტყელი ღეროს მქონე სამაჯურები, რომელთა თავებიც ცხოველთა გამოსახულებებითაა შემკული. ამ ჯგუფში 9 სამაჯური ერთიანდება (სამარხები №№ 5-6, 14, 21, 68-70, 73; ტაბ. LXIX<sub>1,2,4-10</sub>). სამაჯურთა ეს ტიპი, რომელშიც მრავალი სხვადასხვა ვარიანტი გამოიყოფა, ფართოდა გავრცელებული ძვ.წ. V საუკუნის შუახანებიდან – IV-III საუკუნეების ჩათვლით და გვხვდება ამ პერიოდების აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზე.<sup>78</sup>

II ჯგუფში ერთიანდება მრგვალდეროიანი, თავებზე ბურთულებით შემკული სამაჯურები (სამარხები №№ 6, 61, ტაბ. LXIX<sub>11-13</sub>). პაპიგორის სამაროვანზე ასეთი სულ სამია. მათგან ერთი სწორზურგაა (ტაბ. LXIX<sub>11</sub>), ორი კი – ზურგშეზნექილი (ტაბ. LXIX<sub>12,13</sub>). ამ ფორმების მქონე სამაჯურთა გავრცელების დრო ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულითა და III საუკუნის I ნახევრით განისაზღვრება.<sup>79</sup>

III ჯგუფში შედის მრგვალდეროიანი სადა სამაჯურები (სამარხი №№ 10, 14, 23, ტაბ. LXIX<sub>3,16,18</sub>). მათ შესახებ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ისინი არსებობენ დროის დიდ მონაკვეთში, ადრეანტიკურ-ელინისტური პერიოდების მანძილზე და ამდენად მათი დათარიღება მხოლოდ კონკრეტული კომპლექსიდან გამომდინარეა შესაძლებელი.<sup>80</sup> აქედან გამომდინარე პაპიგორის სამაროვნის სამაჯურები შეგვიძლია განვიხილოთ ძვ.წ. IV-III საუკუნეების ნივთებად, ამასთან აღვნიშნავთ, რომ ერთ შემთხვევაში (სამარხები № 14, ტაბ. XXV<sub>2-4</sub>) სამაჯურთა წარმოდგენილი ტიპი გვხვდება I ჯგუფის სამაჯურებთან ერთად.

რკინის სამაჯურები, რომლებმაც ჩვენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახით მოაღწიეს (ტაბ. XVII<sub>4</sub>; XXXIV<sub>8-9</sub>; XXXVIII<sub>17</sub>; XLI<sub>7</sub>; XLIV<sub>3</sub>; LXIX<sub>14,17</sub>), ორ ჯგუფად იყოფა: I ჯგუფს წარმოადგენს მრგვალდეროიანი, სწორზურგა სამაჯურები, II ჯგუფს – ზურგდაბურთული, ხოლო III ჯგუფს – ზურგ-

<sup>77</sup> ამ ჯგუფის სამაჯურთა სხვადასხვა ვარიანტებისათვის დამახასიათებელი ნიშნები დეტალურად აქვს განხილული ნ. გოგიძერიძეს, იხ. ნ. გოგიძერიძე, ანტიკური ხანის სამაჯურების ტიპოლოგიისათვის, – მაცნე, ისტ. არქ. ეთნოგ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 4, 1988, თბ., გვ. 98-111.

<sup>78</sup> იხ. იქვე, გვ. 108-109.

<sup>79</sup> იხ. იქვე, გვ. 110.

<sup>80</sup> ნ. გოგიძერიძე, ანტიკური ხანის სამაჯურთა ტიპოლოგიისათვის, გვ. 110.

შეზნექილი სამაჯურები. აღნიშნული ტიპის სამაჯურები, რომლებიც იმეორებენ ბრინჯაოს სამაჯურების ფორმებს, ძირითადად ძვ.წ. IV საუკუნის შუახანებითა და II ნახევრით თარიღდებიან, პაპიგორის სამაროვანზე რამდენიმე შემთხვევაში გვხვდებიან მათთან ერთად კომპლექსში (სამარხები №№ 61, 68-69) და აღნიშნულ ხანებში ისევე ფართოდ არიან გავრცელებულნი, როგორც ბრინჯაოს სამაჯურები.

**სასაფეთქლე რგოლი** განსახილველი ხანისათვის ისეთივე ფართოდ გავრცელებული სამკაულის სახეობას განეკუთვნება, როგორც ცხოველის თავიანი ბრინჯაოს სამაჯურები. მათ მსგავსად, სასაფეთქლე რგოლებიც აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზეა ფართოდ წარმოდგენილი. პაპიგორის სამაროვანზე სამკაულის ეს სახეობა აღმოჩნდა 7 სამარხში (№№ 6, 14, 21, 47, 61, 69, 73). მათგან გამოიყოფა ორი ჯგუფი.

I ჯგუფს შეადგენს მრგვალლეროიანი, თავგახსნილი, სადა რგოლები, უკლებლივ ყველა ბრინჯაოსაგანაა დამზადებული (სამარხები №№ 6, 21, 47, 61, ტაბ. XXV<sub>6</sub>, XXIX<sub>1</sub>, XXXVIII<sub>14</sub>, XLI<sub>12,13</sub>, LXX<sub>10-16</sub>).<sup>82</sup>

II ჯგუფში კი ერთიანდება თავებგაბრტყელებული და გახვრეტილი რგოლები, მათგან სამი წყვილი ვერცხლისაა (სამარხები №№ 6, 14, 69, ტაბ. XIX<sub>2</sub>, XXV<sub>5,8</sub>, XLIV<sub>1</sub>, LXIX<sub>15</sub>, LXX<sub>14</sub>), ერთი კი – ბრინჯაოსი (სამარხი № 73, ტაბ. XLVII<sub>5,6</sub>, LXX<sub>5,6</sub>).

თავგახვრეტილი სასაფეთქლე რგოლები აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზე ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში ჩნდებიან, ფართოდ ვრცელდებიან ადრეანტიკურ-ადრეელინისტურ პერიოდში და ამის შემდგომ, ფაქტიურად, გამოდიან ხმარებიდან.<sup>83</sup> პაპიგორის სამაროვნის რგოლები ტიპურია და არაფრით განსხვავდება თანადროული ხანის ძეგლებიდან ცნობილი ამ ტიპის სამკაულისაგან.

**საყურე პაპიგორის** სამაროვანზე ერთადერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (სამარხი № 3, ტაბ. XVIII<sub>1</sub>, LXX<sub>9</sub>), იგი წარმოადგენს მრგვალი ღეროს მქონე თავგახსნილ, სადა სამკაულს

<sup>81</sup> 6. გოგიბერიძე, ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთ-ერთი ტიპის დათარიღებისათვის. – მაცნე, ისტორიის არქ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 4, 1984, თბ., გვ. 137-142.

<sup>82</sup> ბრინჯაოს სადა რგოლებს სასაფეთქლეებად მივიჩნევთ მათი სამარხებში აღმოჩენის ვითარების გამო, ისინი მიცვალებულთა თავის ქალის არეში არიან ნაპოვნი.

<sup>83</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა... გვ. 71-76.

და ამ ნიშნების მიხედვით ადრეანტიკურ-ადრეულინისტური პერიოდების ტიპურ ნივთს წააგავს.

**ბეჭდები**<sup>84</sup> შედარებით მეტია, სულ 7 სამარხში (№№ 3, 5, 10, 16, 21, 26, 73) აღმოჩნდა 11 ერთეული (ტაბ. XVIII<sub>2,3</sub>, XVIII<sub>9</sub>, XXII<sub>2</sub>, XXVI<sub>1</sub>, XXIX<sub>6,7</sub>, XXXII<sub>2</sub>, XLVII<sub>2-4</sub>, LXX<sub>17-24</sub>). თითქმის ყველა მათგანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული, მხოლოდ ერთ სამარხში (№ 45, ტაბ. LXX<sub>17</sub>) აღმოჩნდა რკინის ფარავიანი ბეჭდები. ბრინჯაოს ბეჭდები საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება ზამბარისებურად დახვეული (სამარხები №№ 3, 73, ტაბ. LXX<sub>18-19</sub>), ზურგდაკუჭნილი (სამარხები №№ 3, 21, 26, ტაბ. LXX<sub>20-22</sub>), ზურგდაღარული (სამარხი № 73, ტაბ. LXX<sub>23-24</sub>) და ფართო, ბრტყელღეროვანი (სამარხი № 10, ტაბ. XXII<sub>2</sub>) ბეჭდები. ეს ფორმები არცთუ ფართოდაა გავრცელებული და სხვა ძეგლებზე მათთან შეხვედრის მხოლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს.<sup>85</sup>

**საკინძი**, 15 ცალი, <sup>86</sup> აღმოჩნდა 8 სამარხში (№№ 5, 6, 9, 10, 21, 69, 72, 73). ყველა მათგანი ბრინჯაოსაგანაა დამზადებული (ტაბ. LXXI<sub>1-15</sub>). ისინი ფორმებისა და შემკულობის მიხედვით ხუთ ჯგუფად შეიძლება დაყოს.

I ჯგუფში ერთიანდება ე.წ. პრიზმისებურთავიანი საკინძები (სამარხები №№ 6, 10, 21, 69, 73, ტაბ. LXXI<sub>3-6,8-9,11,15</sub>), სულ 8 ერთეული. მათ ახასიათებთ ნემსისებური ღერო, ყელისაგან გამოყოფილი ოთხკუთხა მოყვანილობის თავი და ყელზე ფართო ნახვრეტი. თავი შემკულია გადაჯვარედინებული ხაზებით, ყელი კი – წიწვისებური ორნამენტით. ამ ტიპის საკინძები უხვად გვხვდება ძვ.წ. V-III საუკუნეთა ძეგლებზე და ფართოდ გავრცელებულ ნივთებს წარმოადგენენ.<sup>87</sup>

II ჯგუფს განეკუთვნება საკინძები, რომლებიც ძირითადად იმეორებენ პრიზმისებურთავიან საკინძთა ფორმასა და ორნამენტაციას, იმ განსხვავებით, რომ თავები მათ მომრგვალებული აქვთ

<sup>84</sup> პაპიგორის სამაროვანზე მოპოვებული ბეჭდების დიდი ნაწილი მიცვალებულებს თითის ფალანგებზე ჰქონდათ წამოცმული.

<sup>85</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., ტაბ. X<sub>8,9</sub>, XVIII<sub>4,5</sub>.

<sup>86</sup> აქ არ იგულისხმება № 49 ქვევრსამარხის კომპლექსში შემავალი, ზემოთ უკვე განხილული საკინძები.

<sup>87</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 82-86, ტაბ. XI<sub>11-18</sub>.

(სამარხები №№ 5, 73, ტაბ. LXXI<sub>2,12</sub>), ისინი თანაარსებობენ პრიზმისებურთავიან საკინძებთან ერთად.

III ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ე.წ. პირამიდისებურთავიანი საკინძი (სამარხი № 73, ტაბ. LXXI<sub>14</sub>), შემკული წიწვისებრი ორნამენტით. იგი აღმოჩნდა კომპლექსში პრიზმისებურთავიან საკინძთან ერთად (ტაბ. LXXI<sub>14,15</sub>).

IV ჯგუფს წარმოადგენს ე.წ. ცილინდრულთავიანი საკინძი (სამარხი № 5, ტაბ. LXXI<sub>1</sub>), რომლის მსგავსიც № 49 ქვევრსამარხის კომპლექსშია აღმოჩენილი.

V ჯგუფში შედის ბურთულათავიანი საკინძები (სამარხები №№ 9, 72, ტაბ. LXXI<sub>7,13</sub>), მათი თავები ბოლოვდება ყელისაგან მკვეთრად გამოყოფილი ბურთულით, ისინი გვხვდებიან ორგორც სადა, უორნამენტო, ასევე წიწვოვანი ან ხაზების ორნამენტაციით შემკულნი, თუმცა არცთუ ფართოდ არიან გავრცელებულნი.

ჰაპიგორის სამაროვანზე აღმოჩენილ საკინძებს, რიგ შემთხვევებში თან ახლდა ყელის ნახვრეტში გაყრილი ბრინჯაოსავე ძეწკვები (სამარხები №№ 5, 6, 21, 72), რომლებითაც წყვილი საკინძი ერთმანეთზე იყო გადაბმული. გვხვდება ძეწკვების ფრაგმენტები საკინძების გარეშეც (სამარხები №№ 2, 14, 44, ტაბ. XVII<sub>10</sub>, XXV<sub>14</sub>, XXXVIII<sub>6</sub>). ძეწკვები შედგენილია ბრტყელი, თავგახსნილი, ოვალური მოყვანილობის რგოლებისაგან. ამ ფორმის ძეწკვები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ძეგლებზე.<sup>88</sup>

**ზარაკები,** ზემოთ განხილული № 49 ქვევრსამარხის კომპლექსის გარდა, აღმოჩნდა ორ სამარხში (№№ 4, 44, ტაბ. LXXI<sub>6,36</sub>). ისინი იმეორებენ ქვევრსამარხში აღმოჩენილ ზარაკთა ფორმებს, ერთი ცილინდრულია, მეორე – გუმბათისებური და, ბუნებრივია, განეკუთვნებიან იგივე პერიოდს.

**მძივები,** როგორც მასალის (სარდიონი, მინა, მინისებრი პასტა, გიშერი და სხვა), ასევე ფორმების (მრგვალ-ბრტყელი, ბიკონუსური, კასრისებური, მილისებური, პირამიდისებური და სხვა) მიხედვით, მსგავსია ადრეანტიკურ-ადრეელინისტური პერიოდების ძეგლებზე ფართოდ გავრცელებული მძივებისა (ტაბ. LXXI<sub>17,35,37-39</sub>) და, რასაკვირველია, განეკუთვნებიან განსახილველ ხანას.<sup>89</sup>

<sup>88</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 86, ტაბ. XI<sub>27</sub>

<sup>89</sup> იქვე, გვ. 89-106, ტაბ. XI<sub>32,35</sub>; XIX<sub>II-II</sub>

**რკინის თარაღი** პაპიგორის სამაროვანზე მხოლოდ მოხრილი დანებითა და შუბისპირებითაა წარმოდგენილი. თითქმის ყველა მათგანი დაშლილი აღმოჩნდა და ჩვენამდის ცალკეული ფრაგ-მენტების სახით მოაღწია (ტაბ. LXVIII<sub>12</sub>), რის გამოც მათი ფორმებისა და შესაბამისად განცალკევებული დათარიღების დად-გენა ძნელდება. თუმცა, დანარჩენი არქეოლოგიური მასალის გათ-ვალისწინებით, მათი თარიღიც ძვ.წ. IV-III საუკუნის I ნახევრით უნდა განისაზღვროს.

## პაპიზორის სამარტვანი (კატალოგი)

### ს ა მ ა რ ხ ი № 1

ქვაყუთია (ტაბ. X<sub>1</sub>). მდებარეობს თხრილის სამხრეთ კუთხეში იგი შეკრულია ვერტიკალურად დაწყობილი ქვიშაქვის ბრტყელი ფილაქვებით. სამარხის ცალკეულ კედელს თავდაპირველად თითო ქვა შეაღვენდა; ამჟამად ზოგიერთი მათგანი რამდენიმე ცალადაა დამსკდარ-დაბზარული. გადახურულია ანალოგიური ფილაქვით რომელიც ასევე დაბზარულია. სამარხი დამხრობილია SSW-NNC ხაზზე (პრაქტიკულად S-N). მისი ზომებია  $1,0 \times 0,8 \times 0,5$  მ. სამარხის ჩრდილოეთის კედელს გარედან მიღვმული აქვს რიყის დიდი ზომის ქვა. იატაკი თიხატკეპნილია.<sup>1</sup> სამარხის სამხრეთი კედლის ძირთან, იატაკზე დევს ბრტყელი ფილაქვა და ზედ აწყვია მიცვალებულის ჩონჩხის ძვლებისა და კერამიკის ფრაგმენტები. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერაა დაშლილი. სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯამი (17-13:84-1;<sup>2</sup> ტაბ. XVII<sub>1</sub>; LVI<sub>1</sub>; LXVI<sub>10</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი. პირვადაშლილი, ძირბრტყელი. შეღებილია წითელი სალებავით. სიმაღლე – 3,5 სმ, პირის დმ – 12,5 სმ, ძირის დმ – 4,8 სმ.

2. თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხი (17-13:84-2; ტაბ. XVII<sub>2</sub>), მოყვითალო-მოჩალისფროდ გამომწვარი თიხისა. კეცის სისქე – 0,7 სმ.

3. შუბისპირი (17-13:84-3; ტაბ. XVII<sub>3</sub>; XLVIII) რკინის, ნაკლული, შემორჩენილია მასრის ნაწილი. შემორჩენილი სიგრძე – 8,5 სმ.

4. დანა (17-13:84-4; ტაბ. XVII<sub>4</sub>),<sup>3</sup> რკინის, დამტვრეული. ტარზე მანჭვალი აქვს. შემორჩენილი სიგრძე – 3,5 სმ.

<sup>1</sup> სამარხთა იატაკი ყველა დანარჩენ შემთხვევაშიც თიხატკეპნილია, ამიტომ ამის შესახებ ქვემოთ აღარ ავლინიშნავთ.

<sup>2</sup> შიფრი 17 – ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციას ნიშნავს, 13 – პაპიგორის სამაროვნს, 84 – აღმოჩნდის წელს, 1 – ნივთის საინვენტარო რიგით ნომერს.

<sup>3</sup> რამდენადაც ნივთის საინვენტარო ნომერი ყველასათვის ერთია, ხოლო რიგითი ნომერი მოცემულია კატალოგის ნომერს ემთხვევა, ამიტომ ნივთის საინვენტარო ნომერს ქვემოთ აღარ მივუთითებთ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 2

ქვაყუთია (ტაბ. X<sub>2</sub>). მდებარეობს № 1 სამარხის ჩრდილოეთით 1,75 მ-ზე. სამარხის კედლები შედგენილია თითო ფილაქვით. აღმოსავლეთ კედელს გარედან სიგრძეზე შემოწყობილი აქვს რიყის სამი ქვა, სამხრეთ კედელს აღმოსავლეთ ნაწილში – ერთი ქვა, ხოლო ჩრდილოეთის კედელს – დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში – თითო ქვა. გადახურული იყო ერთი ფილაქვით ( $1,3 \times 1 \times 7$  მ), რომელიც დაზიანებული და სამარხში ჩაწილილი იყო. სამარხი დამხრობილია O-W ხაზზე. მისი ზომებია  $1,3 \times 0,7 \times 0,45$  მ. სამარხის იატაკზე დასავლეთის კედელთან იდო ერთი პატარა ფილაქვა ( $1,2 \times 0,3$  მ), რომელზეც ეწყო მიცვალებულის ბარძაყის ძვალი და თიხის ფიალა. ჩონჩხის სხვა ძვლები სამარხის კედლის გასწვრივ ჩნდებოდა იატაკის დონეზე, რომელთა მიხედვით დაკრძალვის პოზის დადგენა არ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა:

5. დოქი (ტაბ. XVII<sub>12</sub>, LX), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, სამტუჩა, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. შეღებილია წითელი საღებავით. სიმაღლე – 30 სმ, ძირის დმ – 11 სმ.

6. ფიალა (ტაბ. XVII<sub>5</sub>; LVI<sub>2</sub>; LXVI<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, წითელი საღებავით შეღებილი. პირგადაშლილი, ძირბრტყელი. სიმაღლე – 2,7 სმ, პირის დმ 10,6 სმ, ძირის დმ – 3,8 სმ.

7. თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი (ტაბ. XVII<sub>3</sub>).

8. თიხის ჭურჭელის გვერდის ნატეხი (ტაბ. XVII<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, წითელი საღებავით შეღებილი.

9. სამაჯური (ტაბ. XVII<sub>4</sub>, LXIX<sub>14</sub>), რკინის, დამტვრეული. ღერო მრგვალგანივეკვეთიანია.

10. ძეწკვი (ტაბ. XVII<sub>10</sub>), ბრინჯაოს, წვრილი მავთულისგან დამზადებული რგოლებისაგან შედგენილი. ფრაგმენტი.

11. მძივი (ტაბ. XVII<sub>9</sub>; LXXI<sub>9</sub>), სარდიონის, მრგვალბრტყელი. დმ – 0,6 სმ.

12. მძივი (ტაბ. XVII<sub>8</sub>; LXXI<sub>20</sub>), ძვლის, ნახევარსფერული. დმ – 0,8 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 3

ქვაყუთია (ტაბ. IV; XI). მდებარეობს № 2 სამარხის ჩრდილოეთით 0,7 მ-ზე. იგი შეღვენილია ქვიშაქვის ბრტყელი ფილებით, რომელთა სისქე 8-10 სმ-ია. გადახურვა, ნაწილობრივ დაზიანებულია. სავარაუდოა, რომ გადახურული იყო ერთი ფილაქვით, რომლის ნაწილი ჩაქცეული იყო სამარხში. სამარხი ( $1,1 \times 0,7 \times 0,45$  მ) დამხრობილია SSN-NNO ხაზზე (პრაქტიკულად S-N). სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები არ დადასტურდა, არც კრემაციის ნაშთი შეინიშნებოდა. სამარხში აღმოჩნდა:

13. მილიანი დოქის ფრაგმენტი (ტაბ. XVIII<sub>5</sub>), თიხის, შემოჩენილია მილი, მოვარდისფროდ გამომწვარი, წითლად შეღებილი.

14. კოჭობი (ტაბ. XVIII<sub>8</sub>; LIV; LXV<sub>1</sub>). არათანაბრად – რუხად გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხისა, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. ყელზე ორი ნახვრებით. სიმაღლე – 8,1 სმ, პირის დმ – 8,5 სმ, მუცლის დმ – 10,5 სმ, ძირის დმ – 6 სმ.

15. ჯამის (?) ფრაგმენტი. მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი.

16. რგოლი (ტაბ. XVIII<sub>1</sub>; LXX<sub>7</sub>), ვერცხლის (მიცვალებულს ეკეთა თითზე), თავგახსნილი. დმ – 2 სმ.

17. ბეჭედი (ტაბ. XVIII<sub>2</sub>) ბრინჯაოსი, თავგახსნილი, ღერო დაკეჭნილი. დმ – 2,3 სმ.

18. რგოლი (ტაბ. XVIII<sub>3</sub>; LXX<sub>18</sub>), ბრინჯაოს.

19. რგოლი, (ტაბ. XVIII<sub>10</sub>), ბრინჯაოს, ნატეხი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 4

ქვაყუთია. მდებარეობს № 2 სამარხის დასავლეთით 0,5 მ-ზე. ქვიშაქვის სახურავი დაზიანებულია, მისი ფრაგმენტები ჩაცვენილი იყო სამარხში, ნაწილი კი ეყარა სამარხის ირგვლივ. სამარხის კედლები სამი მხრიდან შეკრული იყო ბრტყელი ფილაქვებით, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან – გახსნილი. სამარა (0,7×0,6×0,5 მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. სამარხში აღმოჩნდა:

20. ზარაკი (ტაბ. XVIII<sub>4</sub>; LXXI<sub>16</sub>), ბრინჯაოს, კონუსური, გვერდშეჭრილი, რკინის ენით. სიმაღლე – 2,5 სმ; დმ – 1,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 5

ქვაყუთია (ტაბ. IV<sub>3</sub>; XI<sub>2</sub>). მდებარეობს № 4 სამარხის ჩრდილოეთით 0,3 მ-ზე. სახურავი დაზიანებული პქონდა. ოთხივე მხრიდან შეკრული იყო ქვიშაქვის თითო ფილით. სამარხი ( $0,9 \times 0,6 \times 0,45$  მ) დამხრობილია O-W ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად შემოინახა. სამარხში აღმოჩნდა:

21. ხელადა (ტაბ. XVIII<sub>2</sub>). მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა. ფრაგმენტული.

22. კოჭობი (ტაბ. XVIII<sub>1</sub>; LXV<sub>2</sub>) მოწითალო გამომწვარი თიხისა, ნაკლული. შემორჩენილი სიმაღლე – 6 სმ, მუცლის დმ – 7,8 სმ, ძირის დმ – 6 სმ.

23. სამაჯური (ტაბ. XVIII<sub>3</sub>; LXIX<sub>1</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებითაა შემკული, ღეროს დმ – 6,5 სმ.

24. ბეჭედი (ტაბ. XVIII<sub>9</sub>; LXX<sub>8</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ერთი თავი მოტეხილია, მეორე – ცხოველსახით შემკული. დმ – 2,3 სმ.

25. საკინძი (ტაბ. XVIII<sub>7</sub>; LXXI<sub>1</sub>), ბრინჯაოს, ღერო მრგვალგანივეკეთიანია, თავი გოფრირებული, ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილი. სიგრძე – 8,3 სმ.

26. საკინძი (ტაბ. XVIII<sub>6</sub>; LXXI<sub>2</sub>), ბრინჯაოს, ღერო მრგვალგანივეკეთიანია, თავბრტყელი, შემკულია წიწვოვანი და ჯვრისებური ორნამენტით. ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილია. სიგრძე – 7 სმ.

27. ძეწკვი (ტაბ. XVIII<sub>6</sub>; LXXI<sub>2</sub>), ბრინჯაოს, გაყრილია №№ 25, 26 საკინძში. შემორჩენილი სიგრძე – 31 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 6

ქვაყუთია (ტაბ. IV<sub>2</sub>; XII<sub>1</sub>). მდებარეობს № 5 სამარხის ჩრდილოეთით 1,0 მ-ზე. გვერდები შედგება თითო ფილაქვისაგან. სახურავი დაზიანებულია. სამარხი ( $0,75 \times 0,55 \times 0,4$  მ) დამხრობილია S-N ხაზზე. სამარხში არც მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი და არც კრემაციის რაიმე ნიშანი არ შეინიშნებოდა. სამარხში აღმოჩნდა:

28. ხელადა (ტაბ. XIX<sub>1</sub>; XLIX<sub>3</sub>; LXI<sub>6</sub>) მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი წითელი საღებავით. მრგვალპირიანი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. ყური მიძერწილია პირსა

და მხარზე. ყურის მოპირდაპირედ, მხარზე, დაძერწილია გადმოსაღვრელი მიღი, რომელსაც სამტუჩა პირი აქვს. სიმაღლე – 18 სმ, პირის დმ – 11 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 9 სმ, მიღის სიგრძე – 7 სმ, მიღის დმ – 2,5 სმ.

29. ფიალა (ტაბ. XIX<sub>5</sub>; LVI<sub>8</sub>; LXVI<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, პატარა, ბრტყელი ძირით. სიმაღლე – 6,5 სმ, პირის დმ – 13 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

30. კოჭობი (ტაბ. XIX<sub>7</sub>; LXV<sub>3</sub>), თიხის, რუხი, ნაკლული, შემორჩენილი სიმაღლე – 7,5 სმ, მუცლის დმ – 9 სმ, ძირის დმ – 4,4 სმ.

31. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XIX<sub>2</sub>; LXIX<sub>15</sub>), ვერცხლის, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებულია და გახვრეტილი. რკალის დმ – 4,1 სმ.

32. სასაფეთქლე (?) რგოლი (ტაბ. XIX<sub>1</sub>), ვერცხლის, ნაკლული.

33. სამაჯური (ტაბ. XIX<sub>3</sub>), ბრინჯაოს, თავგადახსნილი, თავები შემკულია ცხოველსახეებით. რკალის დმ – 4×4,4 სმ.

34. სამაჯური (ტაბ. XIX<sub>4</sub>; LXIX<sub>2</sub>), ბრინჯაოს, № 33 ანალოგიური. რკალის დმ – 4,5×5,2 სმ.

35. სამაჯური (ტაბ. XIX<sub>6</sub>; LXIX<sub>11</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. ნაკლული, შემორჩენილი თავი შემსხვილებულია. რკალის დმ – 4,2×4,8 სმ.

36. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XIX<sub>9</sub>; LXX<sub>9</sub>), ბრინჯაოს, თავგადახსნილი, ღეროდაკეჭნილი. რკალის დმ – 2,8 სმ.

37. საკინბი (ტაბ. XIX<sub>13</sub>; LXXI<sub>6</sub>), ბრინჯაოს, ოთხკუთხა თავი შემკულია წიწვისებური ორნამენტით. ყელი დაბრტყელებული და გახვრეტილია, ღერო მრგვალი, ბოლო წაწვეტებული. სიგრძე – 10,6 სმ.

38. საკინბი (ტაბ. XIX<sub>12</sub>; LXXI<sub>3</sub>), ბრინჯაოს, № 37-ის ანალოგიური. სიგრძე – 10,3 სმ.

39. ძეწკვი (ტაბ. XIX<sub>10</sub>), ბრინჯაოს, წვრილი მავთულისაგან დამზადებული რგოლებისაგან შედგენილი. სიგრძე – 83 სმ.

40. მძივი (ტაბ. XIX<sub>8</sub>; LXXI<sub>29</sub>), პასტის, ოთხკუთხა, 5 ც. უდიდესის სიგრძე – 0,6 სმ, უმცირესის – 0,5 სმ.

41. მძივი (ტაბ. XIX<sub>8</sub>), პასტის, სფერული. დმ – 0,7 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 7

ქვაყუთია. მდებარეობს № 6 სამარხის ჩრდილოეთით 0,7 მ-ზე. სახურავი მორღვეული ჰქონდა. SO-NW დამხრობილი სამარხი ( $1,0 \times 0,65 \times 0,35$  მ) ოთხივე მხრიდან შეკრული იყო თითო ფილაქვით. ჩონჩხის ძვლები ძალიან ცუდად შემოინახა. სამარხში აღმოჩნდა:

42. ხელადის ნატეხი (ტაბ. XX<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა.

43. შუბისპირი (ტაბ. XX<sub>5</sub>; LXVIII<sub>2</sub>), რკინის, მასრის ნატეხებია შემორჩენილი.

სიგრძე – 8 სმ, მასრის დო – 2,2 სმ.

44. დანა (ტაბ. XX<sub>1</sub>), რკინის, ნატეხები. მოხრილი, ცალპირლესული.

შემორჩენილი სიგრძე – 10 სმ.

45. ღერო (ტაბ. XX<sub>2</sub>), რკინის, დაუანგული, სიგრძე – 2 სმ.

46. ღერო (ტაბ. XX<sub>3</sub>), რკინის, დაუანგული, ერთი ბოლო დაბრტყელებულია, მეორე – წაწვეტებული. სიგრძე – 4 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 8

ქვაყუთია. მდებარეობს № 6 სამარხის დასავლეთით 1,75 მ-ზე. გადახურვა დაზიანებულია. S-N ღერძზე დამხრობილი სამარხი ( $1,1 \times 0,65 \times 0,42$  მ) ოთხივე მხრიდან შეკრული იყო თითო ფილაქვით. სამარხის დასავლეთ ნაწილში იატაკზე ეწყო მიცვალებულის ბარძაყის, წვივისა და ნეკნების ძვლების ფრაგმენტები. სამარხში აღმოჩნდა:

47. ხელადა (ტაბ. XXI<sub>7</sub>; LVIII<sub>3</sub>; LXII<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, დამტვრეული. მოხატულია მუქი წითელი საღებავით.

48. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XXI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირი წითლადაა შეღებილი.

49. შუბისპირი (ტაბ. XXI<sub>5</sub>; LXVIII<sub>3</sub>), რკინის, ფრაგმენტული, შემორჩენილი სიგრძე – 15 სმ.

50. დანა (ტაბ. XXI<sub>4</sub>; LXVIII<sub>7</sub>), რკინის, ფრაგმენტული, შემორჩენილი სიგრძე – 6,2 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 9

ქვაფუთია. მდებარეობს № 7 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 0,6 მ-ზე. გადახურული იყო ერთი ფილაქვით. SO-NW ღერძშე დამხრობილი სამარხი ( $0,85 \times 0,65 \times 0,35$  მ) შეკრული იყო თეთრ ფილაქვით. მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

51. თიხის ჭურჭლის ძირის ნატეხი (ტაბ. XXI<sub>6</sub>), მოშავოდ გამომწვარი თიხისა.

52. დანა (ტაბ. XXI; LXVIII<sub>9</sub>), რკინის, მოხრილი, დაჟანგული, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე – 5,8 სმ.

53. საკინძი (ტაბ. XXI<sub>2</sub>; LXXI<sub>7</sub>), ბრინჯაოს, ნემსისებრი ღეროთი, ღერო ყელთან შემსხვილებულია, დაბრტყელებული და გახვრეტილი. თავი მომრგვალებულია. სიგრძე – 7,7 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 10

ორმოსამარხია (ტაბ. IV<sub>4</sub>; XII<sub>2</sub>). მდებარეობს № 8 სამარხის ჩრდილო-დასავლეთით 1,6 მ-ზე. გადახურული იყო ფილაქვებით ( $0,8 \times 0,6$  მ), რომლებიც ნაწილობრივ მორღვეულია. დასაკრძალავი ორმო ( $1,4 \times 0,8 \times 0,45$  მ) გეგმაში ოვალური მოყვანილობისაა, დამხრობილია S-N ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხიდან შემორჩა ნეკნებისა და ლულოვანი ძვლების უმნიშვნელო ფრაგმენტები, რომლებიც სამარხის სამხრეთ ნაწილში, იატაკზე ეწყო. სამარხში აღმოჩნდა:

54. ხელადა (ტაბ. XXII<sub>5</sub>; XLIX<sub>2</sub>, LXI<sub>7</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი, ჩაიდნისებური. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. ყური მიმერწილია პირსა და მხარზე. ყურის მოპირდაპირედ, მხარზე დამერწილია მილი. სიმაღლე – 22,5 სმ; პირის დმ – 12 სმ, მუცლის დმ – 20 სმ, ძირის დმ – 9,8 სმ, მილის სიმაღლე – 7, პირის დმ – 3,4 სმ.

55. კოჭობი (ტაბ. XXII<sub>4</sub>; LIV<sub>2</sub>, LXV<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, მსხვილმარცვლოვანი თიხისა, ასიმეტრიული, ხელით ნაძერწი. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. ყელზე სოლისებური, მხარზე კი „დაფრჩხილული“ ჭდეები შემოუყვება. სიმაღლე – 9 სმ, პირის დმ – 5,7 სმ, მუცლის – 9 სმ, ძირის დმ – 3,5 სმ.

56. სამაჯური (ტაბ. XXII; LXIX<sub>3</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. დმ – 5,5 სმ.

57. ბეჭედი (ტაბ. XXII<sub>2</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. დმ – 2,2 სმ.

58. საკინძი, 2 ც. (ტაბ. XXII<sub>3,6</sub>; LXXI<sub>4,5</sub>), ბრინჯაოსი, ნემ-სისებური ღერო ყელთან შემსხვილებულია, დაბრტყელებული და გახვრეტილია. ყელი მრგვალია და შემკულია წიწვისებური ორნამენტით, ოთხკუთხა თავი ჯვრისებური ჭდეებითაა შემკული. სიგრძე – 10,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 11

ქვაყუთია. ძლიერ იყო დაზიანებული, შემორჩენილი პქონდა მხოლოდ აღმოსავლეთი კედლის ფილაქვა. დამხრობილია S-N ხაზზე. სამარხში ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

59. ხელადა (ტაბ. XXIII<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნაკლული, სამტუჩა, სფერულმუცლიანი.

60. ჯამი (ტაბ. XXIII<sub>1</sub>; LVII<sub>2</sub>, LXVI<sub>4</sub>), ლეგაფრად გამომწვარი თიხის, არათანაბრად გამომწვარი. ჯამი აღრევე გატეხილა და შეუკეთებიათ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 12

ქვაყუთია. ძლიერ დაზიანებული. სამარხი ( $0,8 \times 0,6 \times 0,45$  მ) დამხრობილია O-W ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

61. ხელადა (ტაბ. XXIV<sub>1</sub>; LI, LX<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, სამტუჩა, ბიკონუსურტანიანი, ბრტყელმირა, ძირგახვრეტილი. სიმაღლე – 16,5 სმ, მუცლის დმ – 14,5 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.

62. ჯამი (ტაბ. XXIV<sub>2</sub>; LVII<sub>4</sub>, LXVI<sub>1</sub>), არათანაბრად, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირმოყრილი, მომრგვალებულკალთიანი, ბრტყელმირა. ჯამი აღრევე გატეხილა და შეუკეთებიათ. სიმაღლე – 4,8 სმ, პირის დმ – 12,5 სმ, მუცლის დმ – 14 სმ, ძირის დმ – 9 სმ.

63. ძეწკვი, ბრინჯაოს. ფრაგმენტები.

## ს ა მ ა რ ხ ი № 13

ქვისსამარხია (ტაბ. V<sub>1,2</sub>), შეკრული იყო 4 ფილაქეით ( $0,5 \times 0,4 \times 0,35$  მ), გადახურული – ერთით. ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ აღმოჩნდა. სამარხში აღმოჩნდა:

64. ფილა (ტაბ. XXV<sub>13</sub>; LXVI<sub>12</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მხარწიბოიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 5,5 სმ, პირის დმ – 16 სმ, ძირის დმ – 6,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 14

ქვაფუთია (ტაბ. V<sub>3,4</sub>; XII<sub>3</sub>). სამარხი მდებარეობს № 12 სამარხის ჩრდილოეთით 1,1 მ-ზე. (ტაბ. V<sub>3,4</sub>; XII<sub>3</sub>). გადახურული იყო 5 ბრტყელი ფილაქეით. სამარხის სამი კედელი შედგენილი იყო თითო ფილაქეით, ხოლო მეოთხე, სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი – 2 ფილაქეით, სამარხი დამხრობილია SW-NO ხაზზე ( $1,0 \times 0,6 \times 0,45$  მ). მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტი იდო როგორც სამარხის ცენტრალურ, ისე ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (ნეკნებისა და ლულოვანი ძვლების ფრანგმენტები). სამარხში აღმოჩნდა:

65. ხელადა (ტაბ. XXV<sub>1</sub>; L<sub>6</sub>, LX<sub>3</sub>) მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ნახევრად შეღებილი, სამტუჩა, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 17,5 სმ, მუცლის დმ – 15 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.

66. ფილა (ტაბ. XXV<sub>9</sub>; LVI<sub>3</sub>, LXVI<sub>7</sub>) მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი. პირგადაშლილი, მხარწიბოიანი, ძირბრტყელი. სიმაღლე – 5,3 სმ, პირის დმ – 14 სმ, ძირის დმ – 4,5 სმ.

67. ფილა (ტაბ. XXV<sub>10</sub>; LVI<sub>5</sub>, LXVI<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ალაგ-ალაგ შავი ლაქებით. პირგადაშლილი, მხარწიბოიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 3,5 სმ, პირის დმ – 10 სმ, ძირის სმ – 5,9 სმ.

68. კოჭობი (ტაბ. XXV<sub>11</sub>; LIV<sub>3</sub>, LXV<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 6,3 სმ, პირის დმ – 5,2 სმ, მუცლის დმ – 8 სმ, ძირის დმ – 5 სმ.

69. დანა (ტაბ. XXV<sub>15</sub>; LXVIII<sub>9</sub>), რკინის, მოხრილი. ტარზე  
ხის ანაბეჭდებით. სიგრძე – 15,5 სმ.
70. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXV<sub>5</sub>; LXX<sub>1,2</sub>), 2 ც., ვერცხ-  
ლის, თავგახსნილი, ერთი თავი გახვრეტილია. დმ – 3,3×3,5 სმ.
71. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXV<sub>6</sub>; LXX<sub>10</sub>), ბრინჯაოს,  
თავგახსნილი. დმ – 2,3 სმ.
72. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXV<sub>7</sub>), ვერცხლის, გატეხილი.
73. ძეწკვი (ტაბ. XXV<sub>14</sub>), ბრინჯაოს, ორ ფრაგმენტზე რკინის  
დაუანგული ნაწილებია (საკინძები) შემორჩენილი.
74. სამაჯური (ტაბ. XXV<sub>2-4</sub>; LXIX<sub>4,5,16</sub>), 3 ც., ბრინჯაოს,  
თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. ღერო ჭდეებითაა შემ-  
კული. დმ – 5,3×5,7 სმ.
75. მძივ-საკიდი (ტაბ. XXV<sub>12</sub>; LXXI<sub>22</sub>), ლურჯი მინის, პირა-  
მიდისებური. სიმაღლე – 1,3 სმ.
76. ძვლები ფრინველის (?).

### ს ა მ ა რ ხ ი № 15

ქვაყუთია (ტაბ. VI; XIII<sub>1</sub>). შეკრულია ოთხი ფილაქვით, გადა-  
ხურულია რამდენიმე ქვის ფილით. სამარხი ( $1,1 \times 0,6 \times 0,5$  მ) დამ-  
ხრობილია S-N ხაზზე. სამარხის შუა ნაწილში აღმოჩნდა მიცვა-  
ლებულის ჩონჩხის უმნიშვნელო ფრაგმენტები. სამარხში აღმოჩ-  
ნდა:

77. ზელადა (ტაბ. XXVI<sub>3</sub>; LXIII<sub>2</sub>), მონაცრისფრო-მოვარდის-  
ფროდ გამომწვარი თიხისა, შავი ლაქებით, დამტვრეული. პირის  
დმ – 9,5 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.
78. შუბისპირი (ტაბ. XXVI<sub>5</sub>; LXVIII<sub>4</sub>), რკინის, მასრიანი.  
სიგრძე – 20 სმ.
79. დანა (ტაბ. XXVI<sub>4</sub>), რკინის, დაშლილი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 16

ორმოსამარხია. სამარხი კამერა ოვალური მოყვანილობისაა  
( $0,8 \times 0,6$  მ). დამხრობილია S-N ხაზზე. ორმოს იატაკზე, ჩრდილო  
ნაწილში მიცვალებულის თითების ფალანგა იდო. სამარხში  
აღმოჩნდა:

80. ბეჭედი (ტაბ. XXVI<sub>1</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. ერთ თავზე ოთხი ვერტიკალური ნაჭდევით. დმ – 3 სმ.

81. სამაჯური (ტაბ. XXVI<sub>2</sub>), ბრინჯაოს, ნაკლული, ცხოველ-სახეებით შემკული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 17

ქვაყუთია (ტაბ. VI<sub>2</sub>). შეკრულია თითო ქვის ფილით, ზოლო გადახურულია რამდენიმე ფილაქვით. სამარხი (1,2×0,65×0,5 მ) დამხრობილი იყო S-N ხაზზე. სამარხის გადახურვის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეზე იდგა ხელადა (№ 82). სამარხის სამხრეთ ნაწილში დადასტურდა მიცვალებულის თავის ქალას ნაშთი, ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან – მიცვალებულის ბარძაყის, წვივის და მენჯის ძვლის ფრაგმენტები. მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო გვერდზე (თუ რომელზე ვერ დადგინდა), მოკუნტული. სამარხში აღმოჩნდა:

82. დოქი (ტაბ. XXVII; LI<sub>3</sub>; LX<sub>4</sub>) მოვარდისფროდ გამომ-წვარი თიხისა, შეღებილი, სამტუჩა, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 25 სმ, მუცლის დმ – 21,5 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 18

ქვაყუთია. ოთხივე გვერდი შეკრულია ფილაქებით. გადახურვა ნაწილობრივ დაზიანებულია. სამარხი (0,9×10,5×0,5 მ) დამხრობილია S-N ხაზზე. სამარხის იატაკზე, აღმოსავლეთის კედლის შუა ნაწილთან, მიცვალებულის ბარძაყის და წვივის ძვლების ფრაგმენტები იდო, შუა ნაწილში კი, დასავლეთის კედელთან – ჩონჩხის ლულოვანი ძვლის ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა:

83. ხელადის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. XXVIII<sub>2</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის.

84. კოჭობის ფრაგმენტი (ტაბ. XXVIII<sub>1</sub>), მოწითალოო თიხის.

### ს ა მ ა რ ხ ი № 19

ქვაყუთია (ტაბ. VI<sub>3</sub>). ოთხივე კედელი შეკრულია თითო, გადახურულია რამდენიმე ფილაქვით. სამარხი (1,2×0,7×0,5 მ) დამხრობილია S-N ხაზზე. სამარხის ჩრდილო ნახევარში შემორჩა

ჩონჩხის ნაშთი – წვივის, ბარძაყის და მენჯის ძვლის ფრაგ-  
მენტები. სამარხში აღმოჩნდა:

85. ზელადა (ტაბ. XXVIII<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თი-  
ხის, დამტვრეული.

86. კოჭობი (ტაბ. XXVIII<sub>3</sub>; LIV<sub>6</sub>; LXV<sub>6</sub>), მოშავო-მონაცრის-  
ფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი,  
ბრტყელძირა. სიმაღლე – 4,5 სმ, პირის დმ – 5 სმ.

87. დანა (ტაბ. XXVIII<sub>4</sub>; LXVIII<sub>10</sub>), რკინის, მოხრილი, დაშ-  
ლილი პატარა ნატეხებად. შემორჩენილი სიგრძე – 6 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 20

ორმოსამარხია. მდებარეობს № 17 სამარხის ჩრდილო-დასავ-  
ლეთით 1,0 მ-ზე. გადახურული იყო ფილაქვით ( $0,6 \times 0,5$  მ). ქვის  
ქვეშ არაფერი აღმოჩენილა.

## ს ა მ ა რ ხ ი № 21

ქვაყუთია. (ტაბ. VI<sub>4</sub>). გადახურულია მოზრდილი ფილაქვით.  
სამარხის ( $1,0 \times 0,65 \times 0,45$  მ) ოთხივე კედელი შეკრული იყო თითო  
ფილაქვით; დამხრობილია SW-NO ხაზზე. უცნურად გამოიყურე-  
ბოდა ჩონჩხის ცალკეული ნაწილების მდებარეობა: თავის ქალის  
და კბილების ფრაგმენტები სამარხის NO ნაწილში იყო, ფეხის  
ძვლებისა – სამარხის SW ნაწილში, როგორც უნდა ყოფილიყო,  
მაგრამ რაც შეეხება ბეჭისა და იდაყვის ძვლებს, ისინი სამარხის  
ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდნენ და თითქოს ისეთ ად-  
გილას, სადაც მიცვალებულის წელი უნდა ყოფილიყო. შემორ-  
ჩენილი ძვლების მიხედვით სავარაუდოა, რომ მიცვალებული  
მარცხენა გვერდზე იყო დაკრძალული მოკუნტულად. სამარხში  
აღმოჩნდა:

88. ღოქი (ტაბ. XXIX<sub>5</sub>; LI<sub>2</sub>; LX<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომ-  
წვარი თიხის, შეღებილი, სამტუჩა, სფერულმუცლიანი, ბრტყელ-  
ძირა. სიმაღლე – 23 სმ, მუცლის დმ – 18 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ.

89. ჭრაქი (ტაბ. XXIX<sub>4</sub>; LVII<sub>6</sub>; LXVII<sub>5</sub>), მონაცრისფრო-მო-  
შავოდ გამომწვარი თიხის, შებოლილი, ხელით ნაძერწი. პირ-  
მოყრილი, ტუჩიანი, ცალყურა, ბრტყელძირა. სიმაღლე – 4,5 სმ,  
პირის დმ – 8,7 სმ, ძირის დმ – 7,4 სმ.

90. სამაჯური (ტაბ. XXIX<sub>3</sub>; LXIX<sub>6</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. დმ – 6,3×7,8 სმ.
91. ბეჭდები (ტაბ. XXIX<sub>6,7</sub>; LXX<sub>11,21</sub>), 2 ც., ბრინჯაოს, თავგახსნილი. ერთი ღეროდაკეჭნილია. დმ – 2,4×2,5 სმ.
92. საკინძი (ტაბ. XXIX<sub>11</sub>; LXXI<sub>10</sub>), ბრინჯაოს, ნაკლული. სიგრძე – 7 სმ.
93. საკინძი (ტაბ. XXIX<sub>9</sub>; LXXI<sub>9</sub>), ბრინჯაოს, ღერო ნემსისებრი, ყელთან შემსხვილებული, დაბრტყელებული და გახვრეტილია. თავი მრგვალი. სიგრძე – 10,1 სმ.
94. საკინძი (ტაბ. XXIX<sub>8</sub>; LXXI<sub>8</sub>), № 93-ის ანალოგიური. თავი კვადრატული ფორმისაა და ჯვარედინი ხაზებითაა შემკული. სიგრძე – 10,2 სმ.
95. ძეწკვი (ტაბ. XXIX<sub>10</sub>), ბრინჯაოს. მიმაგრებული იყო № 93 და № 94 საკინძებზე. შემორჩენილი სიგრძე – 60 სმ.
96. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXIX<sub>11</sub>; LXX<sub>12</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. დმ – 1,8 სმ.
97. მბივი (ტაბ. XXIX<sub>2</sub>), ქარვის, მრგვალ-ბრტყელი. დმ – 0,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 22

ქვაყუთია. გადახურული იყო ფილაქვით. სამარხი ( $0,6 \times 0,4 \times 0,45$  მ) დამხრობილია SW-NO ღერძზე; შეკრულია თითო ფილაქვით. ჩონჩხის ნაშთი არ დადასტურებულა. სამარხის შუა ნაწილში იატაკზე აღმოჩნდა:

98. ძეწკვის ფრაგმენტი, ბრინჯაოს.

## ს ა მ ა რ ხ ი № 23

ქვაყუთია (ტაბ. VII<sub>1,2</sub>; XIII<sub>2</sub>), გადახურული იყო რამდენიმე ფილით. სამარხის კედლები შეკრულია თითო ფილით, გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლისა, რომელიც შედგენილია 2 ფილაქვით. სამარხი ( $0,96 \times 0,45 \times 0,44$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. სამარხის დასავლეთ კუთხეში იატაკზე მიცვალებულის წვივის ძვლის ფრაგმენტები აღმოჩნდა, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – რამდენიმე კბილი და ძვლის ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა:

99. ხელადა (ჭაბ. XXX; L; LX<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომ-  
წვარი თიხისა, შეღებილი, ნისკარტიანი, ბიკონუსურტანიანი (?),  
ბრტყელძირა. სიმაღლე – 20 სმ, მუცლის დმ – 15,5 სმ, ძირის დმ  
– 7,5 სმ.

100. յոշոնձ (Քած. XXX<sub>3</sub>; LXV<sub>7</sub>), մոհալուսդրուց զամոմթվա-  
րու տօնեսա, პորցածածլուղո, սոյերուլմուցլուանո, ծրբույղուանո.  
Սոմալլոյ - 9,5 սմ, პորու դմ - 5,5 սմ, մուցլու դմ - 8,0 սմ,  
ծիրու դմ - 4,5 սմ.

101. სამაჯურო (ტაბ. XXX<sub>2</sub>; LXIX<sub>18</sub>), ბრინჯაოს. ნაკლული.

Л а д ю г б о № 24

ორმოსამარხია. მდებარეობს № 22 სამარხის ჩრდილო-დასავ-  
ლეთით 1,0 მ-ზე. გადახურული იყო რამდენიმე ფილაქვით. სამარ-  
ხში აომოჩნდა:

102. Ճանաչում. 2 Յ.

В а д а р ե օ № 25

ქვაყუთია (ტაბ. VII<sub>3</sub>), კედლები შედგენილია ვერტიკალურად დაყენებული თითო ფილაქვისაგან. გადახურულია რამდენიმე ასე- ტივე ქვით. სამარხი ( $1,1 \times 0,6 \times 0,45$  მ) დამხრობილია SW-NO თივე ქვით. სამარხის ცენტრალურ ნაწილში მიცვალებულის ჩონჩხის ზენიშვნელო ფრაგმენტები დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

103. ხელადა (ტაბ. XXXI; L<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა. ნაკლები, ნისკარტიანი.

104. კოჭობი (ტაბ. XXXI<sub>2</sub>; LIV<sub>5</sub>; LXV<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გა-  
მომწვარი ოიზისა. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელ-  
ძირა, მხარზე ამოკაწრული ორნამენტით. სიმაღლე – 9 სმ, პირის  
ფართი – 6,5 სმ, მუკლის ფართი – 9 სმ, ძირის ფართი – 5 სმ.

L a s a r e b o № 26

ქვაყუთია. შეკრულია ოთხი ფილით. გადახურულია ქვის ფილებით. სამარხი ( $1,1 \times 0,6 \times 0,4$  მ) დამხრობილია S-N ხაზზე. მიცვალებულის თავის ქალას და კბილების ფრაგმენტები სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კედლის ძირში იყო, ფეხებისა კი – სამარხის დასავლეთ ნაწილში. სამარხში აღმოჩნდა:

105. ხელადა (ტაბ. XXXII<sub>4</sub>; LXIII), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის. ნაკლული. მუცლის დმ – 18 სმ, ძირის დმ – 10,4 სმ.

106. კოჭობი (ტაბ. XXXII; LXV), მორუხოდ გამომწვარი, მინარევებიანი თიხის. ნაკლული.

107. რკოლი (ტაბ. XXXII<sub>2</sub>; LXX<sub>22</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ერთი თავი შემსხვილებულია, მეორე – შეთხელებული. დმ – 1,9 სმ.

108. შუბისპირი (ტაბ. XXXII<sub>5</sub>; LXVIII<sub>5</sub>), რკინის, ნაკლული. მასრაში შემორჩენილია ზის ნაშთები.

109. დანა (ტაბ. XXXII<sub>3</sub>; LXVIII<sub>11</sub>), რკინის, მოხრილი, ტარზე შემორჩენილია ზის ნაშთი. სიგრძე – 11,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 27

ქვევრსამარხია. ძლიერ დაზიანებული. შემორჩა ქვევრის გვერდის რამდენიმე ფრაგმენტი. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 28

ქვაყუთია. სახურავი და სამი კედელი მორღვეული ჰქონდა. შემორჩენილია NO კედლის ფილაქვა. სამარხი ( $0,8 \times 0,65 \times 0,5$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე იდო მიცვალებულის ჩონჩხის უსახო ფრაგმენტები. სამარხში აღმოჩნდა:

110. ჯამი, თიხის, შავად გამომწვარი. ძლიერ დაზიანებული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 29

ორმოსამარხია. გადახურული იყო ფილაქვებით. ნაწილობრივ დაზიანებულია. სამარხი კამერა ( $1,2 \times 0,6$  მ) ოვალური მოყვანილობისაა. დამხრობილია SW-NO ხაზზე. სამარხის სამხრეთ-და-სავლეთ ნაწილში მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

111. ქოთანი (ტაბ. XXXIII<sub>2</sub>; LIII<sub>5</sub>; LXIV<sub>4</sub>), თიხის, არათანაბრად გამომწვარი, მოვარდისფრო, შავი ლაქებით. პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელმირა, ყურიანი. ნაკრიალები

ორნამენტით შემკული. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 11,7 სმ, ძირის დმ – 8 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 30

ქვაყუთია. ძლიერ დაზიანებული. დამხრობილი ყოფილა SW-NO ხაზზე. სამარხში აღმოჩნდა:

112. ჯამი (ტაბ. XXXIII<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თინს, შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 4 სმ, პირის დმ – 20 სმ, ძირის დმ – 11,5 სმ.

113. ღერო (ტაბ. XXXIII<sub>3</sub>), რკინის, ძლიერ დაჟანგული და დამტკვრეული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 31

ქვაყუთია. ძლიერ დაზიანებული. შემორჩენილი ნაწილის მინედვით მისი ზომაა ( $0,85 \times 0,80 \times 0,4$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. ინვენტარი და მიცვალებულის ძვლები არ აღმოჩენილა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 32

ქვაყუთია. ნაწილობრივ დაზიანებულია. მორღვეულია სახურავისა და სამარხის SW და SO კედლის ფილაქები. სამარხი ( $0,6 \times 0,5 \times 0,3$  მ) დამხრობილია SW-NO ღერძზე. მიცვალებულის ჩონჩხი სამარხში არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

114. ქვევრის (?) პირის ნატეხი (ტაბ. XXXIII<sub>5</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის. კეცის სისქე – 1,8 სმ.

115. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XXXIII<sub>6</sub>), მოშავოდ გამომწვარი თიხის.

116. ხელადა (ტაბ. XXXIII<sub>4</sub>; LII<sub>4</sub>; LXII<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. ნაკლულია. მუცლის დმ – 13 სმ, ძირის დმ – 8 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 33

ქვაყუთია. (ტაბ. VIII<sub>1</sub>) ოთხივე კედელი შეკრული იყო თითო ფილაქით, გადახურვა ნაწილობრივ მორღვეული ჰქონდა. სამარ-

ნი ( $0,8 \times 0,65 \times 0,31$  მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. სამარხის სამხრეთ კუთხეში იატაკზე იდო მიცვალებულის კიდურების რადგენიმე ლულოვანი ძვლის ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა:

117. თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ტაბ. XXXIV<sub>2</sub>), მოკვითალო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის.

### ს ა მ ა რ ხ ი № 34

ქვაყუთია. სახურავის ქვები ნაწილობრივ დაზიანებულია. სამარხის კედლებად ვერტიკალურად დადგმული ოთხი ქვის ფილაა გამოყენებული. სამარხი ( $0,8 \times 0,55 \times 0,5$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე. ძლიერ მოკრუნჩეული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

118. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. XXXIV<sub>3</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის.

119. ღერო (ტაბ. XXXIV<sub>5</sub>), რკინის, ძლიერ დაჟანგული, ნაკლული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 35

ქვაყუთია. გადახურულია მოზრდილი ფილაქვით. სამარხის კედლებიც ფილაქვებისაა. დაზიანებულია. სამარხი ( $0,8 \times 0,75 \times 0,55$  მ) დამხრობილია O-W ხაზზე. გაძარცვულია. სამარხიდან ამოღებულ მიწაში აღმოჩნდა:

120. ხელადა (ტაბ. XXXIV<sub>6</sub>; XLIX<sub>6</sub>; LXI<sub>8</sub>), ჩაიდანისებრი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, პირსწორი, მუცელმომრგვალებული, ბრტყელძირა. ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ყურის მოპირდაპირედ, მხარზე დაძერწილია მრგვალგანივკვეთიანი მილი. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 7,3 სმ, მუცლის – 9 სმ, ძირის დმ – 4,8 სმ. მილის სიმაღლე – 5,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 36

ქვაყუთია. სამარხის კედლები ოთხი ფილაქვითაა გამართული, სახურავი მორღვეულია. სამარხი ( $1,1 \times 0,6 \times 0,3$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოკრუნჩეული, მარჯვენა გვერდზე. თავი ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

121. ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. XXXIV<sub>4</sub>), მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის, შავი და ვარდისფერი ლაქებით.

122. სამაჯური (ტაბ. XXXIV<sub>8</sub>), რკინის, ბურთულებიანი. დამტვრეული.

123. დანა (ტაბ. XXXIV<sub>6</sub>), რკინის, ძლიერ დაუანგული. დამტვრეული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 37

ქვაყუთია. (ტაბ. VIII<sub>2</sub>; XIII<sub>3</sub>). გადახურვა არ შემორჩა. კედები გამართულია ოთხი ქვიშაქვის ფილით. სამარხი ( $0,9 \times 0,5 \times 0,25$  მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ მოკრუნჩხული მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

124. ხელადა (ტაბ. XXXIV<sub>7</sub>; LVIII<sub>2</sub>; LXII<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ანგობირებული. მოხატულია მუქი წითელი საღებავით. ნაკლული.

125. სამაჯური (ტაბ. XXXIV<sub>9</sub>), რკინის, ნაკლული, მრგვალ-ლეროიანი, დაკეჭნილი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 38

ქვაყუთია, ძლიერ დაზიანებული. SW და SO კედლები მორ-ლვეული ჰქონდა. სამარხი (დაახლ. ზომაა  $1,3 \times 0,6 \times 0,5$  მ) დამტვრებილია SO-NW ღერძზე. მიცვალებულის ჩონჩხი არ შემონა-ხულა. ინვენტარიდან აღმოჩნდა:

126. თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები.

### ს ა მ ა რ ხ ი № 39

ქვაყუთია, შედგენილია ფილაქვებით, გადახურვა ნაკლულია. სამარხი ( $0,7 \times 0,6 \times 0,4$  მ) დამხრობილია SO-NW ღერძზე. ჩონჩხის ნაშთები თავმოყრილი იყო სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში. ინვენტარიდან აღმოჩნდა:

127. მძივი (ტაბ. XXXV<sub>10</sub>; LXXI<sub>18</sub>), ცისფერი პასტის, მრგვალი.

128. მძივი (ტაბ. XXXV<sub>9</sub>; LXXI<sub>17</sub>), 5 ც., მოყვითალო პასტის, მილისებრი მოყვანილობის.

## ს ა მ ა რ ხ ი № 40

ქვაყუთია. სახურავი მორღვეული ჰქონდა. სამარხი ( $1,0 \times 0,6 \times 0,45$  მ) შეკრულია 4 ფილაქვით. დამხრობილია SO-NW ღერძზე. ცუდად შემონახული ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალულია სამარხის ჩრდილო ნაწილში, ძლიერ მოკუნტულად, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

სამარხში აღმოჩნდა:

129. ხელადა (ტაბ. XXXV; LVIII<sub>2</sub>; LXII<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მოხატულია მუქი წითელი საღებავით, ნაკლულია, სფერულტანიანი, ბრტყელძირა. მუცლის დმ – 11, ძისრის – 7 სმ.

130. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ტაბ. XXXV<sub>13</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი.

131. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ტაბ. XXXV<sub>14</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის.

132. მძივი (ტაბ. XXXV<sub>6</sub>; LXXI<sub>25</sub>), მოცისფრო მინის, სფერული, ფართენახვრეტიანი. დმ – 1,6 სმ.

133. მძივი (ტაბ. XXXV<sub>4</sub>; LXXI<sub>26</sub>), ბრინჯაოს. დმ – 1 სმ.

134. მძივი (ტაბ. XXXV<sub>7</sub>; LXXI<sub>28</sub>), ცისფერი პასტის, მრგვალი. დმ – 0,5 სმ.

135. მძივი (ტაბ. XXXV<sub>3</sub>; LXXI<sub>27</sub>), ყვითელი პასტის, მრგვალი. დმ – 0,4 სმ.

136. მძივი (ტაბ. XXXV<sub>2</sub>; LXXI<sub>30</sub>), ქვის (?), კასრისებრი. სიგრძე 0,7 სმ. დმ – 0,3 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 41

ქვაყუთია. (ტაბ. VIII<sub>3</sub>). სახურავი მორღვეული ჰქონდა. გეგმი თითქმის კვადრატული ფორმის სამარხი ( $0,8 \times 0,7 \times 0,5$  მ) შეკრული იყო 4 ფილაქვით. დამხრობილი იყო O-W ღერძზე, ოდნავი გადახრით. სამარხის O ნაწილში მიცვალებულის ძვლების რამდენიმე ფრაგმენტი შემორჩა. სამარხში აღმოჩნდა:

137. ხელადა (ტაბ. XXXV<sub>15</sub>; LII<sub>3</sub>; LXII<sub>5</sub>), მოჩალისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა. მუცელზე შემოუყვება სამი ამოკაწრული ხაზი. მხარზე ჩა-

მოსდევს ნაპრალები, ხაზები. სიმაღლე – 18,5, პირის დმ – 7,5, მუცლის – 16, ძირის – 9 სმ.

138. ხელადა (ტაბ. XXXV<sub>6</sub>; LII<sub>3</sub>; LXII<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, პირგადაშლილი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 10,3, პირის დმ – 5, მუც-ლის – 9, ძირის – 6,8 სმ.

139. ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტი (ტაბ. XXXV<sub>12</sub>), შავად გამომწვარი თიხის.

140. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ტაბ. XXXV<sub>11</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი.

141. მძივი (ტაბ. XXXV<sub>5</sub>; LXXI<sub>31</sub>), ცისფერი პასტის, მილი-სებრი, სიგრძე – 1 სმ.

142. მძივი (ტაბ. XXXV<sub>8</sub>; LXXI<sub>37</sub>), მუქი წითელი პასტის, მილაკისებური. სიგრძე – 1,1 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 42

ქვაყუთია. გადახურვა ნაწილობრივ მორღვეული ჰქონდა. სა-მარხი ( $1,0 \times 0,65 \times 0,55$  მ) შეკრული იყო 4 ფილაქვით. დამხრობი-ლია S-N ღერძზე, ოდნავი გადახრით. ცუდად შემონახული მიც-ვალებულის ჩონჩხის რამდენიმე ფრაგმენტი დაფიქსირდა სამარ-ხის შესასვლელში. სამარხში აღმოჩნდა:

143. მათარა (ტაბ. XXXVI<sub>1</sub>; LV<sub>6</sub>; LXVII<sub>3</sub>), მოყვითალო-მოჩა-ლისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, ვიწროყელიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა, ორყურა. სიმაღლე – 24სმ, მუცლის დმ – 20,5 სმ.

144. ხელადა (ტაბ. XXXVII<sub>1</sub>; LXIII<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გა-მომწვარი თიხის, ნაკლული, პირგადაშლილი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 14სმ, პირის დმ – 6,5სმ, მუცლის დმ – 10,5სმ, ძირის დმ – 5,6 სმ.

145. ბეჭედი, რკინის, დაშლილი.

146. სამაჯური, რკინის, დაშლილი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 43

ქვაყუთია. გადახურვა მორღვეული ჰქონდა. NW კედლის ფი-ლაქვა ჩაწოლილი იყო სამარხში. სამარხი ( $0,9 \times 0,65 \times 0,55$  მ) დამ-

ნორბილია SO-NW ღერძზე. ცუდად შემორჩენილი ჩონჩხის ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ძლიერ მოკრუნჩხული, გვერდზე, თავით ჩრდილოეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

147. ხელადა (ტაბ. XXXVII<sub>3</sub>; LXIII<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, მრგვალპირიანი, სფერულტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 20სმ, პირის დმ – 8,7სმ, მუცლის დმ – 18სმ, ძირის დმ – 12,5 სმ.

148. ქოთანი (ტაბ. XXXVII<sub>2</sub>; LIII<sub>2</sub>; LXIV<sub>6</sub>), თიხის, რუხად გამომწვარი, მოვარდისფრო ლაქებით, პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 10,2სმ, პირის დმ – 8,9სმ, მუცლის დმ – 13,5სმ, ძირის -დმ – 9,2 სმ.

149. ჯამი (ტაბ. XXXVII<sub>5</sub>; LVII<sub>3</sub>; LXVI<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელძირა. ძველადვე გატეხილია და შეუკეთებიათ. სიმაღლე – 4,5 სმ, პირის დმ – 13,5 სმ, ძირის დმ – 8,8 სმ.

150. ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (ტაბ. XXXVII<sub>4</sub>), მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი თიხისა.

151. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ტაბ. XXXVII<sub>4</sub>), მოყვითალოდ გამომწვარი თიხის.

## ს ა მ ა რ ხ ი № 44

ქვაყუთია (ტაბ. IX; XIV). აღსანიშნავია, რომ № 44 სამარხის კუთხეს დაუზიანებია № 42 სამარხის კუთხე. № 44 სამარხი № 42-ზე რამდენადმე მოვიანებით აუგიათ. № 44 სამარხი მთელ სამაროვანზე გამოირჩევა სიდიდით ( $1,6 \times 0,95 \times 0,85$  მ); ფილაქვებიც საკმაოდ სქელია (7-10 სმ), მაშინ როდესაც სხვა სამარხების ფილების სისქე – 4-6 სმ ფარგლებში მერყეობს. სამარხის მდებარეობაც ცენტრალურ ნაწილში ერთგვარად მეტყველებს მასში დაკრძალულის შედარებით მაღალ სოციალურ მდგომარეობაზე. გადახურული იყო 1 ფილაქვით, რომელიც შემდგომ დახეთქილია; კედლები შეკრული ჰქონდა 4 ფილაქვით. დამხრობილი იყო SO-NW ღერძზე. მიცვალებულის ძვლები თავმოყრილი იყო ერთად სამარხის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, იატაკზე, ხოლო ქვედა ყბის და ზოგიერთი ძვლის ფრაგმენტები გადავარდნილი იყო სამარხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. სამარხში აღმოჩნდა:

152. ზარაკი (ტაბ. XXXVIII<sub>1</sub>; LXXI<sub>36</sub>), ბრინჯაოს, ნახევარ-სფერული. სიმაღლე – 1,7 სმ, დმ – 2,3 სმ.

153. ზარაკი (ტაბ. XXXVIII<sub>2</sub>), ბრინჯაოს, ძლიერ დაზიანებული.

154. ძეწკვი (ტაბ. XXXVIII<sub>6</sub>), ბრინჯაოს, ნაკლული. შემორჩენილია ოთხი რგოლი.

155. ძეწკვი, ბრინჯაოს, ერთი რგოლი.

156. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>10</sub>; LXXI<sub>23</sub>), ცისფერი პასტის, შეწყვილებული, მილისებრი. სიგრძე – 1 სმ, სიგანე – 0,8 სმ.

157. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>3</sub>), მუქი წითელი პასტის, 10 ც., მილაკისებური. სიგრძე – 0,7-1,3 სმ.

158. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>12</sub>; LXXI<sub>24</sub>), პასტის, 2 ც.

159. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>11</sub>; LXXI<sub>21</sub>), პასტის, ცილინდრული. სიგრძე – 0,6 სმ.

160. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>5</sub>), ლურჯი პასტის, 196 ც., მრგვალბრტყელი.

161. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>4</sub>), ყვითელი პასტის, 31 ც., მრგვალბრტყელი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 45

ქვაყუთია. გადახურვა მორლვეული პქონდა. გეგმაში ოთხკუთხა სამარხი ( $0,9 \times 0,6 \times 0,35$  მ) შეკრული იყო 4 ფილაქით. დამხრობილია SO-NW დერძზე. მიცვალებულის ძლიერ დაშლილი ჩონჩხის ფრაგმენტები ეწყო სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში. სამარხში აღმოჩნდა:

162. ხელადა (ტაბ. XXXVIII<sub>18</sub>; LXII<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შელებილი, ნაკლული.

163. ჭურჭლის ფრაგმენტები, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის.

164. ჭურჭლის გვერდის ნატეხი (ტაბ. XXXVIII<sub>15</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის.

165. ბეჭედი (ტაბ. XXXVIII<sub>16</sub>; LXX<sub>17</sub>), რკინის, ფარაკიანი, ძლიერ დაუანგული, ნაკლული.

166. სამაჯური (ტაბ. XXXVIII<sub>17</sub>; LXIX<sub>17</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული, მრგვალდეროიანი, ბურთულებიანი.

167. ღერო (ტაბ. XXXVIII<sub>7</sub>), რკინის, ძლიერ დაუანგული და დამტვრეული.

168. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>8</sub>; LXXI<sub>33</sub>), ცისფერი პასტის, მრგვალ-ბრტყელი.

169. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>9</sub>; LXXI<sub>34</sub>), ყვითელი პასტის, მრგვალ-ბრტყელი. 14 ც. სიგრძე – 0,4-0,6 სმ.

170. მძივი (ტაბ. XXXVIII<sub>13</sub>), ცისფერი მინის, მრგვალ-ბრტყელი. დმ – 0,4 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 46

№ 44 სამარხის გვერდით სამხრეთის მხრიდან შემოიხაზა ორმოს კონტურები, რომელსაც ზემოდან უსისტემოდ ეყარა სწავა-დასხვა ჭურჭლის ფრაგმენტები. პრეპარაციის შედეგად გაირკვა, რომ იგი ცარიელი იყო.

### ს ა მ ა რ ხ ი № 47

ორმოსამარხია. გადახურული იყო ფილაქვებით. გადახურვა ნაწილობრივ მორღვეული დაგვხვდა. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გარედან მიღებული ჰქონდა მომრგვალებული რიყის ლოდი. ცუდად შემორჩენილი ძვლების მიხედვით, სავარაუდოა, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკუნტულად, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ორმო გეგმაში ოვალური მოყვანილობისაა ( $1,0 \times 0,75$  მ, სიღრმე – 0,35 მ), სამარხი დამხრობილია S-N ღერძზე. სამარხში აღმოჩნდა:

171. ხელადა (ტაბ. XXXVIII<sub>19</sub>; LXIII<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, სამტუჩა, ბრტყელძირა. სიმაღლე – 8,3 სმ, მუცლის დმ – 9,2 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

172. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXXVIII<sub>14</sub>; LXX<sub>13,14</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. 2 ც.

173. რკინის ნივთის ნატეხი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 48

ქვაყუთია. ძლიერაა დაზიანებული. გადარჩენილია მხოლოდ NO და SW კედლების ფილაქვების ფრაგმენტები, რომელთა მიხედვით მისი ფართობი დაახლოებით  $0,7 \times 0,6$  მ-ია. დამხრობილია SO-NW ღერძზე. სამარხი გაძარცვულია.

## ს ა მ ა რ ხ ი № 49

ქვევრსამარხია (ტაბ. IX<sub>2,3</sub>; XIV<sub>2</sub>). ქვევრი დაწვენილი იყო გვერდზე თითქმის პორიზონტალურად. მისი სიგრძე 105 სმ უდრის, პირის დმ – 34 სმ, ბრტყელი ძირის დმ – 17 სმ, მუცლის უდიდესი დმ – 80 სმ. პირზე, რომელიც მიმართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით, მიფარებული პქონდა ოთხკუთხა ფორმის ქვიშაქვის ფილაქვა. ყელზე შემოუყვება ნაჭდევი ორნამენტი. ქვევრი დამსკდარ-დაბზარული დაგვზვდა. ნატეხები არ აკლია, თითქოს მთელი უნდა ყოფილიყო. მიცვალებული (მოზარდი) შესაძლებელია ქვევრის პირიდანაც იყო დასაფლავებული. მიცვალებულის ჩონჩხიდან დარჩენილი იყო თავის ქალას, წვივის ძვლების უსახო ფრაგმენტები, თითის ფალანგა, რომელზედაც ბრინჯაოს ბეჭედი იყო წამოცმული, ხელის მტევნები შემოწყობილი პქონდა თავის ქალას ქვეშ. მიცვალებული რაღაც საფენზე (შემორჩენილი იყო თეთრი ფერის ოვალური ლაქა, რომლის ზომა  $0,5 \times 0,3$  მ-ია) უნდა ყოფილიყო დაკრძალული, მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოკუნტული, თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩენილი ნივთები ეწყო მიცვალებულის გულმკერდის არეში და თავის ქალასთან. ქვევრის ალაგების შემდეგ გამოირკვა, რომ მისი ყელის ქვეშ იდო თიხის ცალფურა ჭურჭელი, თავიდანვე ნაკლული. მოტეხილი პქონდა ყური და პირის ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ქვევრის სარქველის ქვის ქვედა ნაწილი მიფარებული პქონდა ხელადასაც. სამარხში აღმოჩნდა:

174. ხელადა (ტაბ. XXXIX<sub>6</sub>; LII<sub>5</sub>; LXII<sub>7</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი. პირგადაშლილი, მომრვვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 15 სმ, პირის დმ – 9,3 სმ, მუცლის დმ – 13,7 სმ; ძირის დმ – 7,5 სმ.

175. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XXXIX<sub>1</sub>; LIX<sub>5</sub>), ოქროს, 2 ც., დმ – 4,3 სმ.

176. საკიდი (ტაბ. XXXIX<sub>5</sub>; LIX<sub>1</sub>), ვერცხლის, მთვარისებრი, წვერები სპირალურადაა ჩახვეული. საკიდზე წერტილებით გამოსახულია სამი სამკუთხედი, რომელთა ფუძეები ერთმანეთთან წერტილების ერთი რიგითაა დაკავშირებული.

177. ბეჭდის ფარაკი, (ტაბ. XXXIX<sub>4</sub>; LIX<sub>10</sub>), ვერცხლის, ზურგი გამოსახულების გარეშეა, შუბლზე გამოსახულია მზის (?) სიმბოლო. დმ – 1,5 სმ.

178. საკიდი (ტაბ. XXXIX<sub>7</sub>; LIX<sub>3</sub>), ბრინჯაოს, წაგრძელებული, წელში გამოყვანილი ფირფიტაა, რომელსაც ნახვრეტების სამი რიგი დაუყვება. სიგრძე – 4,5 სმ, სიგანე – 2,2 სმ.
179. მილაკი (ტაბ. XXXIX<sub>15</sub>; LIX<sub>4,16</sub>), ბრინჯაოს, დამტვრეული. შეწყვილებული ორი მილი ბრინჯაოსავე სალტით არის გამაგრებული. შემორჩენილი სიგრძე – 7 სმ, სიგანე – 1,4 სმ. მილების დმ – 0,5-0,7 სმ.
180. საკინძი (ტაბ. XXXIX<sub>19</sub>; LIX<sub>12</sub>), ბრინჯაოს, ღერო ნემ-სისებური, ყელთან გამსხვილებული, გაბრტყელებული და განვრეტილია, თავი მომრგვალებულია და ამოღარული სარტყლებით შემკული. სიგრძე – 5,5 სმ.
181. ზარაკი (ტაბ. XXXIX<sub>10</sub>; LIX<sub>2</sub>), ბრინჯაოს, ნახევარსფერული. სიმაღლე – 2,3 სმ, დმ – 2,6 სმ.
182. ზარაკი (ტაბ. XXXIX<sub>11</sub>; LIX<sub>9</sub>), ბრინჯაოს, ცილინდრული, გვერდშეჭრილი, ყუნწიანი, რკინის ენით. სიმაღლე – 2,1 სმ, დმ – 0,8-1,1 სმ.
183. ზარაკი (ტაბ. XXXIX<sub>12</sub>; LIX<sub>8</sub>), № 182-ის ანალოგიური. სიმაღლე – 1,9 სმ, დმ – 0,8 სმ.
184. ზარაკი (ტაბ. XXXIX<sub>13</sub>; LIX<sub>7</sub>), ბრინჯაოს, კონუსისებური, გვერდშეჭრილი, რკინის ენით. სიმაღლე – 1,7 სმ, დმ – 1×1,2 სმ.
185. ილარი (ტაბ. XXXIX<sub>18</sub>; LIX<sub>14,17</sub>), ბრინჯაოს, მრგვალდეროიანი თავზე ჩიტის სკულპტურული გამოსახულებით. სიგრძე – 6,3 სმ.
186. საკინძი (ტაბ. XXXIX<sub>17</sub>; LIX<sub>15,18</sub>), ბრინჯაოს, მრგვალდეროიანი თავზე ცხენის სკულპტურული გამოსახულებით. სიგრძე – 8,7 სმ.
187. ბეჭედი (ტაბ. XXXIX<sub>2</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ – 2,2 სმ.
188. საკიდი (ტაბ. XXXIX<sub>14</sub>; LIX<sub>11,13</sub>), ლურჯი მინის, ინკრუსტირებული, ჩიტის გამოსახულებით.
189. საკიდი (ტაბ. XXXIX<sub>6</sub>), გიშრის, 2 ც. ძლიერ დაზიანებული.
190. მძივი (ტაბ. XXXIX<sub>3</sub>; LIX<sub>9</sub>), ცისფერი პასტის, ცილინდრული, გრეხილი, 7 ც. სიგრძე – 0,9-1,1 სმ.
191. მძივი (ტაბ. XXXIX<sub>9</sub>), ცისფერი პასტის, მრგვალ-ბრტყელი. 20 ც. დმ – 0,2 სმ.

192. მძივი (ჭაბ. XXXIX<sub>8</sub>), ლურჯი პასტის, თეთრი თვლებით შემკული. სფერული. დმ – 0,6 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 50

სამარხად პირობითადაა მიჩნეული, რადგან  $1,5 \times 1,3$  მ ფართობზე გამოვლენილი რიყის ქვის ყრილის გარდა არაფერი აღმოჩენილა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 51

ქვაყუთია. გადახურვა დაზიანებული იყო. სამარხის სამი კედელი ფილაქვებით იყო შედგენილი, ხოლო მეოთხე, NW – რიყის 4 მოზრდილი, მწკრივად დაწყობილი ქვით იყო შედგენილი. სამარხის NO კედელს ჩრდილო ნაწილზე გარედან ქვა ჰქონდა მიღებული. გარედან ქვები მიღებული ჰქონდა სამარხის სამხრეთ კუთხესაც. სამარხი ( $0,8 \times 0,55 \times 0,5$  მ) დამხრობილი იყო SO-NW დანართზე. მიცვალებულის ცუდად შემორჩენილი მვლები ეწყო სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის გასწვრივ. ჩონჩხის ზოგიერთი ფრაგმენტი იღო იატაკზე, სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში, დანარჩენი კი იატაკის დონიდან 10-20 სმ-ით მაღლა. სამარხში აღმოჩნდა:

193. ხელადა (ჭაბ. XL<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნაკლული, ნისკარტიანი, ბრტყელძირა.

194. ხელადა (ჭაბ. XL<sub>6</sub>; LII<sub>6</sub>; LX<sub>7</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 12 სმ, პირის დმ – 6 სმ, მუცლის დმ – 12 სმ, ძირის დმ – 7,5 სმ.

195. ხელადა (ჭაბ. XL<sub>2</sub>; LII<sub>2</sub>; LXIII<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შავი ლაქებით. პირგადაშლილი, მსხლისებურტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 6,5 სმ, პირის დმ – 4,6 სმ, მუცლის დმ – 6,9 სმ, ძირის დმ – 4,5 სმ.

196. მძივი (ჭაბ. XL<sub>4</sub>; LXXI<sub>39</sub>), ცისფერი პასტის, მიღაკისებრი, 2 ც., სიგრძე – 0,9 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 52

ქვაყუთია. გადახურვა მორღვეული ჰქონდა. სამარხის ( $0,9 \times 0,65 \times 0,35$  მ) კედლები შეკრული იყო 4 ფილაქვით. დამხრობილი იყო S-N ღერძზე, ოდნავი გადახრით. სამარხის სამხრეთ კედელს გარედან მიღვმული ჰქონდა ქვა. მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები არეული იყო. სამარხში აღმოჩნდა:

197. ქოთანი (ტაბ. XLI<sub>2</sub>; LIII<sub>4</sub>; LXIV<sub>5</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი ლაქებით, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 9,2 სმ, პირის დმ – 8,3 სმ, მუცლის დმ – 11,5 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

198. „კავი“ (ტაბ. XLI<sub>6</sub>), ვერცხლის, წვრილი მავთულისა. 2 ც. სიგრძე – 1,3-1,4 სმ, სიგანე – 0,7-0,8 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 53, 54, 55

ქვაყუთები № 53, 54, 55 მდებარეობენ თხრილის დასავლეთ ნაწილში, სადაც გაიყვანეს სარწყავი არხი. აღნიშნული სამარხები თითქმის სრულიად დანგრეული იყო მშენებლების მიერ. მათში არავითარი მასალა აღარ შემორჩა. აქა-იქ შეინიშნებოდა სამარხის კედლის ფილაქვების ნატეხები.

## ს ა მ ა რ ხ ი № 56

ქვაყუთია. (ტაბ. XIV<sub>3</sub>). გადახურვა სრულიად მორღვეული ჰქონდა. SW-NO დამხრობილი სამარხი ( $0,9 \times 0,6 \times 0,5$  მ) შეკრული იყო 4 ფილაქვით. სამარხის კედლებს გარედან შემოწყობილი ჰქონდა ქვები. მიცვალებულის ცუდად შემონახული ჩონჩხის ფრაგმენტები უსისტემოდ ეწყო სამარხის სამხრეთ კუთხეში. სამარხის შუა ნაწილში, მიცვალებულის ჩონჩხის ძვლების ფრაგმენტების ქვეშ აღმოჩნდა კერამიკის 199 ფრაგმენტი.

199. ჭურჭლის ფრაგმენტები, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 57

ქვაყუთია (ტაბ. XV<sub>1</sub>). გადახურვა სრულიად მორღვეული ჰქონდა. დამხრობილია SO-NW. სანარხი ( $1,0 \times 0,55 \times 0,5$  მ) შეკრუ-

ლი იყო 4 ფილაქვით. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დარჩენილი ნაპრალი შევსებული იყო 3 ქვით. მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები თითქმის მთლიანად დაიშალა. თავის ქალას ცუდად შემონახული ფრაგმენტები იღო სამარხის ჩრდილო კუ-თხეში. სამარხში აღმოჩნდა:

200. ქვევრი მინიატურული (ტაბ. XLI<sub>4</sub>; LV<sub>4</sub>; LXVII<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, ფართოპირიანი, კვერცხისებურტანიანი, ძირწვეტიანი. ტანი შემკულია ამოღარული ვერტიკალური ხაზებით. ნაკლულია. მუცლის დმ – 8,5 სმ.

201. ჯამი (ტაბ. XLI<sub>5</sub>; LVII; LXVI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 4,7 სმ, პირის დმ – 16,5 სმ, ძირის დმ – 11 სმ.

202. ქოთანი (ტაბ. XLI<sub>8</sub>; LIV<sub>8</sub>), რუხად გამომწვარი, მსხვილ-მარცვლოვანი თიხის, ნაკლული. პირის დმ – 10,4 სმ, ძირის დმ – 10,6 სმ.

203. მძივი (ტაბ. XLI<sub>10</sub>; LXXI<sub>32</sub>), მინის, წაგრძელებული, ოთხკუთხაგანიველითიანი, სიგრძე – 1,6 სმ.

204. მძივი (ტაბ. XLI<sub>9</sub>; LXXI<sub>38</sub>), ცისფერი პასტის, ცილინ-დრული, სიგრძე – 1 სმ.

205. მძივი (ტაბ. XLI<sub>11</sub>), ცისფერი პასტის, მრგვალ-ბრტყელი. დმ – 0,3 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 58

სამარხს პირობითად ვუწოდებთ. წარმოადგენს  $0,7 \times 0,5$  მ ფარ-თობზე უსისტემოდ დაწყობილ რამდენიმე რიყის ქვას, რომლებიც მდებარეობენ № 57 სამარხის NO 0,5 მ -ზე.

## ს ა მ ა რ ხ ი № 59

ანალოგიურად № 50 და № 58 სამარხებისა, მასაც სამარხს პირობითად ვუწოდებთ. წარმოადგენს  $2,5 \times 1,5$  მ ფართობზე გან-ლაგებული რიყის ქვების წყობას, S-N ღერძზე დამხრობილს, გეგმაში სამკუთხედისებურს. მდებარეობს № 57 სამარხის აღმოსავლეთით 1,5 მ-ზე.

## ს ა მ ა რ ხ ი № 60

ქვაყუთია. გადახურული იყო რამდენიმე ფილაქვით. SW-NO დამხრობილ სამარხს ( $1,2 \times 1,0 \times 0,6$  მ) ფილაქვებით შეკრული კედლები დაბზარული ჰქონდა. მიცვალებულის ცუდად შემონახული ჩონჩხის ფრაგმენტები ჯგუფად ეწყო სამარხის აღმოსავლეთ კუთხეში, სხვადასხვა ღონებები. სამარხში აღმოჩნდა:

206. ხელადა (ტაბ. XLI; LX<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, ნაკლული. ძირის დმ – 7,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 61

ქვაყუთია. გადახურვის დიდი ნაწილი მორღვეული ჰქონდა. SO-NW დამხრობილი სამარხის ( $1,1 \times 0,7 \times 0,37$  მ) კედლები შეკრული იყო თითო ფილაქვით. ნაპრალები შევსებული იყო ნატეხი ქვებით. ჩონჩხის ცუდად შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მიცვალებული დაკრძალული იყო გვერდზე, ძლიერ მოკუნტული, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

207. ქოთანი (ტაბ. XLI<sub>16</sub>; LIII; LXIII<sub>7</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი. სიმაღლე – 7,5 სმ, პირის დმ – 7,7 სმ, მუცლის დმ – 9 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

208. სამაჯური (ტაბ. XLI<sub>3,4</sub>; LXIX<sub>12,13</sub>), ბრინჯაოს, 2 ც. მრგვალდეროიანი, ზურგშეზნექილი, თავგახსნილი, თავებზე ბურთულებით.

209. სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. XLI<sub>12,13</sub>; LXX<sub>15,16</sub>), ბრინჯაოს, 2 ც., თავგახსნილი. დმ – 1,9-2,2 სმ.

210. სამაჯური (ტაბ. XLI<sub>7</sub>; LXIX<sub>13</sub>), რკინის, ნაკლული, ბურთულებიანი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 62

ორმოსამარხია. გადახურვა არ შემორჩა. ზემოდან ფარავდა შავი ფერის დამწვარ-დანახშირებული მიწის ფენა ( $1,15 \times 0,7$  მ), რომლის ქვეშ 10 სმ სიღრმეზე გამოჩნდა ოვალური ორმო ( $1,2 \times 0,8$  მ). მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით დასავლეთისაკენ. როგორც ჩანს, მიცვალებულს დაკრძალვის შემდეგ, დაახლოებით 10 სმ სიმაღლის

მიწის ფენა დააყარეს, შემდეგ შეუსრულებით კოცონის დანთებასთან დაკავშირებული რიტუალი. სამარხში აღმოჩნდა:

211. მძივი (ტაბ. XLI<sub>5</sub>; LXXI<sub>35</sub>), 161 ც., ცისფერი პასტის, სფერული და მრგვალ-ბრტყელი.
212. თიხის ჭურჭლის ყურის ნატეხი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 63, 64

ეს სამარხები, ანალოგიურად № 50, 58, 59 სამარხებისა, სამარხებად პირობითად მივიჩნევთ. მდებარეობენ თხრილის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და წარმოადგენენ უსისტემო ქვაყრილებს.

### ს ა მ ა რ ხ ი № 65

ორმოსამარხია. მდებარეობს № 61 სამარხის NW 1 მ-ზე. გადახურვა მორღვეული პქონდა – შემორჩა ფილაქვის ფრაგმენტი, რომლის ქვეშ დამწვარი მიწის ფენა ღმოჩნდა. ორმოში მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთიც არ ყოფილა. სამარხის პრეპარაციის პროცესში მოჩალისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტი აღმოჩნდა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 66

ქვაყუთია. მდებარეობს № 65 სამარხის დასავლეთით, 1,2 მ მანძილზე. როგორც გადახურვა, ისე თვით სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო. სამარხში გარდა ცუდად შემონახული მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტებისა არაფერი აღმოჩენილა. სამარხის ზომა დაახლოებით  $1,0 \times 0,6 \times 0,3$  მ-ია, დამხრობილია S-N ღერძზე, რამდენადმე გადახრილად.

### ს ა მ ა რ ხ ი № 67

ორმოსამარხია (ტაბ. XV<sub>2</sub>). მდებარეობს თხრილის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, № 70 სამარხის აღმოსავლეთით 1,0 მ მანძილზე. გადახურული იყო რამდენიმე ფილაქვით. დამზრობილი იყო N-S ღერძზე. სახურავის ფართობი  $1,5 \times 0,8$  მ შეადგენს. ორმოს ( $1,1 \times 0,7 \times 0,65$  მ) გეგმაში ოთხკუთხა მოყვა-ადგენს.

**ნიღობა** ჰქონდა. მიცვალებულის ჩონჩხის ძლიერ ფრაგმენტი მული ნატეხები იყო სამარხის შუა ნაწილში, იატაკის დონეზე. სამარხში აღმოჩნდა:

213. ხელადა (ტაბ. XLII<sub>2</sub>; LI<sub>4</sub>; LXI<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, ნისკარტიანი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 17 სმ, მუცლის დმ – 14 სმ, ძირის დმ – 8 სმ.

214. კოჭობი (ტაბ. XLII<sub>5</sub>; LIV<sub>7</sub>; LXV<sub>10</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნაკლული. სიმაღლე – 6,6 სმ.

215. ჯამი (ტაბ. XLII<sub>6</sub>; LVI<sub>7</sub>; LXVI<sub>11</sub>), თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, შეღებილი, პირგადაშლილი, მხარწიბოიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 3,5 სმ, პირის დმ – 12,5 სმ, ძირის დმ – 5 სმ.

216. შუბისპირი (ტაბ. XLII<sub>3</sub>), რკინის, ქედიანი, დაუანგული, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე – 15,5 სმ.

217. დანა (ტაბ. XLII<sub>4</sub>; LXVIII<sub>12</sub>) რკინისა, მოხრილი, დამტვრეული.

## ს ა მ ა რ ხ ი № 68

ქვაყუთია (ტაბ. XV<sub>3</sub>). გადახურვა ნაწილობრივ მორღვეული ჰქონდა. შერჩენილი იყო ფილაქვის რამდენიმე ფრაგმენტი. სამარხი ( $1,0 \times 0,55 \times 0,5$  მ) დამხრობილია პრაქტიკულად S-N ღერძზე, ოდნავი გადახრით, შეკრულია 4 ფილაქვით. მიცვალებული, ცუდად შემონახული ჩონჩხის მიხედვით, დაკრძალული იყო სამარხის დასავლეთის კედლის გასწვრივ, მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა:

218. ხელადა (ტაბ. XLIII<sub>2</sub>; L<sub>3</sub>; LXI<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, შეღებილი, ნისკარტიანი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 19 სმ, მუცლის დმ – 16,5 სმ, ძირის დმ – 11 სმ.

219. კოჭობი (ტაბ. XLIII<sub>5</sub>; LIV<sub>4</sub>; LXV<sub>11</sub>), თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, შეღებილი. სიმაღლე – 5,5 სმ, პირის დმ – 6 სმ, მუცლის დმ – 8 სმ, ძირის დმ – 3 სმ.

220. შუბისპირი (ტაბ. XLIII<sub>3</sub>; LXVIII<sub>6</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული. მასრაში ჩის ნაშთებით. შემორჩენილი სიგრძე – 16,5 სმ.

221. რკინის ნივთის ფრაგმენტი.

222. სამაჯური (ტაბ. XLIII<sub>4</sub>), რკინის, ძლიერ დაუანგული,  
ნაკლული.

223. სამაჯური (ტაბ. XLIII<sub>1</sub>; LXIX<sub>7</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული.

б а д а м б о № 69

ქვაყუთია (ტაბ. XVI). გადახურვა მორღვეული ჰქონდა – ფილაქვის რამდენიმე ნატეხი შემორჩა. S-N ღერძზე დამხრობილი (ოდნავი გადახრით) სამარხი ( $1,25 \times 0,75 \times 0,60$  მ) შეკრული იყო 4 ფილაქვით. მიცვალებულის ჩონჩხის რამდენიმე ფრაგმენტი (ნეპ-ნი, კიდურების ძვლები და სხვა) თავმოყრილი იყო სამარხის დასავლეთ ნაწილში. სამარხში აღმოჩნდა:

224. ქოთანი (ზაბ. XLIV<sub>5</sub>; LV<sub>5</sub>; LXVII), მოვარდისფროდ გა-  
მომწვარი თიხის, პირმრგვალი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელ-  
ძირა, ორყურა. შემკულია ამოკაწრული ორნამენტით. სიმაღლე –  
19 სმ, პირის დმ – 10 სმ, მუცელის დმ – 17,5 სმ, ძირის დმ – 8,8  
სმ.

225. ჯამი (ტაბ. XLIV<sub>6</sub>; LVI<sub>4</sub>; LXVI<sub>9</sub>), მოვარდისფროდ გა-  
მოწვარი თიხის, შეღებილი, პირგადაშლილი, მხარწიბოიანი,  
გრტყელძირა. ძირი ამოზნექილია. სიმაღლე – 5,3 სმ, პირის დღ –  
19,2 სმ. ძირის დღ – 6,6, სმ.

226. სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. XLIV; LXX<sub>3,4</sub>), ვერცხლის, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებული და გახვრეტილია, 2 კ., დმ - 5,8 სმ.

227. საკინძი (ტაბ. XLIV<sub>7</sub>; LXXI<sub>11</sub>), ბრინჯაოს, ნემსისებრი ღერო ყელთან შემსხვილებული, დაბრტყელებული და გახვრეტილია, ყელზე ოთხი ამოღარული სარტყლით, ოთხკუთხა თავი ჯრისებური ორნამენტითაა შემკული. სიგრძე – 7 სმ.

228. სამაჯური (ტაბ. XLIV<sub>2</sub>; LXIX<sub>8</sub>), ბრინჯაოს, ცხოველ-სახუბით შემკული.

229. სამაჯური (ტაბ. XLIV<sub>3</sub>), რკინის, ძლიერ დაუანგული,  
ნაკლული.

230. მძივი (ჭაბ. XLIV<sub>4</sub>), სარდიონის, 2 ც., მრგვალ-ბრტყელი, ფა - 0,3-0,4 სმ.

*M. J. H. (1990) The effect of the presence of a single male on the feeding behaviour of female *Leucosoma annulipes* (Diptera: Tachinidae). Parasitology 100, 105-111.*

## ს ა მ ა რ ხ ი № 70

ქვაყუთია. სახურავი და დასავლეთი კედელი მორღვეული ჰქონდა. სამარხი ( $0,6 \times 0,55 \times 0,35$  მ) დამხრობილია O-W ღერძზე. მიცვალებულის ჩონჩხის არც ერთი ფრაგმენტი არ შემორჩა. სამარხში აღმოჩნდა:

231. ხელადა (ტაბ. XLV<sub>3</sub>; LI<sub>5</sub>; LXI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, ნისკარტიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 21 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

232. კოჭობი (ტაბ. XLV<sub>3</sub>; LXV<sub>12</sub>), თიხის, არათანაბრად, რუხად გამომწვარი, მოწითალო ლაქებით. სიმაღლე – 7,5 სმ, ძირის დმ – 5 სმ, მუცლის დმ – 7,5 სმ, ძირის დმ – 3,5 სმ.

233. სამაჯური (ტაბ. XLV<sub>2</sub>; LXIX<sub>9</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ – 5,5 სმ.

234. რკინის ნივთის ფრაგმენტები. დაიშალა.

## ს ა მ ა რ ხ ი № 71

ორმოსამარხია. გადახურულია ფილაქვით. სამარხი კამერა ოვალური მოყვანილობისაა ( $0,9 \times 0,55 \times 0,5$  მ). მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი სამარხში არ დადასტურდა.

## ს ა მ ა რ ხ ი № 72

ქვაყუთია. კედლები შედგენილია ვერტიკალურად ჩადგმული ოთხი ფილაქვით. სახურავი დაზიანებულია. სამარხი ( $1,1 \times 0,6 \times 0,5$  მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები. სამარხში აღმოჩნდა:

235. ხელადა (ტაბ. XLVI<sub>3</sub>; LI<sub>5</sub>; LXI<sub>4</sub>), თიხის, მოვარდის-ფროდ გამომწვარი, შეღებილი, ნისკარტიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 21 სმ, მუცლის დმ – 16,4 სმ, ძირის დმ – 9,4 სმ.

236. საკინძი (ტაბ. XLVI<sub>4</sub>; LXXI<sub>12</sub>), ბრინჯაოს, ღერო მრგვალია, თავი შემსხვილებული, ყელთან დაბრტყელებული და განვრეტილი. სიგრძე – 7,1 სმ.

237. საკინძი (ტაბ. XLVI<sub>2</sub>; LXXI<sub>3</sub>), ბრინჯაოსი, ღერო მრგვალია, თავი ცილინდრული, მომრგვალებული, ყელთან დაბრტყელებული და გახვრეტილი. თავი – ჯვრისებური, ყელი კი – წიწვისებური ორნამენტით შემკული. სიგრძე – 9 სმ.

238. სამაჯური (ტაბ. XLVI<sub>1</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი. ნაკლული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 73

ქვაყუთია (ტაბ. XVI<sub>2</sub>). კედლები ოთხი ფილაქვისაგან შედგება. გადახურვა დარღვეულია. სამარხი ( $1,0 \times 0,7 \times 0,45$  მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. მიცვალებულის ცუდად დაცული ჩონჩხის ფრაგმენტები სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო თავის ქალა აღმოსავლეთ კუთხეში იდო. სამარხში აღმოჩნდა:

239. ზელადა (ტაბ. XLVII<sub>7</sub>; L<sub>4</sub>; LXI<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომჭვარი თიხის, ნისკარტიანი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 16,8 სმ, მუცლის დმ – 13,5 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.

240. სამაჯური (ტაბ. XLVII<sub>1</sub>; LXIX<sub>10</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. დმ – 6,2 სმ.

241. საკინძი (ტაბ. XLVII<sub>9</sub>; LXXI<sub>14</sub>), ბრინჯაოს, მრგვალდეროიანი, ყელთან დაბრტყელებული და გახვრეტილი. ყელი – წიწვისებური ორნამენტით, ოთხკუთხა თავი კი – ჯვრისებური გამოსახულებითაა შემკული. სიგრძე – 11,2 სმ.

242. საკინძი (ტაბ. XLVII<sub>8</sub>; LXXI<sub>15</sub>), ბრინჯაოს, ღერო მრგვალია, ყელთან გახვრეტილი, თავი წიწვსებური ორნამენტით შემკული. სიგრძე – 10,1 სმ.

243. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. XLVII<sub>5,6</sub>; LXX<sub>5,6</sub>), 2 ც., ბრინჯაოს, თავგახსნილი. თავები დაბრტყელებული და გახვრეტილი. დმ – 2,6-2,8 სმ.

244. ბეჭედი (ტაბ. XLVII<sub>3,4</sub>; LXX<sub>23,24</sub>), 2 ც., ბრინჯაოს, თავგახსნილი, ღეროდაკეჭნილი, 2 ც., დმ – 2,3-2,5 სმ.

245. ბეჭედი (ტაბ. XLVII<sub>2</sub>; LXX<sub>19</sub>), ბრინჯაოს, მრგვალდეროიანი, სამმაგად დახვეული. დმ – 2,2 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 74

ორმოსამარხია. გადახურული იყო ხუთი ფილაქვით. გადახურვა ( $1,5 \times 0,8$  მ) დამხრობილია SO-NW ხაზზე. სახურავის ქვეშ დამწვარ-დანახშირებული მიწის ფენა იყო. სამარხი ცარიელია.

## ს ა მ ა რ ხ ი № 75

ორმოსამარხია. გადახურული ყოფილა ფილაქვებით. სამარხი კამერა ოვალური მოყვანილობისაა ( $0,9 \times 0,75$  მ). მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

246. ტოლჩა (ტაბ. XLVIII<sub>2</sub>; LV<sub>2</sub>; LXIV<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, პირგადაშლილი, მაღალყელიანი, ბრტყელძირა, სიმაღლე – 13,4 სმ, პირის დმ – 10,5 სმ, ყელის დმ – 9,5 სმ, მუცლის დმ – 11 სმ, ძირის დმ – 8 სმ.

247. ქოთანი (ტაბ. XLVIII<sub>4</sub>; LIII<sub>3</sub>; LXIV<sub>7</sub>), მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი ლაქებით. პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 12 სმ, მუცლის დმ – 13 სმ, ძირის დმ – 8,9 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 76

ორმოსამარხია. გადახურულია ქვის ფილებით. დაზიანებულია გადახურვა ( $1,0 \times 0,6$  მ), დამხრობილია SO-NW ხაზზე. სამარხი კამერის კონტურების დადგენა არ მოხერხდა. მიცვალებულის ჩონჩხი და ინვენტარი სამარხში არ დადასტურდა.

## ს ა მ ა რ ხ ი № 77

ორმოსამარხია. ძლიერ დაზიანებული. მიცვალებულის ჩონჩხი სამარხში არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

248. ტოლჩა (ტაბ. XLVIII; LV; LXIV<sub>1</sub>), თიხისა, მოვარდისფროდ გამომწვარი, შეღებილი, პირსწორი, მაღალყელიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 12,6 სმ, პირის დმ – 11 სმ, ყელის დმ – 8 სმ, მუცლის დმ – 10,5 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

249. კოჭობი (ტაბ. XLVIII<sub>3</sub>; LXIV<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის. ნაკლული. მუცლის დმ – 10 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

## თავი II შავსაყდარა I სამართვანი

სამაროვანი შავსაყდარა I მდებარეობს თეთრი წყაროს რაიონში, მდ. ალგეთის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ტერასაზე, რომლის ჩრდილოეთი მხარე მდინარის მიერ ჩაჭრილ, 30-35 მეტრი სიმაღლის მქონე ფლატეს წარმოადგენს. სამაროვანი სოფ. შავსაყდრიდან სამხრეთის მიმართულებით დაშორებულია 700-800 მეტრით. აღმოსავლეთიდან მას ეკვრის „აკაკიების ხევი“ (რომლის მარჯვენა ნაპირზეც შუა საუკუნეების მძლავრი ნასოფლარი მდებარეობს), სამხრეთისა და აღმოსავლეთის მხარეს კი გაშლილია ფართო ველი, მას აღგილობრივი მოსახლეობა „ბერძნულებს“ უწოდებს.

შავსაყდარა I სამაროვანი აღმოჩნდა 1949 წელს, მას მიაკვლია ქვემო ქართლის კომპლექსური ექსპედიციის არქეოლოგიურმა რაზმმა (ხელმძ. გ. ლომთათიძე), რომელმაც გათხარა 3 სამარხი.<sup>23</sup> 1954 წელს სამაროვანზე მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა თეთრი წყაროს ექსპედიციამ (ხელმძ. ი. გრძელიშვილი), რომლის წევრებმაც გათხარეს 2 სამარხი.<sup>24</sup> 1949 და 1954 წლებში სამაროვანზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა თავის სადისერტაციო ნაშრომში განიხილა კ. კვიშინაძემ, მანვე სამაროვანი ადრეანტიკური ხანით დაათარილა.

1985-1986 წლებში ალგეთის ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შავსაყდარა I სამაროვანზე გათხარა 97 სამარხი.<sup>25</sup> ამათგან 8 სამარხი (№№ 3, 7, 22, 33, 37, 48, 53, 93), ფაქტიურად, სამარხის კვალი გამოდგა და ვერ დაფიქსირდა. ისევე როგორც პაპიგორის სამაროვანზე, აქაც დადასტურდა სამარხის სამი ტიპი: ქვაყუთი, ორმოსამარხი და ქვევრსამარხი.

<sup>23</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში, გვ. 49-51.

<sup>24</sup> კ. კვიშინაძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, გვ. 8.

<sup>25</sup> იხ. იქვე, გვ. 8.

<sup>26</sup> შავსაყდარა I სამაროვანზე ალგეთის ექსპედიცია მუშაობდა შემდეგი შემადგენლობით: ნ. თუშიშვილი (ხელმძ.), ს. მარგიშვილი (ხელმძ. მოადგ.), ქ. ლომოური (ანთროპოლოგი), ზ. ჩხაიძე (მხატვარი), ლ. გონაშვილი (არქიტექტორი), ი. იორნი (ფოტოგრაფი), ჩ. მეტრევალი (უფრ. ლაბორანტი), გ. ქარქუსაშვილი (ლაბორანტი).

ქვაყუთები (სულ გაითხარა 70 ქვაყუთი, №№ 1-2, 4-6, 8, 10-15, 17-18, 23, 26-27, 32, 35, 38-47, 49-51, 51<sup>1</sup>, 52, 54-60, 62-82, 85, 87-91, 95) ნაგებია ბაზალტის საკმაოდ უსწორმასწორო ფილებით. სამარხთა კედლები და სახურავი უმეტესად თითო ფილითაა შედგენილი, თუმცა გვხვდება ორი და მეტი ფილის გამოყენების შემთხვევებიც. ქვაყუთებს გეგმაში ოთხუთხა მოვანილობა აქვთ, მათი ზომები, ისევე, როგორც პაპიგორის სამაროვანზე (და საერთოდ ქვემო ქართლში), საკმაოდ მცირეა, მერყეობს  $1,20 \times 0,8$ ;  $0,6 \times 0,4$  მ მორის, სიღრმე საშუალოდ  $0,3-0,6$  მ-ია. იატაკი ყველა შემთხვევაში მიწატკეპნილია. სამარხთა განლაგებაში კანონზომიერებანი არ შეიძლება.

ორმოსამარხებს (გაითხარა 16 სამარხი, №№ 9, 16, 19-21, 24-25, 28-31, 34, 36, 60<sup>o</sup>, 83-84) ჰქონდათ ოვალური ან წრიული მოვანილობა, გადახურული იყო ბაზალტის ერთი ან რამდენიმე ფილით, რომელსაც ზოგჯერ რიყის ქვებიც ემატებოდა. მათი საშუალო ზომა  $1,2 \times 0,8$  მ-ია, ჩაჭრილი იყო მიწის ზედაპირიდან  $0,7-1,20$  მ სიღრმეზე.

ქვაყუთებისა და ორმოსამარხების გვერდით, შავსაყდარა I სამაროვანზე აღმოჩნდა ქვევრსამარხიც (№ 92), რომელიც საკმაოდ ორიგინალურად იყო გამართული, მიწაში ირიბად ჩასმული ქვევრის პირს ზემოთ გამართული იყო ჩვეულებრივი ქვაყუთი (ტაბ. C<sub>3,4</sub>). ქვევრსამარხში, რომელიც ორიენტირებული იყო სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, დამარხული იყო მამაკაცი, იგი იწვა მარჯვენა გვერდზე ხელ-ფეხ მოკეცილი (ტაბ. C<sub>3</sub>). განსხვავებით, პაპიგორის № 49 ქვევრსამარხისა, შავსაყდრის ქვევრსამარხის ინვენტარი ღარიბულია, შედგება რკინის სამაჯურისა და ღეროს ფრაგმენტებისაგან.

შავსაყდარა I სამაროვანზე დაკრძალვის ერთგვარი წესია გაბატონებული, სამარხები ინდივიდუალურია, მიცვალებული წევს მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ხელ-ფეხმოკეცილი. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ 2 ქვაყუთი (№№ 32, 46). № 46 ქვაყუთი კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა, მასში სამი თავის ქალა აღმოჩნდა. რაც შეეხება № 32 ქვაყუთს, აქ, გარდა „ძირითადი“ სამარხის კამერაში დაკრძალული მიცვალებულისა, აღმოჩნდა კიდევ ერთი მიცვალებულის ნაშთი, ოღონდ არა სამარხის კამერაში, არამედ სახურავზე, მას თან ახლდა ინვენტარიც, ორი თიხის ჭურჭელი.

სამარხის სახურავზე მიცვალებულების დასვენება იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ აქა-იქ მაინც გვხვდება. მაგალითად, „ქასრა-

ანთ მიწების“ სამაროვანზე ორი სამარხის (№№ 11, 21) თავზე აღმოჩნდნენ დაკრძალული მიცვალებულები.<sup>27</sup> ღრმახევისთავის სამაროვნის № 88 სამარხის სახურავზე აღმოჩნდა თავის ქალა და კერამიკის ფრაგმენტები.<sup>28</sup> ცნობილია მიცვალებულის სა- მარხის სახურავზე დაკრძალვა აბულმუგი I სამაროვნიდანაც.<sup>29</sup> შესაძლოა ასეთ შემთხვევებში რაიმე გარკვეულ რიტუალთან გვქონდეს საქმე და არა შემთხვევითობასთან.<sup>30</sup>

შავსაყდარა I სამაროვანზე არც სამარხთა დამხრობაში შეიმ- ჩნევა რაიმე კანონზომიერება, იგი პრაქტიკულად ნებისმიერია. ყველაზე მეტი, 45 სამარხი (№№ 1, 10, 12-14, 18-19, 21, 25, 28, 38, 40-47, 49-51, 51<sup>o</sup>, 55-56, 59-60, 60<sup>o</sup>, 61-66, 69, 72, 74, 77-79, 81, 88-89, 95) დამხრობილი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამ- ხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. 17 სამარხი (№№ 2, 5-6, 9, 17, 30, 36, 52, 54, 57-58, 71, 73, 76, 82, 90) მიმართული იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთით, 9 სამარხი (№№ 4, 8, 23, 27, 32, 34-35, 86, 91) აღმოსავლეთიდან დასავლეთის, ხოლო ასევე 9 სამარხი (№№ 11, 16, 26, 29, 67-68, 70, 80, 87) ჩრდილო- დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. ვერ გა- ირკვა 5 ორმოსამარხის (№№ 20, 24, 31, 83, 84) დამხრობის მი- მართულება.

შავსაყდარა I სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი როგორც შედგენილობის, ასევე ტიპოლოგიის თვალსაზრისით საკმაოდ „ჩვეულებრივია“. როგორც წესი, შედგება 1-3 თიხის ჭურჭლის, რკინისა და ბრინჯაოს სამაჯურების, ვერცხლის, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლების, ბრინჯაოს ბეჭდების, საყუ- რების, საკინძების, ძეწკვების, ზარაკების, ილარის, სხვადასხვა- მასალისა და ფორმის მძივებისაგან, რკინის შუბისპირების, ხელ-

<sup>27</sup> ე. ბერაძე, ანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან, გვ. 14, 18.

<sup>28</sup> ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 161.

<sup>29</sup> მ. ძნელაძე, ნ. ხუბულური, ადრეელინისტური ხანის ახლადაღმოჩენი- ლი ძეგლები ქვემო ქართლიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 1, 1989, გვ. 46, ტაბ. III<sub>7</sub>.

<sup>30</sup> ქასრაანთ მიწების სამაროვნის გამთხრელის ე. ბერაძის აზრით, ასეთ შემთხვევებში „შესაწირ ადამიანთა“ დაკრძალვასთან უნდა გვქონდეს საქმე, – იხ. ე. ბერაძე, ადრე ანტიკური ხანის ორმოსამარხები..., გვ. 21, მ. ძნელაძე კი ვარაუდობს, რომ განმეორებით დაკრძალვასთან უნდა გვქონდეს საქმე, – იხ. მ. ძნელაძე, ნ. ხუბულური, დასახ. ნაშრომი გვ. 46.

შუბისპირების, ისრისპირებისა და ცულისაგან. გამონაკლისს წარმოადგენს № 94 სამარხი, რომელმიც ერთი ჭურჭელია აღმოჩენილი (ტაბ. CLIV<sub>2</sub>; CXCIII<sub>6</sub>). ეს სამარხი ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება.<sup>31</sup> დანარჩენი მასალა კი მსგავსია ქვემო ქართლის ადრეელინისტური ხანის ძეგლებზე მოპოვებული მასალებისა, მათ უამრავი პარალელი მოეპოვებათ და საკმაოდ კარგად თარიღდებიან ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევრითა და III საუკუნის დასაწყისით, დასაშვებად მიგვაჩნია რიგი სამაროვნების ძვ.წ. IV საუკუნის I ნახევრითა და შეუანებით დათარიღებაც.

ქვემოთ შავსაყდარა I სამაროვნის არქეოლოგიურ მასალას განვიხილავთ ტიპოლოგიურად.<sup>32</sup>

**დოქები, ხელადები.** სამაროვანზე რამოდენიმე დოქი აღმოჩნდა. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, ნისკარტიანია, სფერულმუცლიანი, გამომწვარია მოვარდისფროდ. ორი მათგანი შეუდებავია (სამარხი № 32, ტაბ. CXVII<sub>4</sub>, CLXXXIX<sub>10</sub>; სამარხი № 70, ტაბ. CXL<sub>1</sub>, CLXIII<sub>2</sub>, CLXXXII<sub>4</sub>), ერთი – შეღებილი (სამარხი № 39, ტაბ. CXX<sub>1</sub>, CLXIII<sub>3</sub>, CLXXXIII<sub>4</sub>).

ხელადები დიდი რაოდენობით გამოვლინდა. პირის ფორმის მიხედვით ისინი ორ ტიპად იყოფა – 1. ნისკარტიანი და 2 მრგვალპირიანი.

I ტიპის ხელადები ტანის ფორმის მიხედვით სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1 მხრიანი, 2. სფერულტანიანი, 3. მსხლისებურტანიანი.

1-1 ტიპის ხელადები აღმოჩნდა № 5, 21, 71, 86 სამარხებში. ორი მათგანი მოვარდისფროდა გამომწვარი (სამარხი № 5, ტაბ. CIII<sub>1</sub>, CLXV<sub>4</sub>, CLXXXIII<sub>3</sub>; სამარხი № 86, ტაბ. CLI<sub>4</sub>, CLXV<sub>1</sub>, CLXXXV<sub>4</sub>), ერთი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი №

<sup>31</sup> იგივე ტერასა, სადაც შავსაყდარა I სამაროვანი მდებარეობს, 1 ჰა მეტ ფართობზე განფენილია მტკვარ-არაქსის პერიოდის მძლავრი ნამოსახლარი, რომლის ფენებიც ადრეელინისტური ხანის სამაროვანს აღაღალაგ დარღვეული აქვს. როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსულ ნამოსახლარს ახლავს სამაროვანიც, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს № 94 სამარხი.

<sup>32</sup> იმის გამო, რომ შავსაყდარა I და პაპიგორის სამაროვნის მასალებს რიგ შემთხვევებში საერთო პარალელები გააჩნიათ და ისინი ზემოთაა მიმოხილული, ამიტომ შევსაყდარა I სამაროვნის მასალებზე (კერამიკა, სამაჯურები და სხვა) მსჯელობისას განმეორების თავიდან ასაცილებლად, პარალელურ მასალას მხოლოდ იოკლედ კუთითებთ.

21, ტაბ. CXII<sub>3</sub>, CLXIV<sub>2</sub>, CLXXXVI<sub>3</sub>), ერთი (სამარხი № 71, ტაბ. CXLI<sub>1</sub>, CLVI<sub>4</sub>, CLXXXIII<sub>1</sub>) რუხადაა გამომწვარი.

1-2 ტიპის ხელადების აბსოლუტური უმრავლესობა მოვარდისფროდაა გამომწვარი. ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 26, ტაბ. CXIV<sub>1</sub>, CLXI<sub>2</sub>, CLXXXV<sub>2</sub>; სამარხი № 27, ტაბ. CXV<sub>1</sub>, CLIX<sub>4</sub>, CLXXXVI<sub>5</sub>; სამარხი № 34, ტაბ. CXVIII<sub>4</sub>, CLXV<sub>3</sub>, CLXXXIV<sub>5</sub>; სამარხი № 40, ტაბ. CXXI<sub>3</sub>, CLXVII<sub>2</sub>, CLXXXIV<sub>4</sub>; სამარხი № 50, ტაბ. CXXVII<sub>9</sub>, CLXII<sub>4</sub>, CLXXX<sub>1</sub>; სამარხი № 62, ტაბ. CXXXV<sub>6</sub>, CLXV<sub>2</sub>, CLXXXVI<sub>2</sub>), ნაწილი შეუღებავია (სამარხი № 4, ტაბ. CII<sub>1</sub>, CLVII<sub>1</sub>, CLXXXV<sub>5</sub>; სამარხი № 8, ტაბ. CIV<sub>1</sub>, CLVI<sub>2</sub>, CLXXXV<sub>1</sub>; სამარხი № 13, ტაბ. CVII<sub>2</sub>, CLXI<sub>1</sub>, CLXXXI<sub>4</sub>; სამარხი № 15, ტაბ. CIX<sub>5</sub>, CLVII<sub>4</sub>, CLXXXI<sub>3</sub>; სამარხი № 19, ტაბ. CXI<sub>3</sub>, CLXIV<sub>1</sub>, CLXXXIII<sub>6</sub>; სამარხი № 54, ტაბ. CXXIX<sub>5</sub>, CLVII<sub>2</sub>, CLXXXIII<sub>2</sub>; სამარხი № 61, ტაბ. CXXXIV<sub>1</sub>, CLXII<sub>1</sub>, CLXXXIII<sub>5</sub>; სამარხი № 85, ტაბ. CL<sub>1</sub>, CLXI<sub>3</sub>, CLXXXI<sub>1</sub>; სამარხი № 90, ტაბ. CLIII<sub>1</sub>, CLXIII<sub>4</sub>, CLXXXIV<sub>1</sub>; სამარხი № 91, ტაბ. CLIII<sub>4</sub>, CLVIII<sub>5</sub>, CLXXXI<sub>2</sub>).

ერთი მათგანი რუხადაა გამომწვარი (სამარხი № 36, ტაბ. CXIX<sub>9</sub>, CLVI<sub>1</sub>, CLXXXIV<sub>3</sub>), ერთი – არათანაბრად, მოშავო-მონაცრისფროდ (სამარხი № 60, ტაბ. CXXXII<sub>1</sub>, CLVII<sub>3</sub>, CLXXXII<sub>5</sub>). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჭურჭელი ჩარჩზეა დამზადებული, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ჭურჭელი ჩარჩზეა დამზადებული, მხოლოდ ერთია ზელით ნაძერწი (სამარხი № 77, ტაბ. CXLV<sub>1</sub>, CLIX<sub>2</sub>, CLXXXII<sub>6</sub>).

1-3 ტიპის ყველა ჭურჭელი მოვარდისფროდაა გამომწვარი. ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 18, ტაბ. CXI<sub>1</sub>, CLXI<sub>4</sub>, CLXXXIX<sub>1</sub>; სამარხი № 43, ტაბ. CXXIV<sub>5</sub>, CLIX<sub>1</sub>, CLXXXII<sub>1</sub>; სამარხი № 47, ტაბ. CXXVI<sub>1</sub>, CLXII<sub>2</sub>, CLXXX<sub>2</sub>; სამარხი № 67, ტაბ. CXXXVII<sub>6</sub>, CLXII<sub>3</sub>, CLXXXVI<sub>4</sub>; სამარხი № 73, ტაბ. CXLII<sub>6</sub>, CLX<sub>1</sub>, CLXXXV<sub>3</sub>), ნაწილი – შეუღებავი (სამარხი № 51<sup>o</sup>, ტაბ. CXXVIII<sub>6</sub>, CLXIV<sub>3</sub>, CLXXX<sub>3</sub>; სამარხი № 89, ტაბ. CLII<sub>1</sub>, CLVI<sub>3</sub>, CLXXXIX<sub>6</sub>; სამარხი № 95, ტაბ. CLIV<sub>7</sub>, CLIX<sub>3</sub>, CLXXXII<sub>2</sub>).

II ტიპის ხელადები ორ ჯგუფად იყოფა: 1. სფერულმუცლიანი და 2. მსხლისებურტანიანი.

II-1 ტიპის ხელადები მოვარდისფროდაა გამომწვარი. სამი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 69, ტაბ. CXXXIX<sub>1</sub>,

CLXVIII<sub>1</sub>, CLXXXVIII<sub>2</sub>; CXXXIX<sub>2</sub>, CLXVII<sub>3</sub>, CLXXXVIII<sub>3</sub>; CXXXIX<sub>4</sub>, CLXX<sub>5</sub>, CLXXXVIII<sub>4</sub>). ოთხი – შეუღებავია (სამარხი № 2, ტაბ. Cl<sub>6</sub>, CLXIII<sub>5</sub>, CLXXXVIII<sub>6</sub>; სამარხი № 72, ტაბ. CXLI<sub>5</sub>, CLXVII<sub>1</sub>, CLXXXVIII<sub>1</sub>; სამარხი № 79, ტაბ. CXLVII<sub>1</sub>, CLXVII<sub>4</sub>, CLXXXVIII<sub>7</sub>; შემთხვევითი მონაპოვარი, ტაბ. CLV<sub>10</sub>, CLXXIV<sub>2</sub>, CXCIII<sub>8</sub>).

II-2 ტიპის ყველა ხელადა მოვარდისფროდაა გამომწვარი. ერთი მათგანი შეუღებავია (სამარხი № 24, ტაბ. CXIII<sub>1</sub>, CLX<sub>3</sub>, CLXXXIX<sub>8</sub>), ოთხი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 38, ტაბ. CXIX<sub>10</sub>, CLXVIII<sub>3</sub>, CLXXXVIII<sub>8</sub>; სამარხი № 41, ტაბ. CLXVI<sub>3</sub>, სამარხი № 47, ტაბ. CXXVI<sub>5</sub>, CLXVIII<sub>4</sub>, CLXXXVIII<sub>9</sub>; სამარხი № 64, ტაბ. CXXXVI<sub>1</sub>, CLXVIII<sub>2</sub>, CLXXXVIII<sub>5</sub>; სამარხი № 95, ტაბ. CLIV<sub>4</sub>, CLX<sub>4</sub>, CLXXXVII<sub>3</sub>), სამი – მოხატულია (სამარხი № 43, ტაბ. CXXIII<sub>1</sub>, CLXVI<sub>2</sub>, CLXXXVII<sub>3</sub>; სამარხი № 64, ტაბ. CXXXVI<sub>2</sub>, CLXXXVII<sub>1</sub>; შემთხვევით მონაპოვარი, ტაბ. CLV<sub>9</sub>, CLXXXVII<sub>2</sub>).

გარდა ჩამოთვლილი ხელადებისა სამაროვანზე დადასტურდა ნაკლული ხელადები, რომელთა პირის ფორმის გარკვევა შეუძლებელია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მოვარდისფროდაა გამომწვარი (სამარხი № 6, ტაბ. CIII<sub>5</sub>, CLXXXIX<sub>5</sub>; სამარხი № 31, ტაბ. CXVII<sub>6</sub>, CLVIII<sub>4</sub>, CLXXXIX<sub>2</sub>; სამარხი № 43, ტაბ. CXXIV<sub>5</sub>, CLIX<sub>1</sub>, CLXXXII<sub>1</sub>; სამარხი № 88, ტაბ. CLII<sub>5</sub>, CLXIV<sub>4</sub>, CLXXXIV<sub>2</sub>), ან მსხლისებურტანიანია (სამარხი № 42, ტაბ. CXXII<sub>5</sub>, CLVIII<sub>3</sub>, CLXXXIX<sub>4</sub>; სამარხი № 44, ტაბ. CXXIV<sub>3</sub>, CLVIII<sub>1</sub>, CLXXXIX<sub>9</sub>; სამარხი № 45, ტაბ. CXXV<sub>8</sub>, CLVIII<sub>2</sub>, CLX<sub>2</sub>, CLXXXIX<sub>3</sub>; სამარხი № 55, ტაბ. CXXX<sub>4</sub>, CLXXXIX<sub>7</sub>), ზოგიერთი მათგანი (სამარხი № 42, 44, 45) შეღებილია წითელი საღებავით.

მიღიანი ხელადები – „ჩაიღნები“. შავსაყდარას სამაროვანზე სამი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა. სამივე დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. სამივე სფერულმუცლიანია. ორი მათგანი (სამარხი № 10, ტაბ. CIV<sub>5</sub>, CLXIX<sub>1</sub>, CXC<sub>2</sub>; სამარხი № 23, ტაბ. CXIII<sub>2</sub>, CLXIX<sub>2</sub>, CXC<sub>3</sub>) გამომწვარია მოვარდისფროდ. ერთი (სამარხი № 30, ტაბ. CXVI<sub>2</sub>, CLXIX<sub>3</sub>, CXC<sub>1</sub>) შეღებილია წითელი საღებავით.

სურა მაღალყელიანი, უფერო, სფერულმუცლიანი ჭურჭელია. შავსაყდარას სამაროვანზე ორი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა, ორი-

33 დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 76, ტაბ. CXLIV<sub>1</sub>, CLXVI<sub>4</sub>, CXCI<sub>1</sub>), ერთი – შეღებილია (სამარხი № 75, ტაბ. CXLIII<sub>1</sub>, CLXVI<sub>5</sub>, CXCI<sub>2</sub>).

ჯამი. ამ ტიპის ჭურჭელში ორი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: I – პირმოყრილი, II პროფილირებული.

I ჯგუფის ჯამებს ფართო, მოყრილი პირი, მომრგვალებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი აქვთ. მათი ნაწილი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 12, ტაბ. CVI<sub>3</sub>, CLXXVII<sub>1</sub>, CXCI<sub>7</sub>; სამარხი № 16, ტაბ. CX<sub>1</sub>, CLXXVI<sub>1</sub>, CXCI<sub>1</sub>; სამარხი № 27, ტაბ. CXV<sub>2</sub>, CLXXVII<sub>3</sub>, CXCI<sub>9</sub>; სამარხი № 44, ტაბ. CXXIV<sub>1</sub>, CLXXVII<sub>5</sub>, CXCI<sub>5</sub>; სამარხი № 60<sup>o</sup>, ტაბ. CXXXIII<sub>1</sub>, CLXXVII<sub>2</sub>, CXCI<sub>2</sub>). ერთი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 32, ტაბ. CXVII<sub>5</sub>, CXCI<sub>3</sub>). ორი ჯამი (სამარხი № 61, ტაბ. CXXXIV<sub>5</sub>, CLXXVII<sub>6</sub>, CXCI<sub>6</sub>; სამარხი № 68, ტაბ. CXXXVIII<sub>1</sub>, CXCI<sub>4</sub>) დამზადებულია მსხვილმარცვლიანი თიხისაგან და გამომწვარია არათანაბრად, რუხად.

II ჯგუფის ჯამებს ფართო, გადაშლილი პირი, პროფილირებული კიდე, დაქანებული კალთები და ბრტყელი ძირი აქვთ. შავსაყდარას სამაროვანზე აღმოჩენილი ამ ჯგუფის ჭურჭლებიდან ორი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 73, ტაბ. CXLI<sub>4</sub>, CLXXVIII<sub>3</sub>, CXCI<sub>10</sub>; სამარხი № 88, ტაბ. CLII<sub>6</sub>, CLXXVIII<sub>2</sub>, CXCI<sub>15</sub>), ერთი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 26, ტაბ. CXIV<sub>2</sub>, CLXXIX<sub>5</sub>, CXCI<sub>8</sub>). ორი ჯამი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია არათანაბრად, რუხად (სამარხი № 4, ტაბ. CII<sub>3</sub>, CLXXIX<sub>6</sub>, CXCI<sub>18</sub>; სამარხი № 75, ტაბ. CXLI<sub>4</sub>, CXCI<sub>12</sub>).

ფიალა წარმოადგენს ფართოპირიან, პროფილირებულკალთიან და ბრტყელძირა ჭურჭელს. ფორმის მიხედვით ორი ჯგუფის გამოყოფა შეიძლება: I. ფიალები რომელთა პირის დიამეტრი სიმაღლეზე ორჯერ ან მეტჯერ დიდია; II. ფიალები რომელთა პირის დიამეტრი და სიმაღლე თითქმის თანაბარია.

I ჯგუფის სამი ჭურჭელი აღმოჩნდა. ერთი მოვარდისფროდაა გამომწვარი (სამარხი № 9; ტაბ. CIV<sub>3</sub>, CLXXIX<sub>2</sub>, CXCI<sub>16</sub>); ერთი – მონაცრისფროდ (სამარხი № 62, ტაბ. CXXXV<sub>3</sub>, CLXXIX<sub>1</sub>,

CXCII<sub>11</sub>), რომელსაც შიდაპირი მოვარდისფროდ გამომწვარი აქვს. ერთი ჯამი (შემთხვევით მონაპოვარი, ტაბ. CLV<sub>12</sub>, CLXXVIII<sub>1</sub>, CXCII<sub>17</sub>) მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი.

**ქოთანი.** ამ ტიპის ჭურჭლებისათვის დამახასიათებელია ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, მომრგვალებული ან წაგრძელებული ტანი და ბრტყელი ძირი. ქოთნებში შეიძლება ორი ჯგუფის გამოყოფა: I – ყურიანი, II – უყურო. ქოთნების ძირითადი ნაწილი დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან.

I ჯგუფის ქოთნების ნაწილი გამომწვარია რუხად (სამარხი № 9; სამარხი № 29, ტაბ. CXVI<sub>4</sub>, CLXXIV<sub>1</sub>, CXCIII<sub>7</sub>; სამარხი № 45, ტაბ. CXXV<sub>9</sub>, CLXXV<sub>3</sub>, CXCIII<sub>2</sub>; სამარხი № 58, ტაბ. CXXXI<sub>4</sub>, CXCIII<sub>10</sub>; სამარხი № 74, ტაბ. CXLIII<sub>2</sub>, CLXXV<sub>1</sub>, CXCIII<sub>13</sub>); ნაწილი – შავად (სამარხი № 11, ტაბ. CV<sub>3</sub>, CLXXV<sub>2</sub>, CXCIII<sub>11</sub>; სამარხი № 14, ტაბ. CVIII<sub>4</sub>, CLXXIV<sub>5</sub>, CXCIII<sub>12</sub>; სამარხი № 32, ტაბ. CXVII<sub>7</sub>, CLXXV<sub>4</sub>, CXCIII<sub>3</sub>; სამარხი № 51, ტაბ. CXXVIII<sub>7</sub>, CLXXV<sub>5</sub>, CXCIII<sub>1</sub>; სამარხი № 57, ტაბ. CXXX<sub>1</sub>, CLXXIV<sub>3</sub>, CXCIII<sub>4</sub>; სამარხი № 94, ტაბ. CLIV<sub>2</sub>, CXCIII<sub>6</sub>), ნაწილი – მოვარდისფროდ (სამარხი № 72, ტაბ. CXLIII<sub>1</sub>, CLXXV<sub>6</sub>, CXCIII<sub>5</sub>). ამ ჯგუფის ყველა ქოთანს ეტყობა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

II ჯგუფის ქოთნებიდან ორი მოშავო-მონაცრისფროა (სამარხი № 16, ტაბ. CX<sub>3</sub>, CLXXII<sub>4</sub>, CXCIV<sub>16</sub>; სამარხი № 20, ტაბ. CXII<sub>1</sub>, CLXXII<sub>3</sub>, CXCIV<sub>13</sub>), ორი გამომწვარია მოვარდისფროდ და შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 28, ტაბ. CXVI<sub>1</sub>, CLXXII<sub>1</sub>, CXCIV<sub>12</sub>; სამარხი № 59, ტაბ. CXXXI<sub>6</sub>, CLXXII<sub>2</sub>, CXCIV<sub>15</sub>).

**კოჭობი.** შავსაყდარას სამაროვანზე 14 კოჭობი აღმოჩნდა. ჭურჭლების ნაწილი მოვარდისფროდაა გამომწვარი (სამარხი № 49, ტაბ. CXXVII<sub>6</sub>, CLXXI<sub>6</sub>, CXCIV<sub>4</sub>; შემთხვევითი მონაპოვარი, ტაბ. CLV<sub>11</sub>, CLXXI<sub>2</sub>, CXCIV<sub>2</sub>), ნაწილი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 11, ტაბ. CV<sub>2</sub>, CLXXIII<sub>5</sub>, CXCIV<sub>9</sub>; სამარხი № 36, № 52, ტაბ. CXXIX<sub>1</sub>, CLXXIII<sub>1</sub>, CXCIV<sub>5</sub>), ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ჭურჭლების მეორე ნაწილი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია არათანაბრად, რუხად, მოშავო-მონაცრისფროდ (სამარხი № 9, ტაბ. CIV<sub>2</sub>, CLXXI<sub>1</sub>, CXCIV<sub>17</sub>; სამარხი № 12, ტაბ. CVI<sub>6</sub>, CLXXI<sub>3</sub>, CXCIV<sub>11</sub>; სამარხი № 13, ტაბ. CVII<sub>1</sub>, CLXXIII<sub>3</sub>,

CXCIV<sub>1</sub>; სამარხი № 19, ტაბ. CXI<sub>2</sub>, CLXXIII<sub>4</sub>, CXCIV<sub>8</sub>; სამარხი № 21, ტაბ. CXII<sub>2</sub>, CLXXIII<sub>6</sub>, CXCIV<sub>6</sub>; სამარხი № 39, ტაბ. CXX<sub>2</sub>, CLXXI<sub>4</sub>, CXCIV<sub>14</sub>; სამარხი № 42, ტაბ. CXXII<sub>6</sub>, CLXXIII<sub>2</sub>, CXCIV<sub>7</sub>; სამარხი № 60<sup>o</sup>, ტაბ. CXXXIII<sub>2</sub>, CXCIV<sub>3</sub>; სამარხი № 75, ტაბ. CXLIII<sub>3</sub>, CLXXI<sub>5</sub>, CXCIV<sub>10</sub>).

**ტოლჩა.** შავსაყდარას სამაროვანზე სამი ასეთი ჭურჭელი აღმოჩნდა, მათ ფართო, გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, დაბალი მუცელი და ბრტყელი ძირი აქვთ. ყველა მათვანი კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, გამომწვარია მოვარდისფროდ (სამარხი № 80, ტაბ. CXLVIII<sub>2,3</sub>, CLXX<sub>2,4</sub>, CXCI<sub>5,8</sub>), ერთი შეღებილია წითელი საღებავით (სამარხი № 16, ტაბ. CX<sub>2</sub>, CLXX<sub>1</sub>, CXCI<sub>4</sub>).

**ჭრაქი** სამაროვანზე ორი ცალი აღმოჩნდა. ორივე დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია შავად. ორივე კეს ეტყობა ცეცხლის კვალი (სამარხი № 77, ტაბ. CXLV<sub>2</sub>, CLXXVI<sub>3</sub>, CXCI<sub>3</sub>; სამარხი № 78, ტაბ. CXLVI<sub>1</sub>, CLXXVI<sub>4</sub>, CXCI<sub>6</sub>).

სამკაულის ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი სახეობა სამაჯურია. სამაჯურები გვხვდება ბრინჯაოსა და რკინის.

ბრინჯაოს სამაჯური აღმოჩნდა 17 ცალი. აქედან 13 ერთეულს შეიცავდა სამარხეული ინვენტარი (სამარხები №№ 20, 21, 26-28, 30-32, 34, 36, 80, 88, ტაბ. CXII<sub>5,7</sub>; CXIV<sub>5</sub>; CXV<sub>5</sub>; CXVI<sub>3,5</sub>; CXVII<sub>1,3</sub>; CXVIII<sub>1</sub>; CXIX<sub>3</sub>; CXLVIII<sub>8,9</sub>; CLII<sub>2</sub>), ხოლო მდანარჩენი ოთხი ერთეული შემთხვევით, სამარხთა გარეთაა მოჰკვებული (ტაბ. CLV<sub>3,4,5,8</sub>), როგორც ჩანს, აღრევე დაზიანებული სამარხებიდან მომდინარეობენ. ბრინჯაოს სამაჯურები იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფში ერთიანდება თითქმის ყველა მითითებული სამაჯური, № 32 სამარხში მოპოვებულის გარდა (ტაბ. CXVII<sub>3</sub>). მათ ახასიათებთ მრგვალბრტყელი ღერო და გახსნილი ბოლოების ცხოველთა თავების გამოსახულებებით შემკობა. სამაჯურის ეს ტიპი ანალოგიურია ჩვენს მიერ ზემოთ გამოყოფილი პაპიკორის და სამაროვანზე მოპოვებული სამაჯურების I ჯგუფისა და ბუნებრივია, რომ ამ ჯგუფის სამაჯურთა გავრცელების თარიღი, ძვ.წ. V საუკუნის შუახანებიდან ძვ.წ. III საუკუნემდე, შავსაყდარა I სამაროვნის ანალოგიურ სამაჯურთათვისაც მისაღებია.

II ჯგუფი ერთადერთი, № 32 სამარხში მოპოვებული სამაჯურითაა წარმოდგენილი (ტაბ. CXVII<sub>3</sub>). მას აქვს მრგვალი ღერო, შედრეკილი ზურგი და ბურთულებით შემკული გახსნილი ბოლოები. იგი ზუსტად იმეორებს პაპიგორის სამაროვნის სამაჯურთა II ჯგუფში შემავალ № 61 სამარხში მოპოვებულ სამაჯურთა ფორმას (ტაბ. LXIX<sub>12,13</sub>) და ძვ.წ. IV საუკუნის მიწურულითა და ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

რკინის სამაჯურები ბრინჯაოსას რაოდენობრივად ბევრად აღემატება (პაპიგორის სამაროვანზე კი პირიქითაა). შავსაყდარა I სამაროვანზე 38 სამარხში აღმოჩნდა 47 რკინის სამაჯური (იმის გამო, რომ რკინის სამაჯურთა დიდი ნაწილი ფრაგმენტებად იყო დაშლილი, შესაძლოა ეს რიცხვი მთლად ზუსტი არ იყოს). მათში ფორმების მიხედვით ოთხი ჯგუფი გამოიყოფა.

I ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანი, მასში შედის 28 სამაჯური (სამარხები №№ 2, 5, 12-13, 19, 38, 42, 46-47, 52, 54, 58-60, 62, 65, 69-70, 73, 78, 79, 80-82, 85, 88, 90-91, 95; ტაბ. CI<sub>4</sub>, CIII<sub>2</sub>, CVI<sub>2</sub>, CVII<sub>4</sub>, CXI<sub>5</sub>, CXIX<sub>8</sub>, CXXII<sub>1</sub>, CXXV<sub>1</sub>, CXXVI<sub>3</sub>, CXXIX<sub>2</sub>, CXXIX<sub>4</sub>, CXXXI<sub>2,3,5</sub>; CXXXII<sub>3</sub>, CXXXV<sub>1</sub>, CXXXVII<sub>1,2</sub>; CXXXIX<sub>3</sub>, CXL<sub>3</sub>, CXLI<sub>2</sub>, CXLII<sub>2</sub>, CXLVI<sub>4</sub>, CXLVII<sub>3</sub>, CXLIX<sub>2,6</sub>; CL<sub>2,3</sub>, CLIII<sub>5</sub>, CLIV<sub>1,6</sub>), რომელთაც ახასიათებთ სადა, თავგახსნილი მრგვალი ღერო. ამ ტიპის სამაჯურებს გავრცელების ფართო ქრონოლოგია გააჩნიათ, ისინი პრაქტიკულად გვხვდებიან ადრეანტიკურ-ადრეელინისტური პერიოდის მთელ სივრძეზე, ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მათი დათარიღება კონკრეტული კომპლექსის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.<sup>33</sup>

II ჯგუფში ერთიანდება ზურგდაბურთული სამაჯურები. შავსაყდარა I სამაროვანზე ასეთი აღმოჩნდა 6 სამაჯური 3 სამარხში, სამივეგან წყვილად (სამარხები №№ 50, 55, 86, ტაბ. CXXVII<sub>1</sub>, CXXX<sub>2,3</sub>; CLI<sub>2,3</sub>). ამ ტიპის სამაჯურთა ქრონოლოგია საკმაოდ ზუსტადაა გარკვეული, როგორც პაპიგორის სამაროვნის ანალოგიური ტიპის სამაჯურთა მიმართ აღვნიშნეთ, ისინი გვხვდებიან ძვ.წ. IV საუკუნის მუახანებსა და II ნახევარში.<sup>34</sup>

<sup>33</sup> 6. გოგიბერიძე, ანტიკური ხანის სამაჯურების ტიპოლოგიისათვის, გვ. 110.

<sup>34</sup> 6. გოგიბერიძე, ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთ-ერთი ტიპის დათარიღებისათვის, გვ. 142.

III ჯგუფში შედის ოთხი სამაჯური (სამარხები №№ 18, 40, 41, 71; ტაბ. CXI<sub>4</sub>; CXXI<sub>1</sub>; CXXII<sub>3</sub>; CXLI<sub>2</sub>), ისინი მრგვალდერო-იანებია, ცალი ბოლო წაწვეტებული, ცალი კი – ბურთულისებრი შემსხვილებული აქვთ.

IV ჯგუფი კი ორი სამაჯურითაა წარმოდგენილი (სამარხები №№ 49, 58 ტაბ. CXXVII<sub>3</sub>, CXXXI<sub>7</sub>). ისინი ზურგშედრეკილებია, ხოლო № 58 სამარხში აღმოჩენილ სამაჯურს (ტაბ. CXXXI<sub>7</sub>) ზურგშედრეკილობასთან ერთად, III ჯგუფის სამაჯურების მსგავ-სად, ცალი ბოლო წაწვეტებული, ცალი კი შემსხვილებული აქვს.

III და IV ჯგუფის რკინის სამაჯურები იმეორებენ ბრინჯაოს სამაჯურთა ცნობილ ფორმებს (ზურგშედრეკილობა, თავის ბურ-თულით შემკობა, თავის წაწვეტება) და ამდენად, შესაძლებელია, რომ ისინი ამ უკანასკნელთა თანადროულად, ანუ ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარსა და ძვ.წ. III საუკუნის I ნახევარში გავრ-ცელებული სამკაულის ტიპად მივიჩნიოთ.

სასაფეთქლე რგოლები შავსაყდარა I სამაროვანზე, ისევე როგორც განსახილველი ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ტე-რიტორიაზე გათხრილ სამაროვანთა უმრავლესობაზე, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი. სულ აღმოჩნდა 18 ერთეული (აქედან 7 შემთხვევაში წყვილად). სამკაულის ეს სახეობა გვხვდება როგორც ვერცხლის, ასევე ბრინჯაოსაგან დამზადებული.

ვერცხლის სასაფეთქლე რგოლები აღმოჩნდა 9 სამარხში. ექვსი მათგანი (სამარხები №№ 4, 13, 30, 60, 70, 79, ტაბ. CII<sub>4</sub>, CVII<sub>8</sub>, CXVI<sub>6</sub>, CXXXII<sub>4</sub>, CXL<sub>4</sub>, CXLVII<sub>6</sub>) თავგახვრეტილებია, № 4 სამარხში აღმოჩენილის გამოკლებით (ტაბ. CII<sub>4</sub>) მრგვალდე-როებიანია, ამ უკანასკნელს კი აქვს დაკუთხული, რომბისებურ-განივეკვეთიანი ღერო. გვხვდება ვერცხლის სადა, მრგვალდე-როიანი სასაფეთქლე რგოლებიც (სამარხები №№ 14, 15, 34, ტაბ. CVII<sub>3</sub>, CIX<sub>2</sub>, CXVIII<sub>2</sub>).

ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები (სამარხები №№ 38, 44, 47, 73, 78, 80, 82, 86, აგრეთვე შემთხვევით, ტაბ. CXIX<sub>5,6</sub>, CXXV<sub>2</sub>, CXXVI<sub>4</sub>, CXLI<sub>3</sub>, CXLVI<sub>2,3</sub>, CXLVIII<sub>6</sub>, CXLIX<sub>7</sub>, CLI<sub>1</sub>, CLV<sub>1,2</sub>) კი ყველა მრგვალდეროიანი და სადაა. ისინი უმრავლეს შემთხვევაში წყვილად არიან წარმოდგენილნი.

ბეჭდები შავსაყდარა I სამაროვანზე 5 ეგზემპლარითაა წარ-მოდგენილი (სამარხები №№ 16, 21, 31, 51<sup>o</sup>, 85, ტაბ. CX<sub>6</sub>, CXII<sub>6</sub>, CXVII<sub>2</sub>, CXXVIII<sub>5</sub>, CL<sub>5</sub>). ყველა მათგანი ბრინჯაოსაგანაა დამ-ზადებული. №№ 16, 21 სამარხებში მოპოვებული ბეჭდები (ტაბ.

CX<sub>6</sub>, CXII<sub>6</sub>) სადაა, მრგვალდეროიანი და თავგახსნილი. № 31 სამარხში აღმოჩენილი კი რკალშეკრულია (ტაბ. CXVII<sub>2</sub>). სამივე მათგანი ამ სამკაულის ფართოდ გავრცელებულ ტიპს განეკუთვნება. რაც შეეხება № 51<sup>35</sup> სამარხში აღმოჩენილ ფარაკიან (ტაბ. CXXVIII<sub>5</sub>) და № 85 სამარხში მოპოვებულ ბრინჯაოს ღეროსგან დაწნულ (ტაბ. CL<sub>5</sub>) ბეჭდებს, ისინი შედარებით იშვიათად გვხვდებიან. მაგალითად, დაწნული ბეჭდების აღმოჩენის შემთხვევა ცნობილია ღრმახევისთავის სამაროვნის № 91 სამარხიდან, სადაც ამ ტიპის ბეჭდებითან ერთად იყო რკინის ზურგდაბურთული სამაჯურიც,<sup>35</sup> რის მიხედვითაც ეს სამკაული შეგვიძლია ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარს მივაკუთვნოთ.

**საყურე.** შავსაყდარა I სამაროვანზე აღმოჩნდა 2 ცალი (სამარხები №№ 27, 65, ტაბ. CXV<sub>3</sub>, CXXXVII<sub>3</sub>, CCI<sub>2,3</sub>). აქედან პირველი, აღმოჩენილი № 27 სამარხში, საკმაოდ იშვიათი ფორმისაა. მეორე, № 65 სამარხში აღმოჩენილ საყურეს (ტაბ. CCI<sub>3</sub>) საკმაო რაოდენობის პარალელები მოეძებნება. იგი განეკუთვნება ე.წ. „სხივანა საყურის“ ტიპს, რომელიც ფართოდაა გავრცელებული აღრეანტიკურ-აღრეელინისტურ პერიოდებში. შავსაყდარას საყურე „ცალსხივიანია“, მისი მსგავსი სამკაული ცნობილია ბეჭთაშენის, მანგლისის, ასურეთისა და სხვა სამაროვნებიდან.<sup>36</sup>

**საკინძები შავსყდარა I** სამაროვანზე საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი, სულ აღმოჩნდა 14 ცალი, აქედან 5 ერთეული რკინისაა (სამარხები №№ 18, 51, 80, 82, 85, ტაბ. CXI<sub>6</sub>, CXXVIII<sub>3</sub>, CXLVIII<sub>4,5</sub>, CXLIX<sub>8</sub>, CL<sub>6</sub>). მათ შესახებ იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი ძირითადად ნებისმიერი მოყვანილობის არიან, ზოგიერთი მათგანის თავი ბურთულით ბოლოვდება (ტაბ. CCI<sub>7</sub>), ზოგის კი – გაბრტყელებულია (ტაბ. CCI<sub>9</sub>).

ბრინჯაოს საკინძებში ფორმების მიხედვით, ხუთი ჯგუფი გამოიყოფა. სულ აღმოჩნდა 9 საკინძი:

I ჯგუფს შეადგენს ორი წყვილი პრიზმულთავიანი საკინძი (სამარხები №№ 36, 65, ტაბ. CXIX<sub>1,2</sub>, CXXXVII<sub>7,8</sub>, CCI<sub>2,3,5-6</sub>).

II ჯგუფს – პირამიდისებურთავიანი საკინძები (სამარხები №№ 40, 55, ტაბ. CXXI<sub>4</sub>, CXXX<sub>5</sub>, CCI<sub>1,4</sub>).

III ჯგუფში შედის № 62 სამარხში აღმოჩენილი, ცილინდრულთავიანი საკინძი (ტაბ. CXXXV<sub>5</sub>, CCI<sub>13</sub>).

<sup>35</sup> ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 163, ნახ. 158.

<sup>36</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 76-79.

IV ჯგუფში – ბურთულასებურთავიანი საკინძი (სამარხი № 90, ტაბ. CLIII<sub>3</sub>, CCI<sub>10</sub>).

V ჯგუფი კი სადა ფორმების საკინძითაა წარმოდგენილი (სამარხი № 5, ტაბ. CIII<sub>4</sub>, CCI<sub>14</sub>).

შავსაყდარა I სამაროვნის საკინძები იმეორებენ პაპიგორის სამაროვნის ზემოთ განხილულ ბრინჯაოს საკინძთა ფორმებს, პარალელები და თარიღი საერთო გააჩნიათ.

**ძეწკვები.** საკინძებს (ისევე როგორც პაპიგორის სამაროვანზე) რიგ შემთხვევებში თან ახლავს ბრინჯაოსვე ძეწკვები (სამარხები №№ 62, 80, 90, ტაბ. CXXXV<sub>4</sub>, CXLVIII<sub>4,5</sub>, CLIII<sub>3</sub>, CCI<sub>9,10,13</sub>), ერთ შემთხვევაში კი ძეწკვები საკინძის გარეშე აღმოჩნდა (სამარხი № 45, ტაბ. CXXV<sub>5</sub>, CCI<sub>8</sub>). შავსაყდარას ძეწკვები პაპიგორის სამაროვნის ძეწკვების მსგავსია, შედგენილია ერთმანეთში გაყრილი, თავგახსნილი, ოვალური რკოლებისაგან.

**ილარი** შავსაყდარა I სამაროვანზე ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი (სამარხი № 67, ტაბ. CXXXVII<sub>4</sub>, CCI<sub>9</sub>), დამზადებულია ბრინჯაოს ბრტყელი ღეროსგან, რომლის წინა მხარეც წიწვისებური ორნამენტითაა დაფარული, თავი ორადაა განტოტვილი და გვერდებზე გახვრეტილი, ფართო ნახვრეტი აქვს ყელთანაც, სადაც ძეწკვი ეყრებოდა, წვერი კი მთავრდება პატარა კოვზით. ამ ტიპის ილარები ოღონდ სხვადასხვა ორნამენტებით – სპირალებით, ზიგზაგებით – შემკული, ფართოდაა ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს ადრეანტიკურ-ადრეელინისტური ხანის ძეგლებზე, აღმოჩენილია ბეჭთაშენის,<sup>37</sup> ვარსიმაანთკარის,<sup>38</sup> ენაგეთის<sup>39</sup> და სხვა სამაროვნებზე.

**მშვიდლდსაკინძი.** საკიდი. ასევე ერთი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი ბრინჯაოს მშვიდლდსაკინძი (სამარხი № 4 ტაბ. CCI<sub>12</sub>), რომელიც წიწვისებური ორნამენტითაა შემკული და ძვლის განივევეთში ოთხკუთხა მოყვანილობის, წაგრძელებული საკიდი (სამარხი № 49, ტაბ. CXXVII<sub>10</sub>, CCI<sub>10</sub>), რომლის გარე

<sup>37</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ...., გვ. 88, ტაბ. XI<sub>25</sub>.

<sup>38</sup> 6. მუხიგულაშვილი, ვარსიმაანთკარის სამაროვნის ბრინჯაოს იღარები, არქეოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1990, გვ. 158-159, ტაბ. I.

<sup>39</sup> ს. მარლიშვილი, ენაგეთის სამაროვანი. – ძეგლის მეგობარი, № 1, 1990, ტაბ. I.

პირიც რომბებითაა შემკული. ამ ნივთებს პარალელი ჯერჯერობით არ ეძებნებათ.

**ზარაკი.** სამაროვანზე აღმოჩნდა სამი ზარაკი (სამარხები №№ 12, 20, 45, ტაბ. CVI<sub>1</sub>, CXII<sub>4</sub>, CXXV<sub>3</sub>, CCIV<sub>4-6</sub>). სამივე ცილინდრული მოყვანილობის. თანადროული ზანის ძეგლებზე მათ მრავალი პარალელები ეძებნებათ.<sup>40</sup>

მძივები, როგორც მასალის, ასევე ფორმების მხრივაც საკმაოდ მრავალფეროვანია (ტაბ. CCIII). გვხვდება სარდიონის, პასტის, მინის, გიმრის და სხვა მასალის მრგვალ-ბრტყელი, ბიკონუსური, სფერული, მილისებრი, კულონისებრი და სხვა ფორმათა მქონე მძივები, აღსანიშნავია თეთრი ან ლურჯი თვლებით ინკრუსტირებული მინისებრი პასტის მძივების სიუხვე (ტაბ. CCIII<sub>1-2,4,11,15</sub>). აღნიშნული ჭიპის მძივები ფართოდაა გავრცელებული მოცემულ პერიოდში და დიდი რაოდენობის პარალელებიც მოეპოვებათ.<sup>41</sup>

საბრძოლო იარაღი ძირითადად რკინის შუბისპირებითა და ხელშუბებითაა წარმოდგენილი. ფორმების მიხედვით ისინი ოთხ ჯგუფად იყოფიან:

I ჯგუფში შედის ხიშტისებური შუბისპირები (ტაბ. CXCVI<sub>3,5</sub>), მათ ახასიათებთ გრძელი პირი და მოკლე მასრა.

II ჯგუფი ფოთლისებურპირიანი შუბისპირებისა და ხელშუბებისაგან შესდგება (ტაბ. CXCV<sub>3,6,9,10</sub>, CXCVI<sub>1-2</sub>). მათში რამდენიმე ვარიანტის გამოყოფაა შესაძლებელი.

III ჯგუფი ერთადერთი სამკუთხაპირიანი შუბისპირითაა წარმოდგენილი (ტაბ. CXCV<sub>8</sub>).

IV ჯგუფში კი ორი კონუსისებური ფორმის ხელშუბისპირია წარმოდგენილი (ტაბ. CXCV<sub>2,7</sub>).

ისრისპირი აღმოჩნდა ორი ცალი (სამარხები №№ 49, 61, ტაბ. CXCV<sub>1</sub>, CCIV<sub>7</sub>). პირველი მათგანი რკინისაა, ორფრთიანი და მოზრდილი, იგი საკმაოდ იშვიათი ჭიპია. რაც შეეხება მეორე, ბრინჯაოს ისრისპირს, იგი კარგად ცნობილ ე.წ. „სკვითურ“ ისრისპირთა რიცხვს განეკუთვნება.

**ცული.** შავსაყდარა I სამაროვანზე აღმოჩნდა რკინის ცულიც (სამარხი № 15, ტაბ. CCIV<sub>11</sub>). მას აქვს ბრტყელი ყუა და წელში

<sup>40</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა..., გვ. 107-109.

<sup>41</sup> იხ. იქვე, გვ. 89-105.

გამოყვანილი პირი. ამ ტიპის ცულები გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ძეგლებზე (გომარეთი, ასურეთი, ბეჭთაშენი და სხვა).<sup>42</sup>

დანა. რაც შეეხება რკინის მოხრილ დანებს, ისინი, ისევე როგორც აღნიშნული პერიოდის თითქმის ყველა სამაროვანზე, აქაც მრავლადაა წარმოდგენილი (ტაბ. CXCVII).

---

<sup>42</sup> ც. დავლიანიძე, ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ...., გვ. 139.

## შავსაყდარა | სამაროვანი

(კატალოგი)

### ს ა მ ა რ ხ ი № 1

ქვაყუთია. კედლები შედგენილია ვერტიკალურად დაწყობილი ბაზალტის ბრტყელი, საკმაოდ სქელი თითო ფილაქვით. გადახურულია ასეთივე ქვით. სამარხი (1,15×0,9×0,6 მ)<sup>1</sup> დამხრობილია NO-SW ხაზზე. სამარხის იატაკი თიხატკეპნილია.<sup>2</sup> მიუხედავად იმისა, რომ ჩონჩხი სხვა სამარხებთან შედარებით საკმაოდ კარგად შემოინახა, მიცვალებულის დაკრძალვის პოზაზე საუბარი მაინც ჭირს. თავის ქალა პირქვე ღევს სამარხის სამხრეთ კუთხეში, ბარძაყისა და წვივის ძვლები ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის გასწვრივაა ირიბად დაწყობილი. იდაყვის ძვლები ბარძაყის ძვლების დასავლეთითაა, მენჯის ძვალი – სამარხის ჩრდილოეთ კუთხეში. სამარხში აღმოჩნდა:

1. დანა (17-14:85-1;<sup>3</sup> ტაბ. CI<sub>2</sub>), რკინის, დაშლილი.
2. ობსიდიანის ანატკეცები (17-14:85-2; ტაბ. CI<sub>1</sub>), 2 ვ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 2

ქვის სამარხია. დაზიანებულია – არ შემორჩა აღმოსავლეთი კედელი. სამარხი ნაგებია ბაზალტის და რიყის მოზრდილი ქვებით. გადახურულია ბაზალტის ბრტყელი ქვით (სისქე – 12 სმ). სამარხი (1,35×0,9×0,55 მ) დამხრობილია NS ხაზზე. ჩონჩხი ცუდად შემოინახა – თავის ქალას ფრაგმენტები აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ჩონჩხის დანარჩენი ფრაგმენტები დადასტურდა სამარხის დასავლეთის კედლის გაყოლებით. სამარხში აღმოჩნდა:

<sup>1</sup> აქაც და ქვემოთაც მოცემულია სამარხთა გარე ზომები. ბაზალტის ქვების სისქე საშუალოდ 20-35 სმ-ს უდრის.

<sup>2</sup> ყველა სამარხს თიხატკეპნილი იატაკი აქვს, ამიტომ ქვემოთ საგანგებოდ აღარ აღვნიშნავთ.

<sup>3</sup> შიფრი 17 – აღგეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას ნიშნავს, 14 – შავსაყდარა I. სამაროვანს, 85 – აღმოჩენის წელს, 1- ნივთის საინვენტარო რიგით ნომერს.

3. ხელადა (17-14:85-3; ტაბ. Cl<sub>6</sub>, CLXIII<sub>5</sub>, CLXXXVIII<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მომრგვალებულპირიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. ყური განივალეთში ოვალურია. სიმაღლე – 22 სმ, ყელის დმ – 5,5 სმ, მუცლის დმ – 19 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

4. „ლილი“ (17-14:85-4;<sup>4</sup> ტაბ. Cl<sub>3</sub>, CCIV<sub>8</sub>), ძვლის, ნახევარსფერული. ნახვრეტს გარშემო ორი ამოღარული წრე შემოუყვება. დმ – 2,5 სმ.

5. სამაჯური (ტაბ. Cl<sub>4</sub>), რკინის, ძლიერ დაშლილი.

6. მმივი (ტაბ. Cl<sub>5</sub>), 3 ც. ერთი ცისფერი, ორი მოთეთრო მინის.

### ს ა მ ა რ ხ ი № 3

მდებარეობს № 2 სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 მ-ზე. ძლიერაა დაზიანებული. უინვენტაროა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 4

ქვაფუთია. შეკრულია ბაზალტის ბრტყელი ფილებით. გადახურულია ბაზალტისვე ბრტყელი ქვით. სამარხის სამხრეთ და დასავლეთ კედლებს გარედან შემოწყობილი აქვს რიყის ქვები. სამარხი ( $1,2 \times 0,7 \times 0,46$  მ) დამხრობილია O-W ხაზზე. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოკრუნჩხული, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

7. ხელადა (ტაბ. CII<sub>1</sub>, CLVII<sub>1</sub>, CLXXXV<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელიძირა. სიმაღლე – 22 სმ, ყელის დმ – 7 სმ, მუცლის დმ – 18,5 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ.

8. ჯამი (ტაბ. CII<sub>3</sub>, CLXXIX<sub>6</sub>, CXCI<sub>18</sub>), მსხვილმარცვლოვანი თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი ლაქებით, პირგადაშლილი, პროფილირებულკალთიანი, ბრტყელიძირა. სიმაღლე – 6,1 სმ, პირის დმ – 16 სმ, მუცლის დმ – 15,8 სმ, ძირის დმ – 11 სმ.

<sup>4</sup> ნივთის საინვენტარო ნომერი ყველასათვის ერთია, რიგითი ნომერი კი მოცემული კატალოგის რიგით ნომერს ემთხვევა, ამიტომ საინვენტარო ნომერს ქვემოთ აღარ მოვიტანთ.

9. ხელშუბისპირი (ტაბ. CII<sub>2</sub>, CXCV<sub>2</sub>), რკინის, ძლიერ დაფანგული. სიგრძე – 8,3 სმ, მასრის დმ – 2,5 სმ.
10. მშვილდსაკინძი (ტაბ. CII<sub>6</sub>, CCIV<sub>12</sub>), ბრინჯაოს, წიწვისებური ორნამენტით შემკული.
11. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. CII<sub>4</sub>, CCII<sub>4</sub>), ვერცხლის, განივ-კვეთში რომბული, გახსნილი, თავები დაბრტყელებული და გა-ხვრეტილია. დმ – 2,5 სმ.
12. მძივები (ტაბ. CII<sub>5</sub>, CCIII<sub>12</sub>), 2 ც. სარდიონის; 3 ც. ლურჯი მინის, ბიკონუსური; 3 ც. მოთეთრო მინის, ბიკონუსური; 2 ც. ჰასტის, მრგვალ-ბრტყელი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 5

ქვის სამარხია (ტაბ. LXXV<sub>1</sub>). ნაგებია ბაზალტისა და რიყის ქვებით. კედლებს სიმყარისათვის, ზოგან რიყის ქვები აქვს შე-მოწყობილი. გადახურულია ბრტყელი ბაზალტის ქვით. სამარხი ( $1,3 \times 0,8 \times 0,5$  მ) დამხრობილია N-S ხაზზე. ცუდად შემონახული ძვლების მიხედვით, მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მოკრუნჩხული, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. სამარ-ხში აღმოჩნდა:

13. ხელადა (ტაბ. CIII<sub>1</sub>, CLXV<sub>4</sub>, CLXXXIII<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, სამტუჩა, ბრტყელძირა. სიმაღლე – 21 სმ, ყელის დმ – 7 სმ, მუცლის დმ – 17,5 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.
14. სამაჯური (ტაბ. CIII<sub>2</sub>), რკინის, ზურგშეზნექილი, დაფანგული, ნაკლული.
15. ღერო (ტაბ. CIII<sub>3</sub>), რკინის, ძლიერ დაფანგული, ნაკლული, ერთ ბოლოზე ეტყობა ქსოვილის ანაბეჭდი. შესაძლოა საკინძის ნაწილი იყოს.
16. საკინძი (ტაბ. CIII<sub>4</sub>, CCI<sub>14</sub>), ბრინჯაოს, ღერო მრგვალია, თავი დაკუთხული და ჰორიზონტალური ნაჭდევებით შემკული, ყელი დაბრტყელებულია და გახვრეტილი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 6

ქვაყუთია. ნაგებია ბაზალტის ფილაქვებით, დარჩენილი ნაპ-რალები შევსებულია რიყის ქვებით. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები ორ-ორი ქვისაგანაა შედგენილი, სამხრეთი კედელი – ერთი ქვისგან, ჩრდილოეთი კედელი დაზიანებულია – შემორ-82

ჩენილია ბაზალტის ბრტყელი ფილაქვის ფრაგმენტი. სამარხი გადახურულია ერთი ქვით ( $1,12 \times 0,95$  მ). სამარხში ( $1,0 \times 0,45 \times 0,4$  მ) მიცვალებული დაკრძალულია მოკრუნჩხული, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით. მიცვალებულის ფეხებთან აღმოჩნდა:

17. ხელადა (ტაბ. CIII<sub>5</sub>, CLXXXIX<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შავი ლაქებით, ნაკლული, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. ამოღარული ორნამენტით შემკული. სიმაღლე – 18 სმ, მუცლის დმ – 19 სმ, ძირის დმ – 11,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 7

სამარხი (პირობითად) წარმოადგენს ბაზალტისა. და რიყის ქვების ოვალურ ყრილს ( $0,9 \times 0,7$  მ), რომლის ქვეშ არაფერი აღმოჩენილა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 8

ქვაყუთია. წარმოადგენს ფილაქებით შედგენილ პატარა სამარხს. დამხრობილია O – W ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი სამარხში არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

18. ხელადა (ტაბ. CIV<sub>1</sub>; CLVI<sub>2</sub>; CLXXXV<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, ფართოპირიანი, დაბალყელიანი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 16 სმ, ყელის დმ – 8 სმ, მუცლის დმ – 13,8 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 9

ორმოსამარხია (ტაბ. LXXIV<sub>1,2</sub>). ქვაყრილი შედგება ბაზალტისა და რიყის მოზრდილი ქვებისაგან. სამარხი დამხრობილია O – W ხაზზე. სამარხი ორმოს კონტურის დაჭრა ვერ მოხერხდა. სამარხში ესვენა ერთი მიცვალებული თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

19. თიხის ჭურჭლის (ქოთნის?) ფრაგმენტები, რუხი.

20. კოჭობი (ტაბ. CIV<sub>2</sub>; CLXI<sub>1</sub>; CXCIV<sub>17</sub>), თიხის, რუხი, მოვარდისფროდ გამომწვარი ლაქებით, ხელით ნამერწი. სიმაღლე – 7,5 სმ, პირის დმ – 5 სმ, მუცლის დმ – 8 სმ, ძირის დმ – 4,2 სმ.

21. ფიალა (ტაბ. CIV<sub>3</sub>; CLXXIX<sub>2</sub>; CXCI<sub>16</sub>) მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, პროფილირებული, ბრტყელძირა.

22. მბივი (ტაბ. CIV<sub>4</sub>), თეთრი მინის, ბიკონუსური. ღმ – 0,6 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 10

ქვაყუთია. ნაგებია ოთხი ვერტიკალურად დაყენებული ბაზალტის ქვით. გადახურულია ასეთივე ფილაქვით. სამარხი ( $0,8 \times 0,45 \times 0,4$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდადაა შემონახული. სამარხში აღმოჩნდა:

23. ხელადა (ტაბ. CIV<sub>5</sub>, CLXIX<sub>1</sub>, CXCI<sub>2</sub>), ჩაიდნისებრი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. განივეკვეთში ოვალური ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, ყურის მოპირდაპირედ მუცელზე დაძერწილია მრგვალი მილი. სიმაღლე – 18,2, მილის – 6, პირის ღმ – 10,5 მუცლის – 15, ძირის – 8 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 11

ქვაყუთია (ტაბ. LXXV<sub>2</sub>). აგებულია ბაზალტის ფილაქვებით, გადახურულია ბაზალტისვე ქვით ( $1,4 \times 1,0$  მ). სამარხი ( $0,9 \times 0,5 \times 0,35$  მ) დამხრობილია NW-SO ხაზზე. მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა:

24. ქოთანი (ტაბ. CV<sub>3</sub>, CLXXV<sub>2</sub>, CXCI<sub>11</sub>), შავად გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 15 სმ, პირის ღმ – 11,7 სმ, მუცლის ღმ – 16 სმ, ძირის ღმ – 9,5 სმ.

25. კოჭობი (ტაბ. CV<sub>2</sub>, CLXXII<sub>15</sub>, CXCI<sub>9</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შედებილი. პირგადაშლილი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 7,7 სმ, პირის ღმ – 9,5 სმ, მუცლის ღმ – 11 სმ, ძირის ღმ – 5,7 სმ.

26. მბივები (ტაბ. CV<sub>1</sub>, CCIII<sub>7</sub>), მინის, 7 ც. ცისფერი, სფერული, 2 ც. შავი, შვინდის კურკის ფორმის. 4 ც. სარდიონის, მრგვალბრტყელი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 12

ქვაყუთია. აგებულია ბაზალტის ფილაქვებით. გადახურულია ბაზალტისავე ქვის ფილით ( $1,05 \times 1,05$  მ). სამარხი ( $1,05 \times 0,68 \times 0,5$  მ) დამხრობილია NO-SW ხაზზე. სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ერთი მათგანი დასვენებულია მარცხენა გვერდზე, ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილი. მეორე მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა არ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა:

27. ჯამი (ტაბ. CVI<sub>3</sub>, CLXXVII<sub>1</sub>, CXCI<sub>7</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირმოყრილი, მომრგვალებული კალთით, ბრტყელირა. სიმაღლე – 6 სმ, პირის დმ – 11 სმ, მუცლის დმ – 17,5 სმ, ძირის დმ – 11,5 სმ.

28. კოჭობი (ტაბ. CVI<sub>6</sub>, CLXXI<sub>3</sub>, CXCI<sub>11</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელირა. სიმაღლე – 11 სმ, პირის დმ – 5,5 სმ, მუცლის დმ – 12 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

29. ზარაკი (ტაბ. CVI<sub>1</sub>, CCIV<sub>5</sub>), ბრინჯაოს, რკინის ენით, ცილინდრული, გვერდშეჭრილი, წიწვისებური ორნამენტით შემკული. სიმაღლე – 5,2 სმ, ყუნწთან დმ – 1,7 სმ, ძირთან დმ – 2,3 სმ.

30. დანა (ტაბ. CVI<sub>4</sub>, CXCVII<sub>1</sub>), რკინის, მოხრილი, ერთი სატარე მანჭვლით. ტარზე ხის ნაშთია შემორჩენილი. სიგრძე – 17,2 სმ.

31. სამაჯური (ტაბ. CVI<sub>2</sub>), რკინის, ძლიერ დაუანგული და დაშლილი.

32. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. CVI<sub>5</sub>), რუხად გამომწვარი.

## ს ა მ ა რ ხ ი № 13

ქვაყუთია (ტაბ. LXXVI<sub>1,2</sub>). თავისი ზომებით იგი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამარხია ( $1,25 \times 0,8 \times 0,55$  მ). მისი ჩრდილო-აღ-მოსავლეთი კედელი ერთი დიდი ბაზალტის ფილაქვითაა შედგენილი, ჩრდილო-დასავლეთი – 2 ქვისაგან, სამხრეთ-დასავლეთი – დიდი ლოდისაგან, რომელიც დასავლეთ ნაწილში ქვებითაა შევსებული და ზემოდან ბრტყელი ქვა აღევს, სამხრეთ-აღმო-შევსებული და ზემოდან ბრტყელი ქვა აღევს, სამხრეთ-აღმო-შევსებული – დიდი ზომის ბაზალტის ფილაქვით (სისქე – სავლეთი კედელი – დიდი ზომის ბაზალტის ფილაქვით (სისქე – 24 სმ). სამარხი გადახურულია ბაზალტის ორი ფილით

( $1,65 \times 0,85$  მ). მიცვალებულის ჩონჩხი არეულია. სამარხში აღმოჩნდა:

33. ხელადა (ტაბ. CVII<sub>2</sub>, CLXI<sub>1</sub>, CLXXXI<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 20 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

34. კოჭობი (ტაბ. CVII<sub>1</sub>, CLXXIII<sub>3</sub>, CXCIV<sub>1</sub>), მოშავო-მონაც-რისფროდ გამომწვარი თიხის, ვარდისფერი ლაქებით. სიმაღლე – 6 სმ, პირის დმ – 4 სმ, მუცლის – 6 სმ, ძირის დმ – 4 სმ.

35. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. CVII<sub>8</sub>, CCII<sub>3</sub>), ვერცხლის, ლერო განივევეთში მრგვალი, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებული და გახვრეტილია. დმ – 1,6 სმ.

36. ხელშუბისპირი (ტაბ. CVII<sub>3</sub>, CXCV<sub>5</sub>), რკინის, მასრაგახსნილი, ქედიანი, მასრაზე ორი სატარე ნახვრეტით. სიგრძე – 17,3 სმ.

37. სამაჯური (ტაბ. CVII<sub>4</sub>, CC<sub>4</sub>), რკინის, ლერო განივევეთში მრგვალი, დაუანგული, ნაკლული. დმ – 5 სმ.

38. დანა (ტაბ. CVII<sub>6</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული. ტარზე შემორჩენილია რკინის ორი მანჭვალი.

39. მილაკი (ტაბ. CVII<sub>5</sub>), ბრინჯაოს, თხელფურცლოვანი, გახსნილი. დმ –  $0,3 \times 0,6$  სმ.

40. მძივები (ტაბ. CVII<sub>7</sub>), თეთრი პასტის, ლურჯი წერტილებით ინკრუსტირებული.

#### ს ა მ ა რ ხ ი № 14

ქვაფუთია. შედგენილია ბაზალტის ოთხი ფილით. გადახურულია ასეთივე ქვით ( $0,95 \times 0,66$  მ). სამარხი ( $0,8 \times 0,6 \times 0,4$  მ). დამხრობილია NO-SW ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდადაა შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა:

41. ქოთანი (ტაბ. CVIII<sub>4</sub>, CLXXIV<sub>5</sub>, CXCI<sub>12</sub>), მოშავო-მონაც-რისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 14 სმ, პირის დმ – 13 სმ, მუცლის დმ – 18,5 სმ, ძირის დმ – 11 სმ.

42. სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. CVIII<sub>3</sub>, CCII<sub>13</sub>), 2 ც., ვერცხლის, ოთხუთხაგანივევეთიანი, ლეროთი, თავგახსნილი. დმ – 1,6 სმ.

43. გაურკვეველი ფორმის ნივთები (ტაბ. CVIII<sub>2</sub>), რკინის, 4 ც.

44. ხელშუბისპირი (ტაბ. CVIII<sub>1</sub>, CXCIV<sub>7</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 15

ქვაყუთია (ტაბ. LXXVII<sub>1</sub>). ნაგებია და გადახურულია ბაზალტის ქვებით. სამარხი ( $0,86 \times 0,6 \times 0,4$  მ) დამხრობილია N-S ხაზზე. სახურავის კუთხეზე და უშუალოდ სახურავის ქვეშ აღმოჩნდა ცხოველის ძვლები. მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

45. ხელადა (ტაბ. CIX<sub>5</sub>, CLVII<sub>4</sub>, CLXXXI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, მაღალყელიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 23 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 8 სმ.

46. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. CIX<sub>2</sub>, CCII<sub>17</sub>), ვერცხლის, ლერო განივეკვეთში მრგვალი, თავგახსნილი, თავები წამახვილებულია. დმ – 2 სმ.

47. შუბისპირი (ტაბ. CIX<sub>4</sub>, CXCVI<sub>2</sub>), რკინის, ნაკლული, ქედიანი. მასრაში ზის ნაშთია შემორჩენილი. სიგრძე – 29 სმ.

48. დანა (ტაბ. CIX<sub>3</sub>, CXCVII<sub>8</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე – 9,3 სმ.

49. ცული (ტაბ. CIX<sub>6</sub>, CCIV<sub>11</sub>), რკინის. სიგრძე – 10 სმ

50. სამაჯური (ტაბ. CIX<sub>1</sub>, CXCI<sub>3</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული. დმ – 9,3 სმ

### ს ა მ ა რ ხ ი № 16

ქვაყრილიანი ორმოსამარხია (ტაბ. LXXVII<sub>2</sub>). დამხრობილია NO-SW ხაზზე. სამარხი კამერა ოვალური მოყვანილობისაა ( $1,7 \times 0,9 \times 1,0$  მ). მიცვალებული დაუკრძალავთ კიდურებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

51. ქოთანი (ტაბ. CX<sub>3</sub>, CLXXII<sub>4</sub>, CXCIV<sub>16</sub>), მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის, მოვარდისფრო ლაქებით. პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 15 სმ, პირის დმ – 12,3 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

52. ტოლჩა (ტაბ. CX<sub>2</sub>, CLXXI<sub>1</sub>, CXCI<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, პირსწორი, ბიკონუსტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 11 სმ, პირის დმ – 9,5 სმ, ძირის დმ – 5,7 სმ.

53. ჯამი (ტაბ. CX<sub>1</sub>, CLXXVI<sub>1</sub>, CXCII<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირმოყრილი ბრტყელძირა. სიმაღლე – 3,4 სმ, პირის დმ – 11 სმ, ძირის დმ – 5 სმ.

54. შუბისპირი (ტაბ. CX<sub>5</sub>, CXCVI<sub>3</sub>), რკინის, მასრაგახსნილი, ქედიანი. სიგრძე – 45 სმ, მასრის სიგრძე – 12,5 სმ, მასრის დმ – 2 სმ.

55. დანა (ტაბ. CX<sub>4</sub>, CXCVII<sub>5</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული, რკინის ორი მანჭვალით. შემორჩენილი სიგრძე – 15 სმ.

56. ბეჭედი (ტაბ. CX<sub>6</sub>, CCII<sub>8</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივევეთში მრგვალი, თავგახსნილი. დმ – 2,1 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 17

ქვაყუთია. აგებულია ბაზალტის ფილაქებით და გეგმაში კვადრატული მოყვანილობა აქვს ( $0,5 \times 0,5 \times 0,45$  მ). დამხრობილია N-S ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. დასავლეთის კედლის ძირში აღმოჩნდა მოწითალო კერამიკის უსახო ფრაგმენტები.

### ს ა მ ა რ ხ ი № 18

ქვაყუთია (ტაბ. LXXVIII). აგებულია ბაზალტისა და რიყის ქვებით. გადახურულია ბაზალტის ორი ფილით. სამარხი ( $0,8 \times 0,4 \times 0,4$  მ) დამხრობილია NO-SW ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი ფრაგმენტულადაა შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა:

57. ხელადა (ტაბ. CXI<sub>1</sub>, CLXI<sub>4</sub>, CLXXXIX<sub>1</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ნისკარტიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 17,5 სმ, მუცლის დმ – 14,5 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ.

58. სამაჯური (ტაბ. CXL, CC<sub>13,14</sub>), 2 კ., რკინის, ღერო განივევეთში მრგვალი, თავგახსნილი. ერთის თავი ბურთულებით მთავრდება, მეორის – წაწვეტებულია. ბურთულიანის დმ – 5,5 სმ, მეორის – 6 სმ.

59. საკინძი (ტაბ. CXI<sub>6</sub>), რკინის, დაუანგული, დამტვრეული, ნაკლული, თავბურთულიანი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 19

ორმოსამარხია. გადახურული ყოფილა ბაზალტის სამი ფილით. ოვალური მოყვანილობის სამარხი კამერა ( $1,1 \times 0,8 \times 0,7$  მ) დამხრობილია SW-NO ხაზზე. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდადაა შემონახული – შესაძლოა იგი დაკრძალული იყო ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. სამარხში აღმოჩნდა:

60. ხელადა (ტაბ. CXI<sub>3</sub>, CLXIV<sub>1</sub>, CLXXXIII<sub>6</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, ყელმაღალი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 19,5 სმ, მუცლის დმ – 16,5 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.

61. კოჭობი (ტაბ. CXI<sub>2</sub>, CLXXIII<sub>4</sub>, CXCIV<sub>8</sub>), მოშოვო-მონაცრის-ფროდ გამომწვარი თიხის, ამოკაწრული ორნამენტით შემკული. სიმაღლე – 8 სმ, პირის დმ – 6,2 სმ, მუცლის დმ – 9 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

62. სამაჯური (ტაბ. CXI<sub>5</sub>), რკინის, ნაკლული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 20

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხი კამერის კონტური ვერ დადგინდა. მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

63. ქოთანი (ტაბ. CXII<sub>1</sub>, CLXXII<sub>3</sub>, CXCIV<sub>13</sub>), მოშოვო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის, სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 9,5 სმ, მუცლის დმ – 13,5 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

64. ზარაკი (ტაბ. CXII<sub>4</sub>, CCIV<sub>6</sub>), ბრინჯაოს, რკინის ენით, ცილინდრული, გვერდშეჭრილი, წიწვისებური ორნამენტით შემკული. სიმაღლე – 3,8 სმ, დმ – 2 სმ.

65. სამაჯური (ტაბ. CXII<sub>5</sub>, CXCVIII<sub>8</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. დმ – 4 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 21

ორმოსამარხია (ტაბ. LXXVIII<sub>2</sub>). გადახურული იყო ბაზალტის ბრტყელი ქვით ( $0,9 \times 0,7$  მ). ორმოს კონტურის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

66. ხელადა (ტაბ. CXII<sub>3</sub>; CLXIV<sub>2</sub>; CLXXXVI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, წითელი საღებავით შეღებილი, ნისკარტიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 17,5 სმ, მუცლის დმ – 15,5 სმ, ძირის დმ – 11,5 სმ.

67. კოჭობი (ტაბ. CXII<sub>2</sub>, CLXXIII<sub>6</sub>, CXCIV<sub>6</sub>), მოშავო-მონაცრისფრო თიხის. სიმაღლე – 7 სმ, პირის დმ – 5,2 სმ, მუცლის დმ – 8,5 სმ, ძირის დმ – 5,4 სმ.

68. სამაჯური (ტაბ. CXII<sub>7</sub>, CXCVIII<sub>9</sub>), ბრინჯაოს, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ – 6 სმ.

69. ბეჭედი (ტაბ. CXII<sub>6</sub>, CCI<sub>19</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივეკვეთში მრგვალი, ნაკლული.

70. ღერო რკინისა, დაუანგული, ფრაგმენტული.

## ს ა მ ა რ ხ ი № 22

ქვაყრილიანი ორმოსამარხია, ძლიერ დაზიანებული.

## ს ა მ ა რ ხ ი № 23

ქვაყუთია (ტაბ. LXXIX<sub>2</sub>; XCV<sub>1,2</sub>). სამარხის კედლები შედგენილია ბაზალტის თითო მასიური ფილით, ჩრდილოეთის კედელი კი ორი ფილით. გადახურულია ბაზალტის 2 ფილით. სამარხი დამხრობილია O-W ხაზზე. მიცვალებულის ძვლები არეულია. სამარხში აღმოჩნდა:

71. დოქი (ტაბ. CXIII<sub>2</sub>; CLXIX<sub>2</sub>; CXC<sub>3</sub>), ჩაიდნისებური, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მომრგვალებულ-მუცლიანი, ბრტყელძირა. განივეკვეთში მრგვალი ფური მიერთებულია პირსა და მხარზე, პირთან ერთი კოპი აქვს დამერწილი, ფურის მოპირდაპირედ, მხარზე აღმართულია განივეკვეთში მრგვალი მილი. სიმაღლე – 24,5 სმ, პირის დმ – 11 სმ, მუცლის დმ – 19,5 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ; მილის სიმაღლე – 5 სმ, დმ – 2 სმ.

72. დანა (ტაბ. CXIII<sub>3</sub>; CXCVII<sub>2</sub>), რკინის, მოხრილი, დაუანგული. სიგრძე – 12 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 24

ქვაყრილიანი ორმოსამარხია. დაზიანებულია. სამარხი კამერის კონტურის დადგენა ვერ მოხერხდა. სამარხში მიცვალებულის ძვლებიდან მხოლოდ თავისქალაა შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა:

73. ხელადა (ტაბ. CXIII<sub>1</sub>; CLX<sub>3</sub>; CLXXXIX<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მრგვალპირიანი, მსხლისებურტანიანი, ბრტყელძირა. ნაკლული. შემორჩენილი სიმაღლე – 20 სმ, პირის ღმ – 6,5 სმ, მუცლის ღმ – 14 სმ, ძირის ღმ – 7 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 25

ორმოსამარხია. გეგმაში ოვალური მოყვანილობის ორმო ( $0,9 \times 0,8 \times 0,4$  მ), რომელიც დამხრობილია NO-SW ღერძზე, გადახურულია ქვაყრილით ( $0,8 \times 0,8$  მ). ცუდად შემონახული ჩონჩხის მიხედვით, მიცვალებული თითქოს მარჯვენა გვერდზე უნდა ყოფილიყო დაკრძალული, ძლიერ მოხრილი, თავის ქალა კი დევს მარცხენა მხარეს. სამარხი უინვენტაროა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 26

ქვაყუთია (ტაბ. XCV<sub>3</sub>). სამარხის კედლები შეკრულია ბაზალტის თითო ფილაქვით ( $0,9 \times 0,5 \times 0,4$  მ) დამხრობილია SO-NW ღერძზე. გადახურულია ბაზალტის დიდი ფილაქვით ( $1,2 \times 0,9$ ; ქვის სისქე – 20 სმ). სამარხის სამ კედელს, გარდა სამხრეთ-ქვის სისქე – 20 სმ). სამარხის სამ კედელს, გარდა სამხრეთ-დასავლეთი კედლისა, გარედან სიმყარის მისაცემად შემოწყობილი ჰქონდა ბაზალტის მოზრდილი ქვები. ცუდად შემონახული ჩონჩხის ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

74. ხელადა (ტაბ. CXIV<sub>1</sub>; CLXI<sub>2</sub>; CLXXXV<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილია მუქი წითელი საღებავით,

ნისკარტიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 20 სმ, მუცლის დმ – 17 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ.

75. ჯამი (ტაბ. CXIV<sub>2</sub>; CLXXIX<sub>5</sub>; CXCII<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მუქი წითელი სალებავით შეღებილი, პირგადაშლილი, პროფილირებულკალთიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 5,5 სმ, პირის დმ – 14,5 სმ, მუცლის დმ – 14,5 სმ, ძირის დმ – 8,3 სმ.

76. შუბისპირი (ტაბ. CXIV<sub>3</sub>; CXCVI<sub>1</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული, ქედიანი. შემორჩენილი სიგრძე – 16,5 სმ.

77. დანა (ტაბ. CXIV<sub>4</sub>; CXCVII<sub>9</sub>), რკინის, მოხრილი, დაუანგული, ნაკლული, ტარზე რკინის მანჭვალით. შემორჩენილი სიგრძე – 20 სმ.

78. სამაჯური (ტაბ. CXIV<sub>5</sub>; CXCVIII<sub>3</sub>), ბრინჯაოს, ზურგდაკეჭნილი, თავგახსნილი, ერთი თავი მოტეხილია, მეორე – შემკულია ცხოველის სახით. დმ – 5,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 27

ქვაყუთია. სამარხი ნაგებია ბაზალტის ფილაქებით, ნაპრალები შევსებულია რიყის ქვებით. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები ბაზალტის თითო ფილით არის შედგენილი, სამხრეთი და ჩრდილო კედლები კი ორ-ორი ქვით. სამარხი ( $0,6 \times 0,3 \times 0,3$  მ) საკმაოდ კარგადაა ნაგები. დამხრობილია O-W ღერძზე, გადახურულია ერთი ბაზალტის და ორი რიყის ქვით ( $0,95 \times 0,65$ ). ჩონჩხის თითქმის არავითარი ნაშთი არ შემორჩა, გარდა ერთი სარძევე კბილისა, რომლის მიხედვით ბავშვი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამარხში აღმოჩნდა:

79. ხელადა (ტაბ. CXV<sub>1</sub>; CLIX<sub>4</sub>; CLXXXVI<sub>5</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითლად შეღებილი, ნისკარტიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 18 სმ, მუცლის დმ – 15,2 სმ, ძირის დმ – 9,5 სმ.

80. ჯამი (ტაბ. CXV<sub>2</sub>; CLXXVII<sub>3</sub>; CXCII<sub>9</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნაცრისფერი ლაქებით, პირმოყრილი, კალთა-მომრგვალებული, ბრტყელძირა. სიმაღლე – 6,6 სმ, პირის დმ – 20 სმ, ძირის დმ – 10 სმ.

81. სამაჯური (ტაბ. CXV<sub>5</sub>; CXCIII<sub>7</sub>), ბრინჯაოს, დეფორმირებული, ღერო განივაკეთში ნახევარსფერული, თავგახსნილი, თავები ცხოველსახეებით შემკული. დმ – 5,5 სმ.

82. საყურე (ტაბ. CXV<sub>3</sub>; CCIV<sub>2</sub>), ბრინჯაოს, დაზიანებული, მთლიანადსხმული, ცრემლისებრი საკიდით. სიგრძე – 3,5 სმ.

83. მძივები (ტაბ. CXV<sub>4</sub>; CCIII<sub>10</sub>), 8 ც. სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი, 8 ც. მინისებრი პასტის იოტი, 10 ც. შავი პასტის მრგვალ-ბრტყელი მძივი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 28

ორმოსამარხია. იგი წარმოადგენს გეგმაში ოვალური მოყვანილობის ორმოს ( $1,1 \times 0,8 \times 0,4$  მ), რომელიც გადახურული იყო ბაზალტისა და რიფის მოზრდილი ქვებით ( $1,2 \times 0,7$  მ). დამხრობილია NO-SW ღერძზე. ცუდად შემორჩენილი ჩონჩხის მიხედვით მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ძლიერ მოხრილი. თავის ქალა გადაგორებული ჩანს. სამარხში აღმოჩნდა:

84. ქოთანი (ტაბ. CXVI<sub>1</sub>; CLXXII<sub>1</sub>; CXCIV<sub>12</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი. პირგადაშლილი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 18 სმ, პირის დმ – 12 სმ, მუცლის დმ – 18,5 სმ, ძირის დმ – 10 სმ.

85. სამაჯური (ტაბ. CXVI<sub>3</sub>; CXCIII<sub>2</sub>), ბრინჯაოსი, ზურგ-დაკეჭნილი, თავგახსნილი, თავები შემკულია ცხოველსახეებით. დმ – 5,5 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 29

ორმოსამარხია. იგი წარმოადგენს გეგმაში მომრგვალებულ ორმოს. ( $0,8 \times 0,8 \times 0,35$  მ), გადახურულს ოთხკუთხა ბაზალტის ფილაქვით ( $1,0 \times 0,7$  მ). დამხრობილია NW-SO ღერძზე. მიცვალებულის ჩონჩხი ფრაგმენტულად შემოინახა და ჩნდება ორმოს ძირის მთელ ფართობზე. სამარხში აღმოჩნდა:

86. ქოთანი (ტაბ. CXVI<sub>4</sub>; CLXXIV<sub>1</sub>; CXCIII<sub>7</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, შავი ლაქებით. სიმაღლე – 12,5 სმ, პირის დმ – 11 სმ, მუცლის დმ – 14,5 სმ, ძირის დმ – 7,5 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 30

ორმოსამარხია. ორმო, ორმლის კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა, გადახურული იყო გეგმაში ოვალური ფორმის ბაზალტის ფილაქვით. მას ჩრდილოეთ მხარეს, ზემოდან ედო მეორე ჭავასახურავის ფართობი  $1,2 \times 0,8$  მ შეადგენს; იგი წაგრძელებული იყო S-N ღერძზე. სამარხში ჩონჩხის არავითარი ნაშთი არ დადასტურებულა. სამარხში აღმოჩნდა:

87. ხელადა (ტაბ. CXVI<sub>2</sub>; CLXIX<sub>3</sub>; CXC<sub>1</sub>), ჩაიღნისებრი, მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ნაკლული, განივჯეთში მრგვალი ყური მიერთებულია პირსა და მხარზე, პირთან მიერთების ადგილზე პატარა კობი აქვს, ყურის მოპირდაპირედ აღმართულია განივჯეთში მრგვალი მილი. სიმაღლე – 21,5 სმ.

88. სამაჯური (ტაბ. CXVI<sub>5</sub>), ბრინჯაოს, ნაკლული, ღეროს ზურგი ჩაღარული ხაზითაა გაყოფილი და წიწვისებური ორნამენტით შემკული, თავგახსნილი, თავებზე ცხოველსახეებით შემკული.

89. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. CXVI<sub>6</sub>; CCII<sub>5</sub>), ვერცხლის, ღერო განივჯეთში მრგვალია, თავგახსნილი, თავები დაბრტყელებული და გახვრეტილია. დმ – 2,3 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 31

ორმოსამარხია. ძლიერ დაზიანებული. მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

90. ხელადა (ტაბ. CXVII<sub>6</sub>; CLVIII<sub>4</sub>; CLXXXIX<sub>2</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ნაკლული. შემორჩენილი სიმაღლე – 17 სმ, მუცლის დმ – 17,5 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

91. სამაჯური (ტაბ. CXVII<sub>1</sub>; CXCIII<sub>1</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივჯეთში ოვალური, თავგახსნილია, ერთი თავი მოტეხილია, მეორე შემკულია ცხოველის თავის სტილიზებული გამოსახულებით. დმ – 4 სმ.

92. რგოლი (ტაბ. CXVII<sub>2</sub>; CCII<sub>15</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივჯეთში მრგვალი, შეკრული. დმ – 1,8 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 32

ქვაყუთია. იგი შეკრულია ბაზალტის 4 ფილაქვით ( $1,0 \times 0,5 \times 0,4$  მ) და გადახურულია ბაზალტის 1 ფილაქვით ( $1,65 \times 1,0$ ). აღსანიშნავია, რომ სამარხის სახურავზე ადამიანის წვივის ძვლები და თიხის 2 ჭურჭელი აღმოჩნდა. ძნელი სათქმელია, ამ სამარხის სახურავი შემთხვევით გამოუყენებიათ მოვარის სამარხის იატაკად, თუ ეს ძირითად სამარხთან დაკავშირებული რაღაც რიტუალის ნაშთია. საკუთრივ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი ფრაგმენტულად შემოინახა, რომელთა მიხედვით მიცვალებული ძლიერ მოკუნტულად, ჩვენთვის გაურკვეველ პოზაში უნდა ყოფილიყო დაკრძალული. მონაპოვარი მასალის მიხედვით რაიმე აშკარა ქრონოლოგიური სხვაობა არ შეინიშნება სამარხში და სამარხის თავზე დაკრძალულ მიცვალებულთა შორის. სამარხში აღმოჩნდა:

93. დოქი (ტაბ. CXVII<sub>4</sub>; CLXXXIX<sub>10</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, ფრაგმენტული. მიუხედავად იმისა, რომ არ აღდგა, შეიძლება ითქვას, რომ სამაროვანზე მოპოვებულ დოქებს შორის ყველაზე დიდია.

94. ქოთანი (ტაბ. CXVII<sub>7</sub>; CLXXV<sub>4</sub>; CXCIII<sub>3</sub>), შავად გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, მუცელმომრგვალებული, ბრტყელძირა. სიმაღლე – 9,5 სმ, პირის დმ – 9 სმ, მუცლის დმ – 10 სმ, ძირის დმ – 5 სმ.

95. ჯამი (ტაბ. CXVII<sub>5</sub>; CXCII<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, შეღებილი, ფრაგმენტული.

96. სამაჯური (ტაბ. CXVII<sub>3</sub>; CXCVIII<sub>11</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივევეთში მრგვალი, ზურგშეზნექილი, თავგახსნილი, თავები ბურთულებით შემკული. დმ – 6,3 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 33

ძლიერაა დაზიანებული.

## ს ა მ ა რ ხ ი № 34

ორმოსამარხია. იგი წარმოადგენს გეგმაში ოვალური მოყვანილობის ორმოს ( $1,3 \times 1,0 \times 0,6$  მ), დამხრობილია O-W ხაზზე. გადახურული იყო მოზრდილი ფილაქვით, რომელსაც ჩრდილოეთიდან

და სამხრეთიდან შემოწყობილი პქონდა მომცრო ქვები. ( $1,4 \times 1,1$  მ). სამარხში დაკრძალული მიცვალებული წევს მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

97. ხელადა (ტაბ. CXVIII<sub>4</sub>; CLXV<sub>3</sub>; CLXXXIV<sub>5</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ნისკარტიანი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელძირა. ყურის პირთან მიერთების ადგილზე ორი პარალელური ხაზია ამოკაწრული. სიმაღლე – 21 სმ, მუცლის დმ – 18 სმ, ძირის დმ – 8,5 სმ.

98. შუბისპირი (ტაბ. CXVIII<sub>5</sub>; CXCVI<sub>5</sub>), რკინის, მასრაგახსნილი, ქედიანი, დაუანგული, ნაკლული. საერთო სიგრძე – 48,5 სმ. აღებისას დაიმტვრა. შემორჩენილი სიგრძე – 27 სმ.

99. დანა (ტაბ. CXVIII<sub>3</sub>), რკინის, დაუანგული, ფრაგმენტული.

100. სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. CXVIII<sub>2</sub>; CCII<sub>11</sub>), ვერცხლის, ღერო განივევეთში მრგვალი, თავგახსნილი. დმ – 2,3 სმ.

101. სამაჯური (ტაბ. CXVIII<sub>1</sub>; CXCVIII<sub>6</sub>), ბრინჯაოს, ზურგდაკეჭნილი, თავგახსნილი, ცხოველსახეებით შემკული. დმ – 5,3 სმ.

## ს ა მ ა რ ხ ი № 35

ქვაყუთია. იგი გაძარცული და დაზიანებულია. აქ აღმოჩნდა ადამიანის თითის ფალანგა, რომელზედაც ბრინჯაოს პატინა იყო შემორჩენილი. სამარხი ბაზალტის ფილაქებით იყო შეკრული. შემორჩა აღმოსავლეთი კედელი, სამხრეთ-დასავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხეები. მისი სავარაუდო ზომაა  $0,8 \times 0,7 \times 0,5$  მ. დამხრობილია O-W ღერძზე.

## ს ა მ ა რ ხ ი № 36

ორმოსამარხია. იგი წარმოადგენს გეგმაში კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის მოყვანილობის ორმოს ( $1,15 \times 0,8 \times 0,6$  მ). დამხრობილია N-S ხაზზე. გადახურული იყო მოზრდილი ბაზალტის ფილაქებით ( $1,2 \times 0,9$  მ). სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის კვალი არ ჩანს. სამარხში აღმოჩნდა:

102. ხელადა (ტაბ. CXIX<sub>9</sub>; CLVI<sub>1</sub>; CLXXXIV<sub>3</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, ნისკარტიანი, მომრგვალებულტანიანი, ბრტყელძირა, ნაკლული.

103. კოჭობი მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ძლიერ ფრაგმენტული.

104. საკინძები (ტაბ. CXIX<sub>1,2</sub>; CCI<sub>2,3</sub>), 2 ც., ბრინჯაოს, ღერო განივავეთში მრგვალი, ყელთან დაბრტყელებული და გახვრეტილი, ყელი ბრტყელი, წიწვისებური ორნამენტით შემკული, თავი ოთხკუთხა, ჯვრისებური ორნამენტით შემკული. სიგრძე – 10 სმ.

105. სამაჯური (ტაბ. CXIX<sub>3</sub>; CXCVIII<sub>12</sub>), ბრინჯაოს, ფრაგმენტული, ნაკლული; ღერო დაკეჭნილი, თავგახსნილი, თავი ცხოველის სახით შემკული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 37

სამარხს პირობითად ვუწოდებთ. ზედაპირულად იდო 1 ბაზალტის ფილაქვა და 1 რიყის მოზრდილი ქვა, რომლებსაც ირგვლივ შემოწყობილი ჰქონდა პატარა ქვები, დამხრობილი NO-SW ღერძზე და ეკავა  $1,2 \times 0,8$  მ ფართობი. ქვების ქვეშ არაფერი არ აღმოჩენილა.

### ს ა მ ა რ ხ ი № 38

ქვაყუთია. სამარხის გრძივი გვერდები შედგენილია ბაზალტის ორ-ორი, ხოლო განივი კედლები რიყის ორ-ორი ქვისაგან ( $0,5 \times 0,4 \times 0,3$  მ). გადახურული იყო ქვიშაქვის ფილით ( $0,9 \times 0,7$  მ). სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

106. ხელადა (ტაბ. CXIX<sub>10</sub>, CLXVIII<sub>3</sub>, CLXXXVIII<sub>8</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, მუქი წითელი საღებავით შეღებილი. პირგადაშლილი, მსხლისებურტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 17,3 სმ, პირის დმ – 6,8 სმ; მუცლის დმ – 13 სმ, ძირის დმ – 7 სმ.

107. დანა (ტაბ. CXIX<sub>7</sub>, CXCVII<sub>3</sub>), რკინის, დაუანგული, ფრაგმენტული, ნაკლული.

108. სამაჯური (ტაბ. CXIX<sub>8</sub>), რკინის, ძლიერ დაზიანებული.

109. სასაფეთქლე რგოლები (ტაბ. CXIX<sub>5,6</sub>, CCII<sub>7</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივავეთში მრგვალი, თავგახსნილი. დმ – 2 სმ.

110. მძივები (ტაბ. CXIX<sub>4</sub>, CCI<sub>14</sub>), 4 ც. ლურჯი მინის თეთრი წერტილებით ინკრუსტირებული; 5 ც. მოშავო პასტის, თეთრი წრეებით შემკული, რომლებშიც მოყვითალო წერტილებია ჩასმუ-

ლი; 1 თეთრი პასტის, ყავისფერი წრეებითა და ლურჯი წერტილებით; ერთიც თეთრი პასტის, იისფერი წერტილებით შემკული. უდიდესის დმ – 0,9 სმ, უმცირესის – 0,4 სმ.

### ს ა მ ა რ ხ ი № 39

ქვაყუთია. სამარხი შეკრული იყო ბაზალტის სქელი ფილაქებით ( $1,0 \times 0,5 \times 0,5$  მ), დამხრობილია NO-SW ღერძზე. სახურავი მორღვეულია. ცუდად შემონახული ძვლების მიხედვით მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ძლიერ ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

111. დოქი (ტაბ. CXX<sub>1</sub>; CLXIII<sub>3</sub>; CLXXXIII<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ნისკარტიანი, მომრგვალებულმუცლიანი, ბრტყელირა. სიმაღლე – 27,2 სმ, ყელის დმ – 8 სმ, მუცლის დმ – 19 სმ, ძირის დმ – 9 სმ.

112. კოჭობი (ტაბ. CXX<sub>2</sub>; CLXXI<sub>4</sub>; CXCIV<sub>14</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი ლაქებით, ნაკლული. შემორჩენილი სიმაღლე – 7,5 სმ, მუცლის დმ – 9 სმ, ძირის დმ – 5,5 სმ.

113. შუბისპირი (ტაბ. CXX<sub>3</sub>; CXCV<sub>8</sub>) რკინის, მასრაგახსნილი, ქედიანი, ნაკლული. შემორჩენილი სიგრძე – 35 სმ. პირის სიგრძე – 22,5 სმ.

114. ღეროები (ტაბ. CXX<sub>4</sub>) რკინისა, ძლიერ დაჟანგული, ფრაგმენტული.

### ს ა მ ა რ ხ ი № 40

ქვაყუთია (ტაბ. LXXIX<sub>4</sub>). იგი შეკრული იყო ბაზალტის ფილაქებით ( $0,9 \times 0,6 \times 0,45$  მ), დარჩენილი ნაპრალები რიყის ქვებით შეუვსიათ. გადახურული იყო ბაზალტის 2 ფილაქებით, რომელთაც რიყის ქვებიც პქონდა შემოწყობილი ( $1,5 \times 0,9$  მ). სიგრძით SW-NO ღერძზე დამხრობილ კამერაში მიცვალებული დაკრძალული იყო ხელ-ფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოაღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა:

115. ხელადა (ტაბ. CXXI<sub>3</sub>, CLXVII<sub>2</sub>, CLXXXIV<sub>4</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით

შეღებილი, ნისკარტიანი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 23,5 სმ, მუცლის დმ – 19 სმ, ძირის დმ – 10,5 სმ.

116. საკინძი (ტაბ. CXXI<sub>4</sub>, CCI<sub>1</sub>), ბრინჯაოს, ღერო განივავეთში მრგვალია, ყელთან დაბრტყელებული და განვრეტილი, ყელი ბრტყელი – წიწვისებური ორნამენტით შემკული, თავი მომრგვა-ლებული. სიგრძე – 10,4 სმ.

117. სამაჯური (ტაბ. CXXI<sub>1</sub>, CC<sub>15</sub>) რკინის, ღერო განივავეთში მრგვალი, თავგახსნილი, ზურგი ბურთულებით შემკული. დმ – 7 სმ.

118. მძივები (ტაბ. CXXI<sub>2</sub>, CCIII<sub>8</sub>), 3 ც. მოთეთრო პასტის, ლურჯად ინკრუსტირებული; 1 ც. შავი პასტის, თეთრ წრეებში ჩასმული ლურჯი წერტილებით შემკული; 2 ც. სარდიონის, მანდარინისებრი; 1 ც. ვერცხლის მიღაკი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 41

ქვაფუთია (ტაბ. LXXX<sub>1,2</sub>; CXCVI<sub>1</sub>). იგი შეკრულია ბაზალტის ბრტყელი ფილაქებით ( $1,0 \times 0,4 \times 0,45$  მ). დამხრობილია SW-NO ღერძზე. გადახურვა მორღვეული ჰქონდა. მიცვალებული დასვენებულია მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, კიდურებმოხრილი: ხელის მტევნები მიჭანილია სახესთან, ფეხები კი ძლიერ მოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა:

119. ხელადა (ტაბ. CLXVI<sub>3</sub>), მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის. შეღებილი, მრგვალპირა, მსხლისებურტანიანი. სიმაღლე – 22,5 სმ.

120. სამაჯური (ტაბ. CXXII<sub>3</sub>; CC<sub>9</sub>), რკინის, დაუანგული, ფრაგმენტული, მრგვალლეროიანი, თავგახსნილი, ზურგი ბურთულებითაა შემკული. დმ – 6 სმ.

121. მძივები (ტაბ. CXXII<sub>2</sub>; CCIII<sub>5</sub>), 7 ც., მოთეთრო პასტის მრგვალ-ბრტყელი; 1 ც. ვერცხლის მიღაკი; 4 ც. პასტის, მათ შორის ერთი – ცისფერი, ერთი – თეთრი, ორი – მწვანე.

### ს ა მ ა რ ხ ი № 42

ქვაფუთია (ტაბ. LXXXI<sub>1</sub>). გრძივი კედლები მას ბაზალტის თითო მოზრდილი ფილაქებით აქვს შედგენილი. განივი კედლები თითქოს მორღვეულია: ზოგან რიყის მოზრდილი ლოდებია შერჩენილი. კამერა დამხრობილია NO-SW ღერძზე ( $0,86 \times 0,45 \times 0,35$  ჩენილი).

მ). გადახურვა მორღვეულია. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით მას დაახლოებით  $1,1 \times 0,8$  მ ფართობი ეკავა. სამარხში დაკრძალულია ერთი მიცვალებული მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ძლიერ მოკუნტული. მუხლები თითქმის თავის ქალასთან აქვს მიტანილი. სამარხში აღმოჩნდა:

122. ხელადა (ტაბ. CXXII<sub>5</sub>; CLVIII<sub>3</sub>; CLXXXIX<sub>4</sub>), მოვარდის-ფროდ გამომწვარი თიხის, წითელი საღებავით შეღებილი, ნაკლული, მსხლისებურტანიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 20 სმ.

123. კოჭობი (ტაბ. CXXII<sub>6</sub>; CLXXIII<sub>2</sub>; CXCIV<sub>7</sub>), რუხად გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირა. სიმაღლე – 5,5 სმ, პირის დმ – 5,2 სმ, მუცლის დმ – 8 სმ, ძირის დმ – 4,5 სმ.

124. დანა (ტაბ. CXXII<sub>4</sub>; CXCVII<sub>7</sub>), რკინის, დაუანგული, ნაკლული. მოხრილი, ტარზე რკინის მანჭვალით. შემორჩენილი სიგრძე – 8,3 სმ.

125. სამაჯური (ტაბ. CXXII<sub>1</sub>; CXCIX<sub>6</sub>), რკინის, დამტვრეული. მრგვალდეროიანი, თავგახსნილი.

### ს ა მ ა რ ხ ი № 43

ქვაყუთია (ტაბ. LXXXI<sub>2</sub>). იგი წარმოადგენს გეგმაში თითქმის კვადრატული ფორმის ქვაყუთს ( $0,6 \times 0,5 \times 0,5$  მ), შეკრულს ბაზალტის ფილაქებით. ბაზალტისა და რიყის ქვებისაგან შედგენილ სახურავს, რომელიც მორღვეული იყო,  $1,1 \times 0,8$  მ ფართობი ეკავა. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის ნაშთი არ დადასტურდა. სამარხში აღმოჩნდა:

